1996

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნაკადული 96

საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“

1996 წ. №1-2
გამოდის 1926 წლიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნომრის შინაარსი

ივანე ჯავახიშვილი შვილის თვალით ..... 1
პატარა გოჩას პატარა ბიზნესი ..... 5
წყალქვეშა გვირაბის საიდუმლო. დიმ. ლობჟანიძე (მოთხრობა) ..... 6
ედუარდ ამბოკაძე — 60 ..... 11
ახალი ლექსები. გიორგი ჩარკვიანი ..... 12
მინდა, მსოფლიოს ჩემპიონი გავხდე ..... 13
იზარდე, მწვანე ჯეჯილო ..... 14
კითხვა — თქვენი, პასუხი — ჩვენი ..... 15
რონი. ასტრიდ ლინდგრენი (მოთხრობა) ..... 16
სიმონ შამფრიანი ..... 20
ირანული პოეზია ..... 21
დეტექტიური თავსატეხი ..... 22
წიგნები და გმირები ..... 23
თუ გინდათ, რომ მაღალი გაიზარდოთ ..... 24
ცხრაკლიტული ..... 25
ყველაზე, ყველაზე ..... 26
გახდით ჩვენი თანაავტორები ..... 27
კომიქსი ..... 28
იუმორის საქმე როგორა გაქვთ? (ტესტი) ..... 30
მსოფლიო კიდით კიდემდე ..... 31
თეატრი რთული ფენომენია ..... 32

ღრმა მადლობას მოვახსენებთ კოოპერატივ „თეგის“ ხელმძღვანელებს (თამაზ მიხელიძე, ელვარდ ჯოღერდიშვილი) და ყველა თანამშრომელს „ნაკადულის“ ამ ნომრის ბეჭდვისას გამოჩენილი ქველმოქმედებისათვის.

მთავარი რედაქტორი მანანა გელაშვილი
მხატვარი-რედაქტორი გაიოზ ფოცხიშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ქეთევან ცაბაძე

დაიბეჭდა კოოპერატივ „თეგის“ სტამბაში
(გურამიშვილის გამზირი №74)
რედაქციის მისამართი: 384096, თბილისი, კოსტავას ქ. №14
ტელეფონები: 93-31-81, 93-18-84
ფასი სახელშეკრულებო
ინდექსი: 76157

# ივანე ჯავახიშვილი

## შვილის თვალით

*1996 წელი საქართველოში ივანე ჯავახიშვილის წლად გამოცხადდა. წელს სრულიად ქართველობა მოწიწებითა და მუხლმოყრით აღნიშნავს მთელი ქართული ცივილიზაციის სწორუპოვარი მკვლევარის, ნათელი ადამიანისა და სრულქმნილი მამულიშვილის დაბადების 120 წლისთავს.*

*გთავაზობთ ბატონ თამაზ კვაჭანტირაძის საუბარს დიდი ივანეს უმცროს ვაჟთან აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილთან („ლიტერატურული საქართველო", 9.10.1987). თუმცა ჩვენ შემოკლებული სახით ვბეჭდავთ ამ საუბარს, მასში მაინც კარგად იკვეთება ივანე ჯავახიშვილის — ადამიანის, პიროვნების, სწავლულის სახე.*

— ბატონო ალექსანდრე, ალბათ, შთამომავლობა არ გაპატიებს ივანე ჯავახიშვილის შვილებს, თუ წერილობით დაფიქსირებულ მოგონებას არ დატოვებთ თქვენს დიდ მამაზე.

— ძნელია, ბატონო ჩემო, მისია ბიოგრაფისა... მერწმუნეთ, მის მდგომარეობას თუ ართულებს, თორემ არ ამსუბუქებს ის, რომ მოგონების ობიექტი საკუთარი მამაა; მით უფრო მირთულდება მდგომარეობა მე — სრულებით მოკლებული ვარ საამისო უნარს; ამას არც თავის დაზღვევის მიზნით მოგახსენებთ და, ცხადია, არც ყალბი თავმდაბლობით... ერთი სირთულეც იჩენს თავს: მამა რომ გარდაიცვალა, ოცდაორი წლისა ვიყავი, თითქოსდა უკვე, რომ იტყვიან, კაცობაში ფეხშედგმული, მაგრამ ახლა რომ ვუკვირდები, ვხვდები: ჯერ კიდევ მოუმწიფებელი გახლდით ივანე ჯავახიშვილის პიროვნების სრულად აღსაქმელად. ამიტომაც ვფიქრობ და ვშიშობ, ვაითუ ჩემი მაშინდელი შთაბეჭდილებანი ყოფითი, წვრილმანი და, ერთგვარად, ფამილარულიც აღმოჩნდეს...

— მაგრამ ივანე ჯავახიშვილი ის პიროვნებაა, ვისთანაც დაკავშირებით ერთგვარად წაშლილია ზღვარი წვრილმანსა და მსხვილმანს შორის; შთამომავლობას ყველაფერი აინტერესებს თავისი დიდი წინაპრების ცხოვრებიდან. კარგად მესმის თქვენი შეჭირვება — ზოგიერთ ადამიანზე ვერ ვიჯერებთ, რომ ისიც ჩვენსავით ხორციელი იყო, ჩვენსავით ჭამდა, იცვამდა, ეძინა... ვინც თქვენ პატარაობისას მუხლზე გისვამდათ და, ვინ იცის, ენასაც გიჩლექდათ ხოლმე, მას დღეს ქართველი ერი მხოლოდ წმინდანის შარავანდედით წარმოიდგენს და მაინც, საჭირო, უფრო მეტიც, აუცილებელიც კია დიდი პიროვნების წარმოსაჩენად მისი ამ ყოფითი, მიწიერი ან, როგორც ერთი ფილოსოფოსი ამბობდა — „ადამიანური, ჭარბად ადამიანური" მხარეების ჩვენება. მაშ ასე, განსხვავდება თუ არა მინაურული, საოჯახო სულიერი პორტრეტი ივანე ჯავახიშვილისა მის საგარეო, „სავიზიტო" პორტრეტისაგან?

— უნდა მოგახსენოთ, რომ ივანე ჯავახიშვილი უაღრესად მთლიანი პიროვნება გახლდათ — იგი ისეთივე იყო ოჯახში, შინაურობაში, როგორიც — გარეთ, საზოგადოებაში: ბუნებით კეთილი, გულისხმიერი, სათნოლიანი, თბილი ადამიანი. ამისთანავე მტკიცე გარკვეული პრინციპები და ჩვევები, რომლებისათვისაც არასოდეს გადაუხვევია; მათი მიხედვით იქცეოდა ის შინაც და გარეთაც. მის სულიერ პორტრეტს შეესაბამებოდა გარეგნობაც: მამა საშუალო ტანის, ხმელი კაცი იყო, ჭაღარა; ჰქონდა ძალიან სხივიანი, ნათელი, ღია ნაცრისფერი თვალები...



— როგორი მეოჯახე იყო ივანე ჯავახიშვილი?

— მეოჯახის იდეალად, ბატონო თამაზ, იმედი მაქვს, ჩვენთვის უცხო იმ მოდელს არ გულისხმობთ, როცა კაცს ქალის წინსაფარი აქვს აფარებული და სამზარეულოში ჭურჭელსა რეცხავს...

— როგორ გეკადრებათ — მაგას კი არა, პირადად მე ივანე ჯავახიშვილს სასურსათო მაღაზიაშიც ვერ წარმოვიდგენ, თუნდაც სიგარეტის საყიდლად შესულს... მეოჯახეში, პირველ ყოვლისა, ოჯახზე ზრუნვასა და ყურადღებას ვგულისხმობდი...

— მოგახსენებთ... სხვათა შორის, თქვენი წარმოდგენა სიგარეტის ყიდვასთან დაკავშირებით რეალობას ემთხვევა — ივანე ჯავახიშვილი თამბაქოს არ ეწეოდა... წეღანაც აღვნიშნე, საერთოდ იყო მამა უაღრესად თბილი და ყურადღებიანი-მეთქი. დედაჩემისა და შინაურების მიმართ ხომ სრულიად განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა. სხვის აზრს, თუნდაც ჩვენსას, პატარებისას, მუდამ ანგარიშს უწევდა; ალერსიანიც იყო, მოფერებაც იცოდა, ოღონდ — რაღაცნაირად თავშეკავებულად, რაღაცნაირი ღირსებით... პატარაობისას ძალიან მიყვარდა მის მუხლზე შემოჯდომა და „აჩუ-აჩუ, ცხენოს" თამაში. იშვიათად, მაგრამ ისიც მომხდარა, რომ გაგვწყრომია ჩვენს რაიმე უსაქციელობაზე, ოღონდ არასოდეს ჩვენი დისჯა სიტყვიერი დატუქსვის ფარგლებს არ გადასცდენია — არავითარი აკრძალვა, არავითარი კუთხეში დაყენება, ჩვენი ბავშვური თავმოყვარეობის არავითარი შელახვა...

თავისებურ იერს აძლევდა შინაურებთან ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობას სმენის მკვეთრი დაქვეითება: რაც მამა მახსოვს, მას უკვე ძლიერ აკლდა ყურთ — ჩვეულებრივი ტონით ლაპარაკი არ ესმოდა...

— ამიტომაც ალბათ, თვითონაც ხმამაღლა ლაპარაკობდა...

— თქვენ წარმოიდგინეთ, არა, პირიქით, ერიდებოდა, ხმამაღლა არ გამოვიდესო და თვითონაც ჩვეულებრივზე ხმადაბლა ლაპარაკობდა... სმენა პეტერბურგში დაჰქვეითებია — თურმე ძლიერი ყინვის დროსაც კი ყურებიან ქუდს არ იხურავდა.

— პეტერბურგის შემდეგ ბატონი ივანე, როგორც ცნობილია, საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და თქვენი ბავშვური მოგონებებიც, ალბათ, ჯავახიშვილების ამ მამაპაპისეულ თბილისურ სახლს უკავშირდება...

— სახლი კათოლიკურ ეკლესიასთან, სადაც ჩვენი ოჯახი ცხოვრობდა, ჯავახიშვილებისა არ გახლდათ. ივანე ჯავახიშვილს არამცთუ სახლი, საკუთარი ბინაც კი არა ჰქონია. ჩვენებს სახლი ხოვლეში ჰქონდათ და მეც იქ ვარ დაბადებული 1917 წელს. ოთხი წლიდან ზოგი რამ უკვე მახსოვს, კერძოდ, თუ როგორ გადმოვსახლდით პაპიდაჩემის სახლში უშუალოდ ბოლშევიკების თბილისში შემოსვლის წინა დღეებში — კოჯორთან ჯერ კიდევ მიმდინარეობდა ბრძოლები.

— პაპიდის სახლიო, რომ ბრძანეთ, დედათქვენის, ქალბატონ ანასტასიას, მამიდა მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი იგულისხმეთ?

— დიახ... სწორედ მის სახლში იყო ნოეს კიდობანივით თავშეფარებული მთელი სანათესავო: ორბელიანები, აბაშიძეები, წერეთლები, რჩეულიშვილები, ჯავახიშვილები... მათგან წარმოგიდგენთ ერთ ნაწილს: პირველ ყოვლისა, თვით პაპიდაჩემს, მარი ვახტანგოვნას ანუ „ნათლიკოს", როგორც შინაურები ეძახდნენ — ყველას ნათლია და გამკითხავი ის გახლდათ: ფრანგულად აღზრდილი, უაღრესად განათლებული, მართლაც რომ, წმინდანის მსგავსი ადამიანი...

— მე, ჩემი მხრივ, დავამატებდი: ასული ცნობილი ქართველი პოეტის ვახტანგ ორბელიანისა, შვილიშვილი თეკლა ბატონიშვილისა, შვილთაშვილი ერეკლესი...

— გვაროვნება გვაროვნებად — მე უფრო მის სულიერ ღირსებებზე მოგახსენებდით... პაპიდაჩემმა, თვითონ უშვილომ, შვილებივით შეიფარა თავისი კალთის ქვეშ არა მარტო თავისი ძმიშვილები და ნათესავები, არამედ სრულიად უცხო, გასაჭირში ჩავარდნილი გადამთიელებიც კი... ქალი, რომელსაც ერთ დროს ქონება, რომ იტყვიან, თავზე გადასდიოდა (ცნობილია, რომ მან ახლადდაარსებულ უნივერსიტეტს შესწირა 4000 მანეთი), ღრმად მოხუცებულიც კი შრომობდა, ფრანგულის გაკვეთილებს აძლევდა... პაპიდასთან ცხოვრობდნენ არა მარტო მისი ძმიშვილები თავ-თავიანთი ოჯახებით, არამედ ჩასიძებულთა სანათესავოც... სჯობს მაინც სახელდებით ჩამოგითვალოთ — უფრო იმიტომ, რომ ბევრსა ჰგონია, ჯავახიშვილს, ამდენი ტომების ავტორს, ალბათ ჩამყუდროებული მუშაობის პირობები და გარემო ექნებოდაო. თავად განსაჯეთ: პაპიდასთან

F-6501

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# ივანე ჯავახიშვილი შვილის თვალით

ცხოვრობდნენ ჩემი ორივე ბებია — „ბაბო სონა“, მამის დედა, სოფიო ათანასეს ასული ვახვახიშვილის ქალი, და „ბაბო ნინო“, დედას დედა, თუმანიშვილის ქალი, დეიდები — თეკლე, კიტა აბაშიძის ქვრივი, და თამარი (შინაურობაში ატა), გაუთხოვარი. კიტას შვილები: გია (დაიღუპა 1924 წელს), თამრიკო, ვატო, ერეკლე, გარდა ამისა, „ბაბო სონას“ გარდაცვალების შემდეგ ჩვენთან გადმოვიდა საცხოვრებლად მამაჩემის ძმა გიორგი, დაქვრივებული მამიდაჩემი კატო, მერე მეორე მამიდაც — საშიკო...

— ალბათ ჭირდა ამდენი ხალხის შეხმატკბილება ერთ ჭერქვეშ.

— თქვენ წარმოიდგინეთ, არა, ცხადია, ასეთ უზარმაზარ ოჯახს, უფრო სწორად, ოჯახთა კრებულს, ეკონომიურად უჭირდა. ივანე ჯავახიშვილს სამეცნიერო მუშაობისათვის პირობები, რაღა თქმა უნდა, მძიმეზე მძიმე ჰქონდა, მაგრამ თანაცხოვრების ავკარგს ადამიანთა კულტურის დონე განაპირობებს —ამიტომაც სწორედაც რომ შეხმატკბილებულად ვცხოვრობდით. მახსენდება საღამოობით ჩვენს დიდ „ზალაში“ თავს იყრიდნენ უფროსები: ბებიები ლოტოს ან ქაღალდის თამაშით ირთობდნენ თავს... მამა ამაში მონაწილეობას არ იღებდა, მხოლოდ უცქეროდა და ხანდახან რჩევასაც აძლევდა „ბაბო სონას“, ესა და ეს კარტი ჩადიო...

— პრეფერანსს თამაშობდნენ?

— არა, ბატონო, ყოვლად უწყინარ „კონჩინკას“... ვეჭვობ, რომ მამას საერთოდ სცოდნოდეს აზარტული თამაშები.

— ივანე ჯავახიშვილი, მართლაც, ძნელად წარმოსადგენია ქაღალდის მოთამაშე, თუმცა კარტით გატაცება, დოსტოევსკის რომ დავეხსნათ, არც ჩვენი ილიასა და აკაკისათვის გახლდათ უცხო... ალბათ, ასევე უცხო იქნებოდა ივანე ჯავახიშვილისათვის სხვა ცხოვრებისეული საცდურებიც... როგორც ცნობილია, მას მთელი გამოკვლევა უწერია ქართულ ვაზზე, ღვინის დაყენების ტექნოლოგიაზე... მაგრამ რამდენადაც ძლიერი იყო „თეორიაში“, თანამედროვეთა გადმოცემით — იმდენად უმწეო ყოფილა „პრაქტიკაში“...

— არამცთუ უმწეო, ივანე ჯავახიშვილს ამის პრაქტიკა საერთოდ არ ჰქონია. ცოტა დაუჯერებელიც კია, დედულეთითაც და მამულეთითაც ღვინის ქვეყნიდან იყო, მაგრამ, ვეჭვობ, რომ მამას როდესმე დაელიოს ღვინო... მახსოვს, როდესაც ექიმმა კონიაშვილმა მუდმივი დიეტისაგან მეტისმეტად დასუსტებულს ყუათის მისაცემად მცირე დოზით შავი ღვინო დაუნიშნა, ისეთი სახით სვამდა მას კოვზით — თითქოს ქინა დაელიოს. მამა ამბობდა, ვისაც მეცნიერული მუშაობა უნდა, მან წვეთი არ უნდა დალიოსო. ეს წესი თვითონ ბოლომდე განუხრელად დაიცვა, თუმცა იცოდა, რომ გამონაკლისებიც არსებობდნენ, თუნდაც მის ირგვლივ მყოფთა სახით...

— ახლა ისევ „პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ“; როგორ მონაწილეობას იღებდა ივანე ჯავახიშვილი შვილების სწავლა-აღზრდაში?

— მე ასე ვიტყოდი, გარეგნულად — შეუმჩნეველს, მაგრამ არსებითად — მნიშვნელოვანს; თავდაპირველად — ისე, როგორც სხვა ოჯახებში ხდება ხოლმე — ეს პროცესი ერთგვარად სტიქიურად მიმდინარეობდა, სასკოლო ასაკისანი რომ შევიქენით, მან სისტემატური სახე მიიღო. ვერაფერს მოგახსენებთ, რა მოსაზრებით, მაგრამ სკოლაში კახაც და მეც საკმაოდ გვიან, 12 წლისანი მიგვაბარეს, მანამდე შინაურულ განათლებას ვიღებდით...

— რომელ კლასში ჩაირიცხეთ?

— მეექვსეში... სწავლა უკვე დაწყებული იყო და გაკვეთილებზე გამომცადეს...

— რახან პირდაპირ მეექვსეში დაუსვიხართ, ამ „შინაურ განათლებას“, ეტყობა, უკვალოდ არ ჩაუვლია...

— ეს იმის წყალობით მოხდა, რომ ორივე მხარე — „შინაური მასწავლებლებიც“ და „შინაური მოსწავლეებიც“ — უაღრესად სერიოზულად ეკიდებოდნენ თავის მოვალეობას. ჰუმანიტარულ საგნებს მე და კახას პაპიდაჩემი მარიამი ანუ „ნათლიკო“ და უფროსი დეიდაშვილი თამარ აბაშიძე გვასწავლიდნენ; არითმეტიკას, ფიზიკასა და ბუნებისმეტყველებას — დეიდაჩემი თამარი (ატა). პაპიდაჩემი ფრანგულად გვასწავლიდა თვით ფრანგულ ენასა და ლიტერატურას, ევროპის ქვეყნების — განსაკუთრებით, საფრანგეთის — ისტორიას... ფრანგულს იმ სახლში თითქმის ყველა ლაპარაკობდა, ამიტომ ჩვენც ისე შევითვისეთ სალაპარაკოდ, როგორც დედაენა, თუმცა მართლწერაში მუდამ მოვიკოჭლებდი... „ნათლიკო“ გვასწავლიდა აგრეთვე საღვთო სჯულსაც.

მამაჩემი ამ საქმეებში, გარეგნულად მაინც არ ერეოდა. პატარაობისას კი ხშირად გვიამბობდა ზღაპრებს, თანაც ისე შთამბეჭდავად, რომ როცა წამოვიზარდე, წერა-კითხვა ვისწავლე და ქართული ხალხური ზღაპრების რაზიკაშვილისეული კრებული წავიკითხე, თითქმის ყველა მეცნო... მეცნო კი არა, ლამის ყველა ზეპირად ვიცოდი... მერე და მერე მამამ ქართულ ხალხურ ზღაპრებთან ერთად საქართველოს ისტორიული თავგადასავალის მოყოლაც დაგვიწყო. თანდათან ეს „თამაში“ ერთგვარ „სახალისო უნივერსიტეტში“ გადაიზარდა: მამა მე და კახას „გვიკითხავდა ლექციებს“, შემდეგ ვითომ იბარებდა ჩვენგან გამოცდებს და ნიშანსაც გვიწერდა „მატრიკულებში“, რომლებიც საკუთარი ხელით დაგვიმზადა მუყაოსაგან. ცხადია, ფრიადები მივიღეთ, რაც 8-9 წლის ბიჭებს ძალიან გვეამაყებოდა.

— შვილების კითხვის პროცესს თუ „მართავდა“ ივანე ჯავახიშვილი?

— ვხვდები, ბატონო თამაზ, „მართვაში“ რაც იგულისხმეთ: მშობლები ხშირად უკრძალავენ ხოლმე ასაკისათვის შეუფერებელი ლიტერატურის კითხვას. მამაჩემი ნაკლებად ერეოდა ამ საქმეში: იშვიათად თუ გვირჩევდა ამა თუ იმ წიგნის წაკითხვას — უფრო სწორად, შეგვეკითხებოდა, ეს წიგნი წაკითხული თუ გაქვთო, მაგრამ არასოდეს დაუშლია რომელიმე წიგნის წაკითხვა...

— იცნობდა თუ არა ივანე ჯავახიშვილი თავისი შვილების მასწავლებლებს, ყოფილა თუ არა მათ სკოლაში და, საერთოდ, ჯავახიშვილის შვილობა გირთულებდათ თუ გიადვილებდათ სასკოლო ცხოვრებას?

— ჩემს მასწავლებელთაგან მამა ბევრს იცნობდა, ზოგი მისი ნასტუდენტარი იყო, ზოგიც, მაგალითად, ივანე ნიჟარაძე, ახლო ამხანაგი. ვცდილობდი, ისე მესწავლა, რომ მშობლებს სკოლაში მისვლა არ დასჭირებოდათ. სკოლის პერიოდში ჯავახიშვილის შვილობას ჩემთვის არავითარი პრივილეგია არ მოუცია — რაიმე შეღავათის თვალსაზრისით... ჩემი მასწავლებლები, მოგახსენეთ, იცნობდნენ მამას, მაგრამ მერწმუნეთ, მის მიმართ თავიანთ პატივისცემას სწორედ იმით გამოხატავდნენ, რომ ამას ჩემი შეფასებისას, საერთოდაც, ჩემთან ურთიერთობისას, აბსოლუტურად არ გამოხატავდნენ. სხვათა შორის, ამით მეც მცემდნენ პატივს.

სასკოლო პერიოდი უკვე მოგახსენეთ და — საერთოდ კი — ივანე ჯავახიშვილის შვილობა სუბიექტურად ძალიან მირთულებდა და ამჟამადაც მირთულებს ცხოვრებას, პირველ ყოვლისა, იმის გამო, რომ არა ერთი პრივილეგია და შეღავათი მიმიღია დაუმსახურებლად; ხანდახან მეჩვენება, თით-



ქოს პირადად მე არაფერი გამეკეთებინოს სასარგებლო.

— ბატონო ალექსანდრე, უფლებას ვიტოვებთ ამ სუბიექტური განცდის საპირისპიროდ, ფართო საზოგადოებამ ამ საკითხზე ჩვენი ობიექტური თვალსაზრისი ვიქონიოთ... აქტიურად ჩაერია თუ არა ივანე ჯავახიშვილი თავისი შვილების პროფესიის არჩევანში?

— ნათელასა და კახას შესახებ გადაჭრით ვერაფერს მოგახსენებთ, მე კი პროფესიის არჩევანში არავის შევუზღუდივარ. ვფიქრობ, მამა არც მათ მოახვევდა საკუთარ ნება-სურვილს. პატარაობიდანვე მიყვარდა ხატვა, სტუდენტობისას ხელი მოვკიდე ფერწერას, გადაწყვეტილი მქონდა უთუოდ შევსულიყავი სამხატვრო აკადემიაში, უნივერსიტეტი საერთო განათლებისათვის მინდოდა.

— რამდენადაც ვიცი, თქვენ იმ დროს სწავლობდით ისტორიის ფაკულტეტზე, როცა ჯავახიშვილი აიძულეს თავისი დაარსებული უნივერსიტეტი დაეტოვებინა, ასე რომ, მის სტუდენტად ყოფნამ არც მოგიწიათ.

— მთლად ასეც არ გახლავთ საქმე. უკვე სტუდენტი ვიყავი, როცა მამამ თავის ასპირანტებთან — შოთა მესხიასთან, მამია დუმბაძესთან, აპოლონ როგავასთან დაიწყო სასემინარო მუშაობა მუზეუმის შენობაში და — შენც იარეო, — მირჩია... სემინარები გაგრძელდა მთელ სემესტრს და მეც ასპირან-

ტებთან ერთად გისმენდი, თუ როგორ არჩევდა და აანალიზებდა მამა „ხელმწიფის კარის გარიგებას“ და „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებას“... საოცარი სკოლა იყო... იწყებოდა ყოველი ცნების, ყოველი ტერმინის, ყოველი რეალიის სკრუპულოზური ანალიზი უძველესი ხანიდან ვიდრე „მოაქამომდე“ — როგორც ძველად იტყოდნენ: ანალიზი ლინგვისტური, ანალიზი ლიტერატურული, ანალიზი ისტორიოგრაფიული, ანალიზი ეგზეგეტიკურ-თეოლოგიური: იგლეზოდა პარალელი ბერძნულთან, სომხურთან, სირიულთან; მოიხმობოდა მაგალითები სულიერი თუ მატერიალური კულტურის სფეროებიდან. ივანე ჯავახიშვილის ურყევი ავტორიტეტი ასპირანტებს არამც და არამც არ თრგუნავდა — ყველა თამამად გამოთქვამდა თავის მოსაზრებას, უსვამდა მამას შეკითხვებს...

— რა ენაზე საუბრობდა ოჯახში ივანე ჯავახიშვილი? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ, თქვენივე თქმით, ბავშვებმა ენა ლამის ფრანგულად აიდგით.

— მართალსა ბრძანებთ, მაგრამ ეს მამას არ ეხება. იგი ჩვენ, ბავშვებს, ყოველთვის ქართულად გველაპარაკებოდა... უფროსებს კი — იმის და მიხედვით, ვის რა ენა უფრო ეხერხებოდა, ქართულად ელაპარაკებოდა დედასაც, ოღონდ თუ რაიმე „არასაჩვენო“ საკითხი ჰქონდათ გადასაწყვეტი, მაშინ გერმანულად საუბრობდნენ.

— ქალბატონ ანასტასია ორბელიანის, ივანე ჯავახიშვილის მეუღლის, ღვაწლზე ფართო საზოგადოებას, ასე მგონია, ისეთი სრული წარმოდგენა არ აქვს, როგორიც უნდა ჰქონდეს...

— დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ღვაწლზე რა მოგახსენოთ — დედას არსად არასდროს ოფიციალურად არ უმუშავია — მაგრამ დამსახურება კი უდავოდ მიუძღვის საზოგადოების წინაშე იმით, რომ თავი შესწირა — სხვა სიტყვა ვერც დამირქმევია — მამასა და მის მეცნიერულ-საზოგადოებრივ საქმიანობას. ანასტასია ანუ, როგორც შინაურები ეძახდნენ სტაზია ორბელიანს თბილისის ქალთა გიმნაზია და მერე, სამუსიკო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. ჩინებულად უკრავდა ვიოლინოზე, თავისუფლად ფლობდა ფრანგულსა და გერმანულ ენებს... ამასთანავე იშვიათი ბუნების ადამიანი იყო — გონიერი, ხალისიანი, სიცოცხლით სავსე... შესანიშნავი მეხსიერება ჰქონდა ღრმა მოხუცებულობაშიც. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ დედას თავისთვის არასოდეს უცხოვრია — მთელი თავისი სიცოცხლე, ჯანი ქმარ-შვილს, შვილიშვილებსა და უამრავ ნათესავებს შეალია. დედა და მამა შეხმატკბილებული მეუღლეების გარდა სულიერი მეგობრებიც იყვნენ ერთმანეთისა, გარეშე თვალს ეს, შესაძლოა, ადვილად ვერც შეემჩნია. რაღა თქმა უნდა, დედას პირველი საზრუნავი მამა იყო, მით უფრო, რომ ის მართლაც საჭიროებდა მუდმივ მზრუნველობას; რაც მამა მახსოვს, გამუდმებით აწუხებდა კუჭ-ნაწლავის ტკივილები; იცავდა უსასტიკეს დიეტას, გამუდმებით შიმშილობდა — უშაქრო ჩაი, გაწურული მაწონი, გამხმარი პური, უცხიმო „გრეჩიხის“ ან კარტოფილის ფაფა შეადგენდა ივანე ჯავახიშვილის ძირითად საკვებს...

— ხორცეული, ხილი, მწვანილეულობა?

— უაღრესად შეზღუდულად. ადრე მამა მოწამლულა და იმის შემდეგ თითქმის ყველანაირი საკვები სწყენდა. ზოგჯერ ისეთი ტკივილები ჰქონდა, იკრუნჩხებოდა შეტევისაგან. ამდენი შიმშილობისაგან ორგანიზმი სრულიად გამოეფიტა და ექიმმა კონიაშვილმაც აიძულა მამა უფრო ყუათიანი საკვები მიეღო, კერძოდ შავი ღვინო, ტვინის კატლეტი და ქორფა მწვანილი. ღვინოზე უკვე მოგახსენეთ – პატარა ბავშვივით კოვზით ძლივს ასმევდა დედა. ტვინის შოვნაც ჭირდა, დედაჩემს იგი ხორცით მოვაჭრე ერთი კერძო დუქნიდან მოჰქონდა. ყასაბი ბუზღუნებდა თურმე — ვა, ყოველდღე ტვინი, ტვინი... ვინა ზყავთ, ქალბატონო, ეგეთი უტვინო სახლშიო. დედამ გააკეთა ხის ყუთი, ჩაყარა შიგ მიწა, დათესა წიწმატი და, რომ ამოიწვერე-



ბოდა, სრულიად ქორფას კრეფდა და აჭმევდა მამას. კუჭ-ნაწლავის დაავადებას გულის უკმარისობაც ერთვოდა, მოკლედ, მამა უმძიმესი მოსავლელი იყო, დედას სხვებიც ეხმარებოდნენ, მაგრამ ძირითადი ტვირთი მაინც მის კისერზე გადადიოდა; გათენებიდან დაღამებამდე ჯარასავით ტრიალებდა, წელებზე ფეხს იდგამდა, რომ ამოდენა ხალხი დაეპურებინა და მოევლო; ხელები დახეთქილი ჰქონდა ცივ წყალში რეცხვისაგან. თანაც, რაც ჩემი თავი მახსოვს „ნეპისა“ და ამერიკული ბაზრის მოსპობის შემდეგ გამუდმებული გაჭირვება იყო პურისა, შაქრისა, მარილისა, მაკარონისა, ასანთისა, ნავთისა... ჩასაცმელ-დასახურავზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. უბოლოო რიგებში დგომა მალე ჩვენც, ბავშვებსაც, მოგვიწია... პრობლემას წარმოადგენდა შეშის მომარაგება ზამთრისათვის — ამოდენა სახლი ბევრ შეშასა ნთქავდა და მას ყაირათიანად ხმარობდნენ — მთელ სახლში ორი — სამი ოთახი თუ თბებოდა და ყველანი იქ ვიყრიდით თავს. უმთავრესად ნავთის ქურაზე დადებული აგურით ვთბებოდით, თუმცა ნავთის შოვნაც არ იყო ადვილი, თანაც მამას ნავთის სუნზე თავის ტკივილები ეწყებოდა ხოლმე. თანაც ეს თავაუღებელი მუშაობა — გამუდმებით წერა, გამუდმებით უძრავად ჯდომა... სიცივისაგან იფიჩხებოდა საწყალი. დედა შეუმჩნევლად „ბაიკის“ საბანს წამოასხამდა ხოლმე — ეს აწუხებდა, წერაში ხელს უშლიდა. სიცივისა და მუდმივი წერისაგან მამას თითების სახსრები უსივდებოდა, კალმის დაჭერა უჭირდა. დედამ მოიფიქრა — ძველი შალის ხელთათმანს თითები წააჭრა და წერის დროს იმას აცმევდა... მოკლედ, გვიჭირდა, ძალიან გვიჭირდა. რადგან მამას ყურთ აკლდა, დედა ხმამაღლა ელაპარაკებოდა ხოლმე და ამიტომ უნებურად გავმხდარვარ იმის მოწმე, თუ რა გაჭირვებით ანაწილებდნენ დედა და მამა ახლად მოტანილ ხელფასს ისე, რომ როგორმე მიეღწიათ ხელფასის მეორე მიღებამდე. მამა წუხდა, რომ დედა უპალტოოდ იყო, რომ კბილებიც გაუფუჭდა, მკურნალობას კი ვერ ახერხებდა... ჩვენ, კახა და მე, მეორე ოთახში დასაძინებლად დაწოლილები, ვუსმენდით ხოლმე, როგორ არწმუნებდა მამა დედას, — ჰონორარი მაქვს ასაღები, გადადე ფული კბილების სამკურნალოდ, ნუ დადიხარ ასე, ცოტა საკუთარ თავსაც მიხედეო; დედა უმტკიცებდა, რომ ეს ფული ყველას ყველაფერზე ვერ გასწვდება — რა მემკურნალება, როცა ბავშვები უფეხსაცმლოდ არიანო. რაც „ამერიკული ბაზარი“ დაიხურა, ერთი მეორის გამონაცვალში ვიზრდებოდით. მამა უაღრესად სუფთა, ფაქიზი კაცი იყო, ტანსაცმელს მრავალი წელი ისე ატარებდა, გაცვეთისა თითქმის არაფერი ეტყობოდა. ზამთრის პალტო ოცდახუთი წელი ატარა; ეს პალტო, თქვენ წარმოიდგინეთ, შემდეგ ნათელასაც ეცვა და ბოლოს — მე...

— ეტყობა, შინაგანსა და გარეგნულ სიფაქიზეს შორის უფრო ღრმა კავშირია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს...

— მართალსა ბრძანებთ, ბატონო თამაზ, — დედა ჩიოდა ხოლმე: ვანოს ნახმარი და უხმარი წინდები ერთმანეთისაგან ვერ გამირჩევია, არ ვიცი, გასარეცხებში რომელი ჩავყაროო. მამას პარიკმახერიც დედა იყო — ერთადერთი შემთხვევა მახსოვს, როცა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ წამოზრდილი თმის შესაჭრელად შინ დალაქი მოიყვანეს; ჩვეულებრივ დედა კრეჭდა ხოლმე და წუხდა, ეჩვენებოდა, უხეიროდ გამომდისო. მამა უდიდესი მოთმინებით იტანდა ამ პროცედურას და დიდ კმაყოფილებასაც გამოთქვამდა, ცხადია — დედას წასახალისებლად. თუმცა წასახალისებელი არაფერი იყო რადგან, დედა მართლაც დახელოვნდა ამ საქმეშიც; ჩვენც დედა გვიკეთებდა თმას...

— ცოტა ძნელი წარმოსადგენი კია ივანე ჯავახიშვილის მეუღლე — ერეკლე მეფის შვილთაშვილობაზე რომ არაფერი ვთქვათ — თუნდაც საოჯახო პარიკმახერის როლში ან ნავთის რიგში მდგომი... მაგრამ, ალბათ, სიამისა და სიხარულის წუთებიც ექნებოდა ქალბატონ ანასტასიას...

— რაც მე მოგახსენეთ, ეს მაინც გარეგნული მხარეა, ხორციელი ტკივილი და გაჭირვება. მთავარი ის გახლდათ, რომ დედას შინაგან კმაყოფილებას ანიჭებდა ასეთი წვრილმანი მომსახურებაც კი მეუღლისა — კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რას

# ივანე ჯავახიშვილი შვილის თვალით

# ივანე ჯავახიშვილი შვილის თვალით

ხმარდებოდა ის წუთი, დღე, წელიწადი, რომელსაც თავისი დროისა და შრომის ფასად გამოუზოგავდა ივანე ჯავახიშვილს. ამდენად გახლავთ იგი თანამონაწილე მეუღლის ყოველგვარი შრომა-ღვაწლისა.

— ბატონო ალექსანდრე, თქვენ რომ ბრძანეთ, მამას შინ ჩამყუდროებული მუშაობის პირობები არა ჰქონდაო, მხოლოდ მრავალრიცხოვანი ოჯახი და ბავშვების რიაქ-რიაქი იგულისხმეთ?

— მარტო ეს არა, მე პირდაპირი აზრით მოგახსენეთ — კაბინეტური მუშაობის შესაძლებლობას მამა იმ მარტივი მიზეზის გამო იყო მოკლებული, რომ შინ განცალკევებული სამუშაო ოთახი ანუ კაბინეტი არც ჰქონდა. მისი სამუშაო მაგიდა და წიგნების კარადები ერთხანს იდგა დიდ ოთახში, ე.წ. „ზალაში", რომლის ერთი ნახევარი აბაშიძეებს ეკუთვნოდა, მეორე კი — ჯავახიშვილებს. ეს ოთახი წიგნების გრძელი კარადითა და ხის მაღალი შირმით იყო გადატიხრული ისე, რომ მათ შორის ვიწრო გასასვლელი იყო დატოვებული. მამას სამუშაო მაგიდის უკან, მაგიდასა და შირმას შორის იდგა ტახტი, რომელზეც მე ვიძინებდი.

მოგვიანებით ეს საერთო ოთახი მოიშალა — გაიტიხრა ნამდვილი კედლით, რომელშიც კარი იყო დატანებული, და მამას ნაწილმა კაბინეტის სახე მიიღო (თუმცა მე კვლავ იქ მეძინა). საბოლოოდ ეს 30-იანი წლების მიწურულს მოხდა როცა უეცრად, თითქოსდა ვიღაცის ჯადოსნური კვერთხის დაქნევით, გაახსენდათ ივანე ჯავახიშვილის არსებობა; აირჩიეს აკადემიაში, დააჯილდოვეს, წააყენეს დეპუტატად — მოცვივდნენ, დაგვიყენეს ტელეფონი, სახლი სახელდახელოდ გაგვირემონტეს, შეაკეთეს სახურავი, საიდანაც წვიმა ჩამოგვდიოდა; ერთხელ, ძლიერი წვიმის შემდეგ ტაშტების შედგმამაც არ უშველა და ზუსტად მამას სამუშაო მაგიდაზე ჩამოვარდა ჭერის დამბალი გაჯის უზარმაზარი ნაჭერი; ადამიანს რომ დაეცემოდა, იქვე სულს გააფრთხობინებდა. შემდეგ მოვარდა კინოსტუდიაც — უნდოდათ გადაეღოთ მამა შინ, მუშაობის დროს. „კაბინეტი" რომ ნახეს, შეცბნენ... ცოტა ხნის შემდეგ გააჩინეს ყვავილები, რომლებიც ფანჯარასთან „ქარდინიერში" მოათავსეს, მოიტანეს სტალინის უზარმაზარი სურათიც კედელზე დასაკიდებლად; რეჟისორის ჩანაფიქრით, მას შთამბეჭდავი, მომგებიანი ფონი უნდა შეექმნა კადრში მომუშავე ივანე ჯავახიშვილისათვის. სურათზე მამამ თავაზიანი უარი უთხრა... როგორც იქნა, მოაწყვეს ნამდვილი ინსცენირება და გადაიღეს — როგორ მუშაობს ივანე ჯავახიშვილი შინ. ეს კადრები დღესაც არსებობს... არადა სინამდვილეში მამა სულ სხვაგვარად მუშაობდა.

— კერძოდ, როგორ?

— მამას „დღის რეჟიმი" საკმაოდ მარტივი იყო, იგი სრულდებოდა სისტემატურად, მაგრამ რაღაცნაირად არაპედანტურად, თითქოსდა თავისთავად: დგებოდა დილას ადრე — ზაფხულობით შვიდ, ზამთარში — რვა საათზე; ტუალეტსა და საუზმეს ანდომებდა ერთ საათამდე — ყოველდღე აუცილებლად იპარსავდა პირს „ჟილეტის" საპარსით, სამართებელს არ ხმარობდა. დანები ძნელად იშოვნებოდა, ბლაგვი იყო და ხშირად უჭრიდა კანს — ნაზი კანი ჰქონდა; ჭრილობას „შაბით" იშუშებდა. ტუალეტის შემდეგ აუცილებლად იცვამდა საშინაო პიჯაკს, ზაფხულობით — თეთრი პიკესას, ზამთარში, დიდი სიცივის დროს, თბილი სვიტრიც სცმია.

ზაფხულში რვა, ზამთარში ცხრა საათზე ჯდებოდა სამუშაოდ, უმთავრესად საერთო ოთახში, მაგიდასთან, სადაც ვსადილობდით ხოლმე. მამა მიუჯდებოდა მოზრდილი მაგიდის ერთ ბოლოს, ადგილი დიდი არ სჭირდებოდა, რადგანაც ყველაფერი წინასწარ ჰქონდა მომზადებული — ორიოდე წიგნი, ამონაწერები ბარათებზე — უამრავი, წლიდან წლამდე ამოკრებილი, მოკიდებული სტუდენტობის დროიდან. იქვე, მაგიდასთან, ჩვენც მივუსხდებოდით ხოლმე, ან ვსაუზმობდით, ან ჩვენც ვმეცადინეობდით.

დილას მამა მუშაობდა 11 საათამდე, შემდეგ მიდიოდა მუზეუმში, სადაც კონსულტანტად იყო. მამა და გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი, მსოფლიო სახელის მქონე ელინისტი, ერთად ისხდნენ და მუშაობდნენ ერთ ნახევრად სარდაფის ტიპის ოთახში — ფანჯრიდან მხოლოდ გამვლელთა ფეხები ჩანდა. მუზეუმში მთელი მისი დრო — 11-დან 3 საათამდე — ხმარდებოდა უამრავი მომსვლელის, შინაურისა და გარეულის, მიღებას, მათთან გაუთავებელ კონსულტაციებსა და საუბარს; აქვე ატარებდა მამა სემინარებს ასპირანტებთან.

3 საათზე მამა ბრუნდებოდა შინ (მგზავრობდა ტრამვაით); იცვლიდა ტანსაცმელს, სადილობდა, ისვენებდა დაახლოებით ნახევარ საათს და ოთხზე-ხუთის ნახევარზე კვლავ მიუჯდებოდა სამუშაოს. დასვენება გამოიხატებოდა უმთავრესად ბოლთაში: ბოლთას სცემდა ან აივანზე — ზაფხულობით (სახლს დიდი გრძელი აივანი აქვს) — ან ოთახში. შუადღისას ძილი არ იცოდა; თუ ბოლთას არა სცემდა, მაშინ ამ ნახევარ საათს შინაურებთან ბაასს ანდომებდა.

მუშაობის პროცესში დროდადრო, მამა დგებოდა და ზურგზე ხელებდაწყობილი მცირე ხანს ბოლთასა სცემდა — ფიქრობდა, თან ისვენებდა; ხელებსაც მოიფშვნეტდა ხოლმე, რადგან წერისაგან ეღლებოდა, თითების სახსრები დასიებულ-დაწითლებული ჰქონდა. მაგიდასთან იჯდა უმთავრესად ხმელ სკამზე, გამართული, წელში ან მხრებში არ იხრებოდა (ჩვენ, ბავშვებს ხშირად გვაძლევდა შენიშვნებს, როცა კითხვის ან წერის დროს მოვიკაკვებოდით), თუმცა ჰქონდა სახელურებიანი ტყავგადაკრული მაღალი სავარძელიც — უფრო სკამი ეთქმოდა, დასვენების დროს ათვალიერებდა გაზეთებს.

დაახლოებით 9 საათზე მამა მსუბუქად „ვახშმობდა": ჭიქა უშაქრო ჩაი, ორიოდე „სუხარი" — დედა უხმობდა თეთრი პურისგან, რომლის შოვნა ჭირდა. ეს ხშირად იწვევდა მამას პროტესტს — არ უნდოდა „პრივილეგირებულ" მდგომარეობაში ყოფნა: თეთრი პური არც ბავშვებს აწყენდათო. 11 საათზე მამა ამთავრებდა მუშაობას და გაემზადებოდა დასაძინებლად...

— ოჯახის წევრები, ცხადია, მტკივნეულად განიცდიდით იმ უკუღმართობას, რაც ოცოცდაათიან წლებში თავს დაატეხეს ივანე ჯავახიშვილს. თვითონ რამდენად ავლენდა შინ თავის სულიერ განწყობილებას უგნურ ბრალდებათა გამო?

— იქნებ ვცდები, მაგრამ ჩემი აზრით, უმადურობა, უსამართლობა და დევნა, რომელსაც ოც-ოცდაათიან წლებში განიცდიდა ივანე ჯავახიშვილი, ფსიქოლოგიურად თითქოსდა ნელდებოდა იმის შეგრძნებით, რომ ყველანი ერთ ტაფაში იწვოდნენ — ეს დევნა მიმართული იყო საერთოდ ქართველი ინტელიგენციის წინააღმდეგ. ცხადია, ამ საერთო ფონზეც განსაკუთრებით უსამართლოდ გამოიყურებოდა ყოველივე, რაც პირადად მას ხვდა წილად, მაგრამ, ვფიქრობ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ამ „კამპანიებში" ყოვლად უღირსი პირები მონაწილეობდნენ, ნამდვილი საზოგადოების ძირითადი ნაწილი ამ საქმეში არა თუ არ ერია, არამედ თვითონაც განიცდიდა დევნას. ყველაზე მეტად საწყენი ის იყო, რომ საქმე ფერხდებოდა და ისიც, რომ ზოგიერთმა პირმა ვერ გაუძლო ამ მძიმე გამოცდას...

შინ ამ ამბებს გარეგნულად მაინც არ მიუღია მეტისმეტად მძაფრი სახე. საბედნიეროდ, მამა არ დასწრებია მისი „განქიქებისადმი" მიძღვნილ არცერთ კრებას; შინაურები — ბიძაჩემი გიორგი, აბაშიძეები, რომლებიც იმ დროს უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ, აგრეთვე მოწაფეები რამდენადაც შეეძლოთ, არბილებდნენ მონათხრობს, ცდილობდნენ აერიდებინათ მისთვის უსიამოვნება. მით უფრო, რომ იმ ხანებში მამა ძლიერ ავადმყოფობდა. უეჭველია, მამას ავადმყოფობის გამწვავების უმთავრესი მიზეზი იმხანად მძიმე ზნეობრივი განცდები იყო. მასზე უთუოდ გამამხნევებლად მოქმედებდა ყურადღება და თანაგრძნობა, რომელსაც მისი უამრავი მოწაფე და თანამოსაქმე იჩენდა...

— ცნობილია, ივანე ჯავახიშვილი სიჭაბუკიდანვე არ გამოირჩეოდა ჯანის სიმრთელით; ოცდაათიანი წლების მის წერილებში იგრძნობა ავი წინათგრძნობა მოახლოებული დასასრულისა. შინაურებში თუ ავლენდა ამას? საერთოდაც, რა დამოკიდებულებას ამჟღავნებდა სიკვდილთან? დატოვა თუ არა ანდერძი?

— სამწუხაროდ, მამას ცხოვრებაში ავადმყოფობას დიდი ადგილი ეჭირა, რაც თავი მახსოვს, მუდამ ავად იყო. მან საკმაოდ კარგად იცოდა მედიცინა, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთ ექიმზე უკეთ, და ამიტომ სიკვდილის მოლოდინი წინათგრძნობაზე კი არ იყო დამყარებული, არამედ საკუთარი ორგანიზმის რეალურ შეფასებაზე. რა დამოკიდებულებას ამჟღავნებდა სიკვდილის მიმართ? მიჭირს პასუხის გაცემა; ვფიქრობ, სავსებით რეალურს, — უეჭველია, იცოდა, დიდი დღე არ ეწერა, მაგრამ ფატალურად არ დაჰყოლია ამ ცოდნას, ცდილობდა შეენარჩუნებინა სიცოცხლე რაც შეიძლება დიდხანს, ესე იგი, ცდილობდა ემკურნალა. წინააღმდეგობას არ უწევდა ექიმების რჩევა-დარიგებას, თუმცა რამდენადმე კრიტიკულადაც იყო განწყობილი ზოგიერთის მიმართ. სიკვდილის შიში მისთვის არასოდეს შემიმჩნევია. არც ანდერძი დაუტოვებია...

# პატარა გოჩას პატარა ბიზნესი

ბაზრობის მოფუთფუთე სიჭრელეში გრძელწინსაფრიანი ცისფერთვალება, ქერა პატარა ბიჭი ტრიალებს ყოჩაღად, ხაჭაპურებს დაატარებს გასაყიდად. თუ ხელს ადრევე გაიცლის, ახლა კოკა-კოლას ბოთლებს დაარბენინებს, დროდადრო ვიღაცას გაეგზავნება სადღაც, დაუზარებლად გაუწევს მცირედ სამსახურს, დაეხმარება. არც ლაზღანდარობას, არც ეშმაკობს, არც არასდროს ცრუობს, არც არავის ატყუებს. სერიოზულად, მონდომებით და იმის გაცნობიერებული შეგნებით ირჯება, რომ შრომით ნაშოვნი შინ უნდა მიიტანოს, დედას ჩააბაროს, შოვნით კი დღეში ექვს ლარამდე შოულობს...

ბიჭი 10 წლისაა და მას გოჩა ჰქვია, გოჩა დემეტრაშვილი. მას მარტო აქ, გლდანი-მუხიანის ბაზრობაზე კი არა, მთელ უბანში იცნობენ და გარდა იმისა, რომ უყვართ და სისხარტესა და შრომისმოყვარეობას უწონებენ, პატივსაც სცემენ, სათუთად უფრთხილდებიან მისი სულის სისპეტაკეს, ჭუჭყისაგან იცავენ ბიჭს, რომელმაც როცა ოჯახს სხვა ბევრი ოჯახივით გაუჭირდა ცხოვრების ახალ პირობებში, თვითონ ირგუნა სასოწარკვეთილებასთან შებმა, იმედის გაღივება-გაძლიერება. არც სამათხოვროდ გაუშვერია ხელი, არც ქურდბაცაცობა დაუწყია თავისი უზედამხედველოდ დარჩენილი თანატოლებივით, ჩვენდა სავალალოდ ასე რომ მოგვიმრავლდნენ ამ ბოლო დროს. სკოლიდან დაბრუნებული ცოტას წაიხემსებს, სულს მოითქვამს და ბაზრისკენ მირბის — იქ საქმე ელოდება, თავისი სულ პატარა ბიზნესი, რომელიც, გარდა იმისა, რომ ოჯახს სულის მოთქმაში ეხმარება, სადღეისოდ და სახვალიოდ საჭირო ბევრ თვისებას სძენს გოჩას. მის ცნობიერებაში მკვიდრდება შეგნება იმისა, რომ ცხოვრებაში გზის გასაკვლევად საჭიროა შრომა, რომ თუ გინდა, რამეს მიაღწიო, გონებაც უნდა ამუშავო და ხელიც უნდა გაანძრიო, რომ არანაირი შრომა არ არის სათაკილო. და კიდევ ერთი რამე ირწმუნა ბიჭმა ურყევად — ადამიანებში სიკეთე ჭარბობს, აკი თვითონაც მზად არის სიკეთე აკეთოს. შეიძლება გაგეცინოთ, თუ გეტყვით, რომ როცა გოჩას ერთ-ერთ მთავარ მეურვეს და დამკვალიანებელს მარინე დეიდას ისეთი მომენტი დაუდგა, რომ სასწრაფოდ დასჭირდა ფინანსური დახმარება, ერთი პირველთაგანი გოჩა ამოუდგა მხარში. თქვენ იტყვით, რა უნდა მოეხერხებინა ათი წლის ხაჭაპურის გამყიდველ ბიჭსო, მაგრამ გოჩა უმალ დატრიალდა, თავისი ტოლი ბიჭები მოიხმარა და ლამის მთელ უბანში ჩამოატარეს კოკა-კოლა. წელში წყდებოდნენ ყუთების სიმძიმისაგან, მაგრამ რას დაეძებდნენ, ფეხჩაუხრელად იშრომეს, საოცრად სწრაფად გაყიდეს და ცოტა იყო თუ ბევრი, ის ფული გოჩამ უფროს მეგობარს მიაშველა. მარინე მათიაშვილმა ოქროსქოჩორა თავი დაუკოცნა ბიჭს, ხოლო ბევრმა უფროსმა მასავით ირწმუნა, რომ თუ გოჩას თანატოლ გოგო-ბიჭებს, ცხოვრების ახალ პირობებში დაბნეული ოჯახების უყურადღებოდ დარჩენილ თუ გარიყულ შვილებს, დღეს რომ ქუჩასა თუ ტრანსპორტში სამათხოვროდ გაუშვერიათ ხელი ან ბაზრებში რაღაცის ასაწაპნად გაფაციცებულან, გულის სითბოს ვუჩვენებთ, ისინი უთუოდ სასიკეთოდ მოექცევიან. გულგრილობა, უბრალო თანაგრძნობა და ვიშვიში ვერაფერს შეცვლის. საქმით გამოხატული გულისხმიერება თუ გადაარჩენს მათ, კონკრეტული მონაწილეობა თუ იხსნის და მომძლავრებულ ცინიზმს არ შეაჭმევინებს მათ სულს, გულს, ზნეობას და ცნობიერებას.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ, საბჭოთა ეპოქაში მიჩნეული იყო, რომ ბავშვების ერთადერთი შრომა შეიძლება მხოლოდ სწავლა იყოს, ხოლო მათთვის შესაფერისი ნამდვილი შრომითი საქმიანობა, უცხო ქვეყნებში მუდამ ბუნებრივად რომ ითვლებოდა, საძრახისად და ყოვლად მიუღებლად აღიქმებოდა. მერე დადგა პერიოდი, როცა მოზარდებისათვის ე.წ. შრომითი სემესტრი შემოიღეს, ცდილობდნენ ერთ თვეში ესწავლებინათ შრომითი ჩვევები. ამაოდ. შრომა კუნტრუშით არ ისწავლება. ბავშვმა ნამდვილად უნდა იშრომოს და მხოლოდ მაშინ ისწავლის იგი სხვისი შრომის ფასსაც და პატივისცემასაც, შრომით მოპოვებული ფულის ყადრსაც. და ფეხზეც უფრო ადვილად დადგება, ადვილად იპოვის თავის ადგილს ცხოვრებაში. ცხადია, ლაპარაკია არა მძიმე, ქანცისგამწყვეტ შრომაზე, არამედ მოზარდების ფიზიკური უნარშესაძლებლობის შესატყვის მცირე საქმიანობაზე. თუ ასე, პირველი საათისათვის ბაზრობაზე შეივლით, უთუოდ თვალში მოგხვდებათ ცისფერთვალა გოჩა, გააჩერეთ იგი და ჰკითხეთ, მოსწონს თუ არა შრომა. ბიჭი ერთს ამოგხედავთ, მერე გაიღიმებს, თანხმობის ნიშნად თავს დაგიქნევთ, რა თქმა უნდაო. მერე თქვენ უეჭველად იმასაც ჰკითხავთ, სკოლაში როგორა გაქვს საქმე, სწავლა თუ გიყვარსო. გოჩა ცალთვალმოჭუტული გიპასუხებთ, ისე რაო და უმალ დაამატებს, სამაგიეროდ მათემატიკაში სულ „ხუთიანები“ მაქვსო, გაიცინებს და საქმეს რომ არ მოსცდეს, მაშინვე გაიქცევა, კოჭებამდე წინსაფრის ჯიბეში კი კოკა-კოლას საცობები აუჩხრიალდება. ყველა ბავშვისათვის სანუკვრად ქცეული „რ“-ს მოლოდინში აგროვებს გოჩა-ბიჭი მათ და ისიც წინასწარ იცის, როგორ მოიქცევა მოგების შემთხვევაში — მოგების დიდ ნაწილს შინ მიარბენინებს, დედას და ორ ძმას გაახარებს, აუცილებლად აჩუქებს რამეს მარინე დეიდას და ასევე აუცილებლად დაურიგებს მოწყალებას მათხოვრებს, ოღონდ მხოლოდ მოხუცებულებს...



# წყალქვეშა გვირაბის საიდუმლო



სათავგადასავლო მოთხრობა

დიმიტრი ლოშყანიძე

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

...შესდექი და ადგილიდან არ დაიძრა, თუ სიცოცხლე არ მოგძულებია! — მოესმა ბილიკზე მიმავალ ლაზარეს, როცა ტყეში იმ ადგილს მიაღწია, სადაც ადამიანის ხელმიუკარები საუკუნოვანი ხეები მიწაზე მზის შუქსა და ციაგს არ უშვებდნენ.

უფრო გაოცებისაგან, და კიდევ მეტად ცნობისმოყვარეობის, ვიდრე შიშის გამო ლაზარე იქვე გაჩერდა.

საფარში საიმედოდ დამალულმა და მოხერხებულად შენიღბულმა მოძალადემ რომ დაინახა, ბიჭმა მისი ბრძანება უყოყმანოდ შეასრულა, ტყიდან ახალი მოთხოვნა ისროლა:

— ასე, ახლა ტანზე გაიხადე, ტანსაცმელი ძირს დადე და საიდანაც მოხვედი, ისევ იქით მოუსვი, ისე რომ უკან არ მოიხედო, თორემ მოვიდა შუბლში ცხელი ტყვია!

ამაზე კი ლაზარემ გულიანად გადაიხარხარა, რადგან ამჯერად ხმაზე უტყუარად იცნო ტყეში ჩასაფრებული „ყაჩაღი".

— ნიკა, მოეშვი მაიმუნობას, ტყიდან გამოდი, თორემ ეგ ჯოხი, ჩემკენ თოფის ლულასავით რომ მოგიშვერია, ზურგსა და გვერდებში მოგხვდება! — სიცილით დაემუქრა ჩასაფრებულს ლაზარე.

გამჟღავნებული „ყაჩაღი" ტყიდან გამოვიდა და ღიმილით მიუახლოვდა ლაზარეს.

— გამოტყდი, რომ გვარიანი შიში ჭამე!

— შიში არა, კიდევ რა გინდა?! — აგდებულად მიახალა ლაზარემ. — ნეტავ ვიცოდე, ტყეტყე უსაქმოდ რას დაეხეტები?!

— არაფერი უსაქმოდ არ დავეხეტები. ხბოები გავდევნე საძოვარზე და შინ ვბრუნდებოდი. შენ რომ დაგინახე, გადავწყვიტე, ამ ჩვენს ლაზარეს თავი მწვანე კიტრივით რომ მოაქვს, მოდი ერთი გამოვცდი, ვნახავ, სინამდვილეში რა ბიჭია-მეთქი. რაც მართალია, გამოცდა, მე და შენ რომ შეგვეფერება, ისე ჩააბარე. თუ საიდუმლო არ არის, ახლა შენც მითხარი, წითელქუდასავით ასე ტყე-ტყე საით გაგიწევია?

— ჯერ ნაცისხარ გორაზე, მერე დევების კლდესთან, ტბაზე საბანაოდ, ჩვენი ბიჭები ალბათ უკვე იქ იქნებიან.

— დევების კლდესთან პო, ვიბანავებთ და ვითამაშებთ კიდეც, მაგრამ ნაცისხარ გორაზე რა გინდა?

— მინდა ის ადგილი ვნახო, ამას წინათ ქიტესა ბაბუამ რომ გვიამბო, დათუნა რაჭის ერისთავმა და შოთა ბერ-მგოსანმა თამარ მეფე აქ, ჩვენს მთებში ვახტანგ გორგასალის მიერ საიდუმლოდ აგებულ წმინდა გიორგის ეკლესიაში დაკრძალეს, ხოლო ის ეკლესიაც და მასთან ერთად ციხეც ერთ ღამეს მთიდან მოწყვეტილმა მეწყერმა დამარხაო. თუ გინდა, შენც გამომყევი.

— სიზმარა მე ვარო, — უთხრა სიზმარამ. თუ სურვილი გაქვს, შემომიერთდი და ერთად წავიდეთო. კეთილი, უთხრა ბელტიყლაპიამ და გაუდგნენ გზას... წავიდეთ, წამოგყვები. ისე მართალი თუ გინდა, მაგ შენი ქიტესა ბაბუას ნაამბობის ბევრი არაფერი მწამს, მაგრამ ტბაზე ბანაობასა და თამაშზე უარს არ ვიტყვი.

...

...ის იყო ლაზარე და ნიკაც მოვიდნენ, რომ ტბიდან ამოსულმა ბიჭებმა სწრაფად გაითვალეს არჩევანი-არადანი. შემდეგ ორ გუნდად გაიყვნენ, დევების კლდის თავზე გადაშლილი მინდორი „სასაზღვრო ხაზით" შუაზე გაყვეს, ზედ „დროშა" ჩამოჰკიდეს, გუნდები საზღვრის გაყოლებაზე განლაგდნენ და თამაშიც გაჩაღდა. კენჭისყრით დროშის დაცვა პირველად ნიკას გუნდს ერგო. ბიჭები შერჩეულ ადგილებზე ჩადგნენ და დაელოდნენ, როდის გამოჩნდებოდა დროშის მოსატაცებლად შემოპარული საზღვრის დამრღვევი. კარგა ხანს არავინ გამოჩენილა. ლაზარე და მისი ამხანაგები შორიდან ზვერავდნენ მოწინააღმდეგეებს. თათბირობდნენ, მარჯვე შემთხვევას უცდიდნენ. მერე ერთი წამი იყო, საზღვრის დამცველებმა ყურადღება მოადუნეს, ამით უმალ ისარგებლა გივიმ, ადგილიდან მოწყდა, საზღვარი გადალახა, ქეშანასა და თემოს თვალსა და ხელს შუა გაუძვრა და დროშისკენ გაიქცა. ზურა და თემო გონს მოეგნენ და გამოუდგნენ. თემომ იმარჯვა, გზა მოუჭრა და დროშას აეფარა. ამასობაში ზურაც წამოეწია, „დაჭრა" გივი, დაატყვევა და დარაჯიც მიუჩინა. ვიდრე ნიკას ბიჭები გივის დატყვევებით მოგვრილ სიხარულს უზიარებდნენ ერთმანეთს, ლაზარეს ბევრი არ უფიქრია, უშიშრად შეიჭრა მოწინააღმდეგის ბანაკში. გიო, ზურა, და თემო უკან დაედევნენ, მათ ბეგოც შეუერთდა, ორი მხრიდან დაუარეს, მაგრამ სანამ ვინმე მისწვდებოდა, ლაზარემ მოასწრო, ჯერ გივი გაათავისუფლა ტყვეობიდან, მერე დროშაც მოიტაცა და თავისიანებისკენ მოჰკურცხლა.

ბეგომ, გიომ, თემომ და ზურამ საზღვარზე გადასასვლელი გზა მოუჭრეს და კლდისკენ მისჩიხეს. მდევრებს იმედი ჰქონდათ, რომ ლაზარეს ასე უფრო ადვილად იგდებდნენ ხელში და მოტაცებულ დროშასაც დაიბრუნებდნენ, რადგანაც იმ მხარეს, საითაც ახლა ლაზარე გარბოდა, მინდორი მთავრდებოდა და დევის კლდე იყო აღმართული, კლდის იქით კი, დაბლა, ტბის სახიფათო მორევი დუღდა. გულამღვრეული მორევისა ყველას ეშინოდა მზისაში, ამიტომ დაიმედებული იყვნენ, რომ ვერც ლაზარე გაბედავდა მორევის ხახაში ჩახტომას.

თავდაუზოგავად მიჰქროდა ლაზარე, დავიწყებოდა ტოლებთან თამაშში რომ იყო ჩაბმული და თავი სამშობლოს ერთგულ მებრძოლად წარმოედგინა. დროშა კი —

მტრის სულად. გამოეტაცნა ურჯულოთა ბანაკიდან ვერაგი მტრის სული, ძალასა და მხნეობას რომ ჰმატებდა მათ ურიცხვ ლაშქარს, და ახლა სამშობლოს ხსნა იმაზე იყო დამოკიდებული, გაუსხლტებოდა თუ არა ლაზარე მდევარს, გადაასწრებდა თუ არა საზღვარზე, მიიტანდა თუ არა თავისიანებამდე ნადავლს. უნდა გადაესწრო, უნდა გადაეტანა, და მიჰქროდა ბიჭი რათა საკუთარი თავი კი არა, სამშობლო ეხსნა. ბრძოლის მოგების ჟინით შეპყრობილი, სხვას ვერაფერს ხედავდა, გარდა წინ გაშლილი მინდვრისა, რომელიც „დაუჭრელად“ უნდა გაელია და სამშვიდობოს გასულიყო. არც „მდევარი“ გამოდგა ჯაბანი. ფეხდაფეხ მისდევდნენ ბიჭები. ხომ ქარის უსწრაფესად მიჰქროდა ლაზარე, მაგრამ არც ბეგო და ზურა უდებდნენ ტოლს. აჰა, მიაღწია ლაზარემ დევის კლდის გადასახედს და ზურაც წამოეწია. ის იყო, უნდა სწვდომოდა, დაეტყვევებინა და ნაალაფარი დროშაც წაერთმია, რომ ლაზარემ იშვირა ფეხი და პირდაპირ წყალში გადაეშვა. ამას კი არავინ მოელოდა. დაბნეულმა ზურამ თავი ძლივს შეიკავა, რათა უკანასკნელ წამს თვითონაც არ გადაჰყოლოდა ამხანაგს.

თუმცა აქ კლდე არც ისე მაღალი იყო, ამ სიმაღლიდან წყალში გადახტომა არც ერთ მზისელ ბიჭს არ გაუჭირდებოდა, მაგრამ იქიდან, საიდანაც ლაზარე გადახტა თუ გადავარდა, ადამიანი პირდაპირ მორევში ხვდებოდა, იმიტომაც გაუჭირდათ იმის დაჯერება, რომ ლაზარე ასე თამამად, თავისი ნებით გადაეშვა წყალში, ასე ეგონათ, ზურას რომ გასხლტომოდა, თავაწყვეტილი სისწრაფით აქეთ გამოქცეულმა თავი ვეღარ შეიკავა და კლდიდან შემთხვევით გადავარდაო. ბიჭებმა თამაში მოშალეს და კლდის გადასახედთან მოიყარეს თავი. კისერი წაიგრძელეს და პირშეკრულ მდუმარე ტბას ჩააცქერდნენ. ერთხანს უცადეს, რადგან ჯერ კიდევ ეგონათ, ლაზარეს ჩვენი შეშინება უნდა და სადაც არის ამოყვინთავსო, მაგრამ როცა წყალქვეშ გაძლება-დაყოვნების დასაშვები ყოველი დრო გავიდა, ბიჭები ერთბაშად დაიზაფრნენ. ყველას ენა ჩავარდნოდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო კარგავდნენ ლაზარეს გამოჩენის იმედს.

— ასე როდემდე ვიდგეთ?! — იკითხა ბოლოს უკმაყოფილოდ გივიმ და ამხანაგებს გადახედა.

— აბა რა ვქნათ?! — კითხვას კითხვა მიაგება ლერომ.

— რა ვქნათ და მოვძებნოთ.

— კი, ბატონო, მაგრამ სად ვეძებოთ?! — ვითომ არ იცოდა, სად უნდა მოეძებნათ წყალში გაუჩინარებული ამხანაგი, ისე იკითხა თემომ და უიმედოდ მიმოიხედა ირგვლივ.

— სად და სადაც გადავარდა — გაღიზიანდა გურამი.

— ტბაში რომ არ ჩანს?! — თავი იმართლა თემომ.

— ზედაპირზე თუ არ ჩანს, სიღრმეში ვეძებოთ! — მხარი დაუჭირა მეგობარს ნიკამ.

— წყალში ცოცხალს ამდენ ხანს რა გააძლებინებდა, ხოლო თუ მართლა რაიმე უბედურება შეემთხვა, მაინც ხომ წყლის ზედაპირზე უნდა ამოტივტივებულიყო, — ჩაერია ოთარი.

— ვინ იცის, იქნებ ასეც მოხდა. კიდეც ამოტივტივდა და წყალმა ისე წაიღო, რომ ჩვენ ვერ შევნიშნეთ, — მხარი დაუჭირა ოთარს გივიმ.

— ასეა თუ ისე, აქ დგომას აზრი არა აქვს, მდინარეს დავუყვეთ. თუ მართლა წყალმა მოიტაცა, შორს არ წაიღებდა, ბევრი-ბევრი ას, გინდაც ორას მეტრზე ეტარებინა, იმის იქით თავთხელია და სადმე გამორიყავდა — უსუსურ იმედს ჩაებღაუჭა ნიკა.

ბიჭებს ნიკას ნათქვამი ჭკუაში დაუჯდათ. უმალ მიმოიფანტნენ და რიყეს დაუყვნენ. საეჭვო ადგილებს საგულდაგულოდ ჩხრეკდნენ, ეძებდნენ, აცქერდებოდნენ, ყოველი ქვის ძირს ხელით სინჯავდნენ, მაგრამ ლაზარე არსად ჩანდა. როცა მიხვდნენ, რომ ამაოდ ირჯებოდნენ, ძებნა შეწყვიტეს და სასოწარკვეთილები ერთმანეთს მიაჩერდნენ.

— იქნებ, ფარულად გამოცურა და სადმე დაიმალა, ჩვენ გაწამაწიას შორიდან უცქერის და სიცილით იგუდება?!

ბიჭები ახლა ამ ნაკლებად საიმედო ხავსს ჩაეჭიდნენ, არემარეს მოედვნენ და აყვირდნენ, ლაზარე, სადა ხარ, გამოჩნდი, გეყოს ხუმრობაო, მაგრამ არავინ გამოპასუხებიათ და მაშინ ბიჭებმა საბოლოოდ დაკარგეს ლაზარეს ცოცხლად პოვნის ყოველგვარი იმედი.

— რაც მოხდა, სოფელს უნდა შევატყობინოთ, — ისე თქვა ნიკამ, თითქოს ამით საქმეს ეშველებოდაო.

— სოფელი შორსაა, სანამ იქ მივალთ და ვინმეს შევატყობინებთ, ლაზარეს ძებნას აზრი აღარ ექნება — იუარა გივიმ.

— იქნებ ლაზარე მართლაც აღარ იყოს ცოცხალი, მაგრამ მაინც უნდა ვეძებოთ, ჩვენც და სოფელმაც, — მიუგო ნიკამ.

— სოფელში ასვლას ისევ ის ჯობია, აგერ იმ სერზე მთიბავები რომ თიბავენ, იმათ შევატყობინოთ. ეგებ მაინც ცოცხალია და როგორმე გადავარჩინოთ — გივის არამც და არამც არ უნდოდა ლაზარეს დახრჩობის აზრს შეგუებოდა.

— შევატყობინოთ, — უმალ დაეთანხმა ყველა და რამდენიმე ბიჭი მთიბავებისკენ გაიქცა.

მთიბავები სადილად ისხდნენ. დაფეთებული ბიჭების დანახვაზე გულმა რეჩხი უყოთ. ამათ თავს ნამდვილად რაღაც ცუდი ამბავი უნდა იყოსო, — გაიფიქრეს, ჭამას თავი ანებეს, წამოიშალნენ და წინ მიეგებნენ ბიჭებს.

— რა მოხდა? — შორიდან იკითხა კაციამ.

— ლაზარე... — სათქმელი ვერ დაამთავრა ზურამ, ქვითინი აუვარდა.

— რა, რა დაემართა ლაზარეს?! აღარ იტყვით?! — ბიჭების შეშფოთება უფროსებსაც გადაედო.

— დაიხრჩო... წყალში გადავარდა და... — სლუკუნით ამოთქვა ავი ამბავი ზურამ.

მთიბავებმა ჯერ არ დაიჯერეს, ერთმანეთს შეშფოთებით გადახედეს, რას ამბობენ ეს ბავშვებიო?!

— სად გადავარდა, რას ამბობ?! — როგორც იქნა გონს მოეგო კაცია.

— ტბაში.

— ტბაში? მერე სად არის?! — რაც ენაზე მოადგა, ის იკითხა კაციამ.

— ახლა... ახლა არ ვიცით, სად არის — უთხრა ნიკამ მხრების აჩეჩვით.

— როგორ თუ არ იცით, თქვენ რაღაცას ხომ არ მაიმუნობთ?! — გაბრაზდა პაპუნა. — ჯერ იძახდით, ლაზარე წყალში დაიხრჩოო, ახლა ამბობთ, არ ვიცით, სად არისო?!

— საქმე ის არის, რომ ნახევარი საათის წინ ლაზარე, დევების კლდე რომ არის, იმის თავიდან ტბაში გადახტა და... რომ აღარ ამოვიდა, ტბაშიც ვეძებთ, ტბის ნაპირზეც, მდინარესაც გავყევით თავთხელამდე, მაგრამ ვერსად მივაგენით — სხაპასხუპით უამბო ნიკამ ყველაფერი.

მთიბავებმა ზედმეტ გამოკითხვას თავი ანებეს, ერთბაშად მოფრქნენ და სერის თავიდან ტბისკენ სირბილით დაეშვნენ. ბიჭებიც ფეხდაფეხ მიჰყვნენ. ცუდი ამბავი ფიქრივით სწრაფია და ქარზე ამხედრებული მიჰქრის კაცისკენ, ვერც მანძილი აბრკოლებს, ვერც სივრცე. უკვე სოფელსაც შეეტყო ლაზარეს დახრჩობის ამბავი და ბიჭის საძებნელად ტბისკენ დაძრულიყო. ზოგი მდინარის ნაპირს მიჰყვებოდა და წყალს ჩხრეკდა, სხვები გულებამოვარდნილები ბილიკებით თუ უგზო-უკვლოდ მირბოდნენ შემთხვევის ადგილისაკენ.

შემზარავი ამბით შეძრწუნებულმა სოფლელებმა ტბის პირს რომ მიაღწიეს, მთიბავები იქ დაუხვდნენ. ზოგი წყლის პირას იდგა, სხვები მდინარის გაღმა-გამოღმა ნაპირებს ჩხრეკდნენ. რამდენიმე კაცი ტბის ფსკერს აკვირდებოდა, ხელში გრძელი ჯოხები ეჭირათ და ისე ცდილობდნენ ფსკერის მოხილვას, თუმცა რა ჯოხები უნდოდათ, როცა მიუხედავად დიდი სიღრმისა, ტბის წყალი იმდენად კამკამა და გამჭვირვალე იყო, ფსკერზე ყოველი კენჭიც კი გარკვევით მოჩანდა.

— რა ჰქენით, ხალხო, ვერაფერი გაიგეთ?! — შორიდან იკითხა ქლოშინით მოვარდნილმა სათემოს გამგებელმა შავლეგომ.

— ვერაფერი, — მოკლედ მიუგო კაციამ.

— მაშ, არსადა ჩანს, კაცო?!

— არსად.

— არც ცოცხალი და არც მკვდარი.

— ეს რა დღეში ჩაგვყარა მაგ ბიჭმა, ჰა?! — მწუხარებით ჩაილაპარაკა შავლეგომ და ოფლით დაცვარული შუბლი ცხვირსახოცით შეიმშრალა. — რა ვიცი, რა ვიცი, რაღაც სხვანაირი ჩანდა ეს ბიჭი, უცნაური, მოუსვენარი, თითქოს საგანგებოდ ეძებდა ფათერაკსა და ხიფათს. აკი ბოლოს ვერც ასცდა წყეული უბედობის ხაფანგს!

ამის გაგონებაზე ქალებმა ტირილსა და მოთქმას უმატეს.

— ვაი, მისი დედის გაგებას! ამოიკვნესა ერთმა.

— აბა, აბა, სალომეს გული ნამდვილად ვერ გაუძლებს ამ ამბავს და მოკვდება ეგ საცოდავი! — კვერი დაუკრა მეორემ.

— ნადირსაც ნუ მოუკვდება შვილი, ქალებო! — თქვა ეფრო დეიდამ, — ყმაწვილქალობაში დაქვრივებული სალომე ამ ერთ ანგელოზ ბიჭს შესჩერებოდა, ახლა უმისოდ დარჩენილს, რა აცოცხლებს?! საცოდავი, ამ დილით რაიონში წავიდა, ძმას შემოეთვალა, შეუძლოდ ვარ და მინახულეო. დაბრუნდება და რა ამბავი დახვდება?!

სულ ტყუილად გაისარჯა სოფელი. ლაზარეს ვერავითარ კვალს ვერ მიაგნეს.

სალომე ჯერ არ დაბრუნებულიყო რაიონიდან. დაზაფრული ხალხი გულის კანკალით მოელოდა მის გამოჩენას, თითქოს უბედურების მიზეზი სოფელი ყოფილიყოს. ქალები ჩუმად ეშუშუშებოდნენ, კაცები ოდნავ განზე გამდგარიყვნენ და ხმას არ იღებდნენ. უფროსებისგან მოშორებით იდგნენ ლაზარეს მეგობრები და უხმოდ იცრემლებოდნენ. ესმა და ხათუნა გულამოსკვნილნი ქვითინებდნენ.

— გაჩუმდი, გოგო, რა გატირებს?! იქნებ სასწაული მოხდეს და ლაზარე გამოჩნდეს, მერე რას ეტყვი, ცოცხალს დატირეთო?! — შეუტია ესმას ნიკამ.

— ოღონდ გამოჩნდეს და ჩემი ცრემლები არაფერს ავნებს, მაგრამ ასეთი სასწაულები რომ არ ხდება?! თითქმის ექვსი საათი გავიდა მას შემდეგ, რაც ლაზარე წყალში ჩავარდა და ცოცხალი რომ იყოს, აქამდე ბარემ ათჯერ უნდა გამოჩენილიყო — ტირილით მიუგო ესმამ.

— ეს სალომეც რომ არა ჩანს, — უმისამართოდ თქვა ეფრო დეიდამ.

— რა კარგი ამბავი აქ ელოდება, რომ შინ მოსვლა იჩქაროს. — მწუხარედ ჩაილაპარაკა ოთხმოც წელს გადაცილებულმა მარიანა ბებიამ.

— მეზობლებო, უკვე გვიანია. უმჯობესია სახლებში წავიდეთ, ხვალ უამრავი საქმე გვექნება მოსაგვარებელი — ურჩია შეკრებილთ სათემოს გამგებელმა, მაგრამ ფეხი არავის მოუცვლია.

მოულოდნელად ჭიშკარი გაიღო და ანჯამების ჭრიალიც გაისმა, მაგრამ იქით არავის გაუხედავს. იფიქრეს, რომელიმე მეზობელი თუ მოვიდა ბიჭის ამბის გასაგებადო. მაგრამ ამ დროს ესმამ მთელი ხმით იყვირა, ლაზარეო და ყველა ჭიშკრისკენ შემობრუნდა. იქ თავით ფეხებამდე გალუმპული ლაზარე იდგა. ხალხი თვალს არ უჯერებდა. შეშინებულმა ქალებმა გამალებით გადაიწერეს პირ-



ჯვარი. ლაზარემ თავის ეზოში შეკრებილი თანასოფლელები რომ დაინახა და მათ შორის დედამისს ვერ მოჰკრა თვალი, თავისი თავგადასავალი სულ გადაავიწყდა, იფიქრა, ალბათ დედაჩემს ცუდი ამბავი შეემთხვაო და ტირილნარევი ხმით იკითხა:

— რა ამბავია, დედაჩემს რა დაემართა?!

— დედაშენს?! — გაუკვირდა ეფრო დეიდას. — დედაშენს არაფერიც არ დამართნია, შენ სადა ხარ, შენ, ქვეყანა რომ ააწიოკე?! საიდან მოდიხარ?

— საიდან მოვდივარ?! — სიზმარში მყოფივით იკითხა ლაზარემ და ტანზე დაიხედა, თითქოს ასე სურდა გაეხსენებინა, საიდანაც მოდიოდა.

სანამ ბიჭი რამეს იტყოდა, საუბარში შავლეგო გამგებელი ჩაერია:

— ბიჭო, ნამდვილად სალომეს ლაზარე ხარ, თუ ქრისტეს მიერ მკვდრეთით აღდგენილი ბიბლიური ლაზარე?!

ლაზარე დუმდა.

— აღარ იტყვი, ბიჭო, სად იყავი დაკარგული?! — შეუტია გამგებელმა.

— სად ვიყავი და დევების კლდესთან რომ ტბა არის, იქ...

შავლეგო გამგებელმა იფიქრა, დამცინისო და მოთმინების ძაფგაწყვეტილმა ხმამაღლა შეუძახა:

— რაო, ტბაშიო?! ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ეს ბიჭი, მგონი, სულ გადარეულა! შენ გაგიჟდი, თუ ჩვენ გგონივართ ბრიყვები და სულელები?! ნეტა რომელ ზღაპარში ამოიკითხე და თუ ამოიკითხე, როგორ დაიჯერე, რომ დღის ხუთ საათზე წყალში გადამხტარი ადამიანი ღამის თორმეტ საათამდე შიგ ყოფილიყოს და მერე იქიდან საღ-სალამათი ამოსულიყოს. ის გირჩევნია, გულახდილად გვითხრა მეგობრების დასაფეთებლად უხეიროდ ვიხუმრე და ყველას გთხოვთ მაპატიოთ-თქო!

— შავლეგო ბიძია, დედას გეფიცები, არ მიხუმრია! — ისევ სცადა თავის მართლება ლაზარემ, მაგრამ გაფიცხებულ გამგებელს არაფრის გაგონება არ უნდოდა, გაგულისებულმა ზურგი შეაქცია ბიჭს და ხალხს მიუბრუნდა:

— ჰე, წავიდეთ ახლა ჩვენ-ჩვენ სახლებში, ეს ბიჭი ცოცხალი ყოფილა და...

სოფლელები ნელ-ნელა გაიკრიფნენ. ეზოში მარტო ლაზარეს ამხანაგები დარჩნენ. ესმამ ფრთხილად შეახო ტანზე ხელი და თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა, თითქოს არ სჯეროდა, რომ ეს ბიჭი ნამდვილად ლაზარე იყო.

ლაზარემ ესმას ხელი მოიცილა და წყრომით ჰკითხა:

— რა იყო, გოგო, პირველად ხომ არ მხედავ?!

— ლაზარე, კიდევ თქვი რამე, რომ დავრწმუნდე, ნამდვილად შენ ხარ თუ სიზმარში ვარ და მელანდები.

ლაზარეს გაეღიმა.

— ახლა ვერაფერს გიამბობთ, მგელივით მშია და ისე ვარ დაღლილი და შემცივნებული, ერთი სული მაქვს, როდის დავენაყრდები და დავიძინებ... ვისაც ჩემი ამბავი გაინტერესებთ, ხვალ ტბაზე ჩამოდით და ყველაფერს გიამბობთ...

...

— სად ვიყავი და... — დაიწყო ლაზარემ — დევის კლდესა და წყალთა შუა.

— მორჩი ზღაპარს! წყალსა და კლდეში ამდენ ხანს რა გაგაძლებინებდა? — დაეჭვდა გივი.

— თუ არ გჯერა, ზურა და ბეგო აქ არ არიან, ამათ ჰკითხე, ორივემ ხომ საკუთარი თვალით დაინახა, როგორ გადავხტი წყალში. ზურა, ასე არ იყო?

— კი, ასე იყო — დაუდასტურა ზურამ..

— ესეც მე ვარ?! — ნიშნის მოგებით იკითხა ლაზარემ და თვალები ეშმაკურად მოწკურა.

— ეგ, ჰო, მაგრამ მერე, მერე რა მოხდა?! — ჩაეძია ნიკა.

— მერე?! — ლაზარე ზურას მიუბრუნდა, — შენ და ბეგო რომ გამომეკიდეთ, მინდვრის ბოლოსკენ გავიქეცი, ტბაში ჩახტომა კი წინასწარ არა მქონია ჩაფიქრებუ-

ლი. მივრბოდი და მარტო ის მინდოდა, რომ თქვენთვის მეჯობნა, საზღვარი გადამელახა და მოტაცებული „დროშა“ ჩემიანებთან მიმეტანა. აზარტში შესულს საერთოდ არ მახსოვდა, თუ ტბა იმ მხარეს იყო, არც იმას მოველოდი, თუ მინდორი ასე მალე დამთავრდებოდა. უბრალოდ მჯეროდა, რომ სანამ მის ბოლოში გავიდოდით, ერთ-ერთი მხარე დაიღლებოდა და გამარჯვებულიც ის დარჩებოდა, ვინც ამ ქროლვას გაუძლებდა. გულში დარწმუნებული ვიყავი, რომ გამარჯვებული სწორედ მე ვიქნებოდი. ზურას და ბეგოს ფეხის ხმა და სუნთქვა სულ უფრო გარკვევით მესმოდა. როგორც კი მინდორი გაილია და ტბის მოსარკული ზედაპირი გამოჩნდა, დავრწმუნდი, რომ მდევრებისაგან თავის დაღწევის ერთადერთი გზა წყალში გადახტომა იყო. ოდნავადაც არ შემინელებია სიჩქარე, ვისკუპე და... აუჰ, რომ იცოდეთ, როგორ მესიამოვნა სირბილისა და სიცხისაგან გახვითქულს წყლის სიგრილე, როგორ კმაყოფილებას ვგრძნობდი, წყალს რომ სოლივით მივაპობდი და მის სიღრმეში მივსრიალებდი! უკან გამობრუნება მანამდე არ გამხსენებია, სანამ ფეხით ტბის გლუვ და ოდნავ სიპ კლდოვან ფსკერს არ შევეხე.

— ტბის ფსკერზე ჩააღწიე? — გაუკვირდა გურამს.

— კი, — მოკლედ მიუგო ლაზარემ და განაგრძო: ფეხქვეშ მიწა რომ ვიგრძენი, შემეშინდა, წყალში ძალიან ღრმად ჩავქრილვარ და თუ ზედაპირზე სასწრაფოდ არ ავცურე, უჰაეროდ დავიხრჩობი-მეთქი. ფეხი ავამოძრავე და ზევით ამოცურება ვცადე. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მოულოდნელად გვერდიდან წყლის მძლავრი დინება მეტაკა და სადღაც გამაქანა. ვაიმე, ვიხრჩობი-მეთქი — გამიელვა თავში, შემეშინდა და დაყვირება დავაპირე, მაგრამ ჰაერი აღარ მეყო და გავიგუდე. ნახევრადგონდაკარგულს წყლის დინება თავის ნებაზე მიმაქანებდა, და ალბათ ვერც გადავრჩებოდი, მოულოდნელად ხელით რაღაც მყარსა და მაგარს რომ არ შევხებოდი. მივხვდი, რომ კლდის ქიმს წავაწყდი და ჰაერი ჩავისუნთქე. სული ოდნავ რომ მოვითქვი, ძალა მოვიკრიბე და ნაპირზე ამოვედი. დარწმუნებული ვიყავი, დამინახავდით თუ არა, მომეშველებოდით.

— რომ დაგვენახე, მოგეშველებოდით, აბა რას ვიზამდით! — დაემოწმა ბესო.

— ვერც დამინახავდით — მიუგო ლაზარემ.

— რატომ? — გაოცდა ნიკა.

— მაგასაც გეტყვით. წყალს დალლა, სცოდნია, ვერ წარმოიდგენთ, ისე ვიყავი დაქანცული, ფეხზე ვერ წამოვდექი, მუცელზე მივხოხავდი და ვცდილობდი რაც შეიძლება დიდ მანძილზე მოვშორებოდი ტბას. მერე გონება დავკარგე თუ ჩამეძინა, ახლაც ვერ ვხვდები. გონს რომ მოვედი და თვალი გავახილე, დავინახე, რომ... — ლაზარემ წამით შეწყვიტა თხრობა სულის მოსათქმელად, უფრო კი იმიტომ რომ გაეგო, რა შთაბეჭდილებას ახდენდა ამხანაგებზე მისი ნაამბობი. ყველანი სულგანაბულები უსმენდნენ.

ბესომ დრო იხელთა და ჰკითხა:

— შენ ის გვითხარი, თვალი რომ გაახილე, რა დაინახე, — იგი დარწმუნებული იყო, ახლა ლაზარე უთუოდ იტყვის, თვალი რომ გავახილე, ზღვის ურჩხული, დინოზავრი, პირდაფჩენილი გველეშაპი, ასთავიანი დევი თუ რაღაც ამგვარი საოცრება დავინახეო.

— თვალი რომ გავახილე, ვერაფერიც ვერ დავინახე, — ყველასათვის მოულოდნელად განაცხადა ლაზარემ, — მარტო ის ვიგრძენი, რომ იატაკს შევეხე. ჩვეულებრივი მშრალი მიწა იყო, გამოქვაბულის, გვირაბის თუ მღვიმის ფსკერი. მიკვირდა, სად მოვხვდი-მეთქი. ანაზდად წყლის ჩუმი დგაფუნი მომესმა. მივხვდი, რომ ტბა შორს არ უნდა ყოფილიყო. მაღლა ავიხედე, რომ ცა, ვარსკვლავები, ან სულაც ცის შემსუდრავი შავი ღრუბლები მაინც დამენახა, მაგრამ როცა უსაშველო სიბნელის მეტი ვერაფერი დავლანდე, მივხვდი, რომ სადღაც მიწისქვეშეთში ვიყავი.

— არ შეგეშინდა? — ჰკითხა ხათუნამ და თვითონ შეშინებული, მხარზე მიეკრა ესმას.

— რომ ვთქვა, არ შემეშინდა-მეთქი, რომელი თქვენგანი დამიჯერებს. შემეშინდა და კარგა გვარიანადაც, მაგრამ იმასაც ვხვდებოდი, რომ შიში ვერ მიშველიდა. რამდენჯერმე ხმამაღლა ვიყვირე, მიშველეთ-მეთქი, მაგრამ იყვირე რამდენიც გინდა სამარეში, ვინ რას გიშველის! ჩემი ხმა და ძახილი უკანვე მიბრუნდებოდა დაცინვასავით. როცა დავრწმუნდი, რომ ჩემი მშველელი არავინ იყო, გადავწყვიტე თვითონვე მეცადა ამ უჩვეულო ხაფანგიდან თავის დაღწევა. ისე როგორ იქნება, გასასვლელი არა ჰქონდეს, ცამცუმის კოშკი ხომ არ არის-მეთქი, ვიფიქრე. საკუთარ თავს შევუძახე, გავმხნევდი, ფეხზე წამოვდექი და უახლოეს კედელს ხელით შევეხე. მერე ასე ხელის ცეცებით ფრთხილად გავყევი კედელს. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი თუ არა, წყლის დგაფუნი სულ ახლოს შემომესმა. დავაკვირდი. ხმა ძირიდან მოდიოდა. მივხვდი, იატაკს ნაპირი ჰქონდა, შიგ წყალი იდგა და ის დგაფუნობდა. მორევში ჩათრეული, ეტყობა, წყალმა აქეთ გამომრიყა და ნაპრალში ჩამდგარი წყლიდან ამოსული მოვხვდი ამ ჯურღმულში-მეთქი, — მივხვდი ბოლოს. ნაპრალს გვერდი ავუარე და მოულოდნელად გარედან შემოსულ შუქს მოვკარი თვალი. შუქი საკმაოდ მოზრდილი სარკმლიდან იღვრებოდა. იქ რაღა გამაჩერებდა?! სარკმლიდან გადმოვძვერი და ამ ჩვენი დალოცვილი ტბის პირას კი აღმოვჩნდი. ცის ხილვამ და ღამის სიბნელემ გამახსენეს, როდის ჩავხტი ტბაში, მივხვდი, რამდენი დრო გასულიყო და მაშინვე წარმოვიდგინე, დედაჩემი რა დღეში იქნებოდა...

— აქედან რომ არ ჩანს, სად არის ის სარკმელი, საიდანაც გადმოვძვერი? — დაარღვია სიჩუმე ესმამ.

ლაზარე ტბისკენ შებრუნდა და კლდეს გახედა.

— ის სარკმელი აქედან არ ჩანს. ისეა შენიღბული, თუ ახლოს არ მიხვედი, ისე ვერ დაინახავ.

— ლაზარე, შენ როგორ გგონია, ის მღვიმე თუ გამოქვაბული, ერთი ოთახია თუ კიდევ არის რაიმე?

— არ ვიცი, ესმა. მაგის დადგენის თავი სადა მქონდა... ისე კი, მე მგონია, რომ მარტო ერთი ოთახი უნდა იყოს, სწორედ ის, რომელშიც მე ვიყავი.

— რა საინტერესო იქნება, არა მისი მონახულება?! — სურვილი გამოთქვა ესმამ.

— ჰო, ალბათ, — ორჭოფულად დაემოწმა ლაზარე.

— ალბათ კი არა, დარწმუნებული ვარ, ძალიან საინტერესო იქნება — ჩაერია საუბარში ხათუნა.

— ჰოდა რა იქნებოდა, რომ შევისწავლოთ და გამოვიკვლიოთ! — ყველასათვის მოულოდნელად დაინტერესდა ესმა. ბიჭები კი დუმდნენ, მაგრამ ესმა მიხვდა, რომ უმეტესობას ჭკუაში დაუჯდა მისი ნათქვამი და უფრო მეტი ხალისით განაგრძო:

— ერთიც ვნახოთ და ეს ჩვენი დევების კლდე ისეთივე გამოქვა-



პუბული გამოდგეს, როგორიც ახალ ათონსა და სათაფლიაშია. მერე ნახეთ, ჩვენი სოფლის სახელი სადამდე გავარდეს!

— სათაფლია არა, კიდევ რა გინდა! — რატომღაც არ დაეთანხმა ქეშანა.

— რა იცი, თუკი იქ არის, აქ რატომ არ შეიძლება რომ იყოს?! — თავისას არ იშლიდა ესმა.

— რატომ და იმიტომ! სათაფლიას მსგავსი მღვიმეები ყოველ ნაბიჯზე კი არ გვხვდება?!

— მეც ვიცი, რომ ყოველ ნაბიჯზე არ გვხვდება, მაგრამ მაინც ხომ გვხვდება! — უკან არ დაიხია ქალიშვილმა.

ამას წინათ გაზეთში წავიკითხე, წყალტუბოს რაიონის, აღარ მახსოვს, რომელიღაც სოფელში შემთხვევით ჯერ პატარა მღვიმე უპოვნიათ, მერე კედელი რომ შეუნგრევიათ, რამდენიმე ოთახი კიდევ სხვა აღმოჩენილა. განა მე კი არ ვიცი, რომ უჩვეულო ამბები ყოველდღე არ ხდება, მაგრამ ხომ ხდება! ბოლოს და ბოლოს თუ იმის მეტი არაფერი იქნება, რაც ლაზარემ ნახა, არც მარტო იმის დათვალიერება და შესწავლა იქნება ურიგო.

— შეისწავლე, მერე ვინ დაგიმალა! — მიახალა ოთარმა.

— ჰოდა, შევისწავლოთ კიდეც! — ესმას ნაცვლად შეაგება ხათუნამ.

ყველა ლაზარეს მიაჩერდა, რას იტყვისო, აქამდეც ხომ ასე იყო და ახლა მის სიტყვას ბიჭების თვალში ერთი-ორჯერ მეტი ფასი დაედო. ლაზარე კი ჯიუტად დუმდა.

ბოლოს ესმამ ვეღარ მოითმინა და პირდაპირ ჰკითხა:

— ლაზარე, შენ რას გვირჩევ, როგორ მოვიქცეთ, ღირს იმ შენს მიერ აღმოჩენილი მღვიმის თუ გამოქვაბულის დასათვალიერებლად თავის შეწუხება?

— არა მარტო ღირს, აუცილებელია! — მტკიცედ განაცხადა ლაზარემ. იქ ერთხელ ყოფნა ბევრს არაფერს ნიშნავს. ან კი ჩემი ყოფნა ყოფნა იყო, იმ უკუნეთში ვერც ვერაფერი დავინახე და ვერც ვერაფერი გავარკვიე. ისე... რომ იცოდეთ, ეჭვი მაქვს, რომ ის არც მღვიმეა და არც გამოქვაბული.

— კარგი რა, აბა მაშ რა არის?! — გაუკვირდა ბესოს.

— მეწყერისაგან დამარხული ციხისა და ეკლესიისკენ მიმავალი მიწისქვეშა გვირაბის შესასვლელი უნდა იყოს.

— ეე, ამან ისევ აურია, კარგი რა! — იყვირა ქეშანამ.

— ბიჭო, შენ იმ ციხესა და ეკლესიას ვერა და ვერ ეშვები, არა?!

— არც მოვეშვები, სანამ არ დავწყნარდები, რომ არც ციხე არსებობდა ქვეყნად, არც ეკლესია და არც მითუმეტეს მათკენ მიმავალი გვირაბი! არ ვიცი, რომელიმე წამოხვალთ თუ არა, მე კი აუცილებლად წავალ! — გადაჭრით განაცხადა ლაზარემ.

— მეც წამოგყვები! — დაპირდა ზურა.

— არც მე ვამბობ უარს! — ლაზარეს და ზურას ნიკაც შეუერთდა.

კიდევ რამდენიმე ბიჭმა გამოთქვა გამოქვაბულში ჩასვლის სურვილი.

— მოდით, ბარემ ისიც დავთქვათ, როდის წავიდეთ? — იკითხა გივიმ.

— მე მგონია, ამ საქმეში აჩქარება არ ივარგებს, ხომ უნდა მოვემზადოთ, ისე მოუმზადებლად რომც ჩავიდეთ, მაინც ვერაფერს გავაკეთებთ.

— ისეთი რა მომზადება გვჭირდება? — აგდებით იკითხა ქეშანამ.

— პირველ რიგში სინათლე გვჭირდება, გარდა ამისა, წერაქვიც უნდა გვქონდეს — ისე თქვა ლაზარემ ეტყობოდა, ყველაფერზე წინასწარ ეფიქრა.

შეთანხმდნენ, რომ კვირის ბოლოს მოინახულებდნენ საიდუმლო მღვიმეს.

...

წყლიდან სათითაოდ ამოვიდნენ ნიკა, ზურა, ბესო, ოთარი და ქეშანა. ლაზარე სულ ბოლოს ამოვიდა. ნაპირზე დარჩენილი ბიჭებიც, ესმაც და ხათუნაც მოუთმენლად ელოდნენ მათ გამოჩენას.

თუმცა მზეს საკირის ალი დაენთო ცისქვეშეთში და სიცხისაგან გათანგულები სულს ძლივს ითქვამდნენ, წყალში შესვლა და გაგრილება ერთს არ გახსენებია. მთელი გულისყური მღვიმეში ჩასულებისკენ ჰქონდათ მიპყრობილი. ამოსვლა რომ დააგვიანდათ, ზოგს გულში შიში შეეპარა, აქამდე ნეტავ სად არიან, ხიფათი რამე ხომ არ შეემთხვათო. ხოლო როდესაც მიწისქვეშეთიდან ამოსულები უვნებელი და საღსალამათები დაინახეს, სიხარულის ყიჟინა დასცეს.

— რაც გინდათ, თქვით, ძმაო, და მიწის ქვეშ ყოფნა საკმაოდ არასასიამოვნო ყოფილა. ყოჩაღ, ლაზარე, იმდენ ხანს მღვიმეში მარტომ როგორ გაძელი! — სანამ ვინმეს რამეს ჰკითხავდა, ხმამაღლა განაცხადა ბესომ.

— აბა, ახლა გვიამბეთ, რა ნახეთ სულის მოთქმა არ აცალეს მიწისქვეშეთიდან ამოსულებს.

— ისეთი ნამდვილად არაფერი გვინახავს, თქვენ რომ გგონიათ და ჩვენ რომ მოველოდით, — უხალისოდ განაცხადა ბეგომ და მზის მცხუნვარებას დანატრებული ცხელ ქვიშაზე წამოწვა.

— საამბობლად იმაზე მეტი მართლაც არაფერია, რაც თავად ლაზარემ გვიამბო. მტვრით და მიწით სავსე ერთი პატარა მიწურია ის თქვენი მღვიმე და მეტი არაფერი. ორად გაპობილი ქვის იატაკის საკმაოდ ფართო ნაპრალში თავამდე წყალი დგას, ჩაიხედავ შიგ და გული შიშით შეგეკუმშება. ახლაც არ მჯერა, თუ ლაზარე იმ ნაპრალიდან ამოვიდა მღვიმეში, მაგრამ რადგან მღვიმეს სხვა შესასვლელი არა აქვს, გინდა თუ არ გინდა, უნდა დაიჯერო, რომ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ლაზარემ გვიამბო, — დაუმატა ქეშანამ.

გინდა იქ შესულხარ და გინდა დათვის ბეჩოში, ზოგიერთი პატიოსანი დათვის ბეჩო კიდე ჯობია იმ მღვიმეს. მე ჩემდა თავად ამგვარ უაზრო ძიებაზე სამუდამოდ ამიღია ხელი და სხვებს როგორც უნდოდეთ, ისე მოიქცნენ! — ბეგო ტანსაცმელს დასწვდა, მოხერხებული ადგილი მონახა და მზეს მიეფიცხა.

— შენ რაღას იტყვი? — ახლა ქეშანას დაეკითხნენ ბეგოსგან ცივწყალგადავლებული ის ბიჭები, რომლებსაც მღვიმე არ ენახათ.

— რას ვიტყვი და რაც ბეგომ თქვა... რა მიწისქვეშა მღვიმე, რის გამოქვაბული, დაეტიე შენს ტყავში რა, იჯექი სუფთა ჰაერზე, ნათელი ცის ქვეშ და დატკბი ამ მთების ყურებით. ვისაც ასეთი ცხოვრება გირჩევნიათ მომყევით! — ხმამაღლა დაიძახა ქეშანამ და წამოდგა. ბიჭების ნაწილი ფეხდაფეხ გაჰყვა მას. კლდის თავზე ლაზარესთან მხოლოდ ესმა, ხათუნა, ნიკა, ზურა და ოთარი დარჩნენ.

— შენ რაღას ფიქრობ, ლაზარე? — ჰკითხა ესმამ და მოუთმენლად დაელოდა პასუხს.

— რას ვფიქრობ და რასაც მღვიმეში ჩასვლამდე ვფიქრობდი!

— ჰოდა, ეგ გვითხარი, მღვიმეში ჩასვლამდე რას ფიქრობდი!

— მღვიმის ასე ჰაიჰარად დათვალიერება არაფერს მოგვცემს. ყველაფერს გულდასმით უნდა გამოკვლევა. იქ არ მითქვამს, მაგრამ მღვიმის კედელს წერაქვს რომ ვცემდი, ერთ ადგილზე ისეთ ყრუ ხმას გამოსცემდა, იმ კლდის უკან ნამდვილად სიცარიელე უნდა იყოს, ხოლო სიცარიელის უკან რა იმალება...

— რა იმალება?! — მოულოდნელად ჰკითხა ნიკამ.

— ალბათ გვირაბი.

— კარგი, რა, ლაზარე, მოეშვი ამ გვირაბს, ციხესაც და ეკლესიასაც! მეგობარი ხარ და არ მინდა მიგატოვო, თორემ სულ არ მჯერა ქიტესა ბაბუას ნაამბობი, არც თამარ მეფის საფლავი იქნება და არც არაფერი...

მე კი მჯერა. იცით, რა მენიშნა ყველაზე მეტად? გახსოვთ, ქიტესა ბაბუამ რომ გვითხრა, როცა კლდე პირს გააღებს და რკინის დისკო ისე მობრუნდება, როგორც მზე ბრუნავს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ეკლესიაში შესასვლელიც მაშინ გამოჩნდებაო. ვინ იცის, იქნებ, ეს სწორედ ის კლდეა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ედუარდ ამბოკაძე

# 60

*ის იმდროინდელი გოგო-ბიჭები, საყმაწვილო ჟურნალ-გაზეთების ნორჩი მკითხველები, რომლებიც ოციოდე წლის ედუარდ ამბოკაძის პირველი შემოქმედებითი ნაბიჯების მომსწრენი იყვნენ, დღეს უკვე ორმოც წელს მიღწეული ქალბატონები და ბატონები არიან.*

*დიახ, ცნობილი მხატვარი ედუარდ ამბოკაძე 60 წლისაა...*

ედუარდ ამბოკაძე ექვს ათასზე მეტი ფერწერული თუ გრაფიკული ნამუშევრის ავტორია. მის ნახატებს იცნობენ უცხოეთშიაც — რუსეთში, უკრაინაში, კუბაში, სომხეთში, აზერბაიჯანში...

— ვხატავ, რაც თავი მახსოვს, — ამბობს ბატონი ედუარდი. — სამი თუ ოთხი წლისა ვიყავი, როცა აკვარელის საღებავებით მოვხატე ოთახის კედლის შპალერი. დედაჩემმა შპალერი ახია და ცოცხითაც მომცხო...

შეეძლო, საათობით ეყურებინა, როგორ ხატავდნენ სხვები. ერთხელ თურმე ვიღაც მეათეკლასელი გოგო ჟურნალიდან იხატავდა. სთხოვა იმ გოგოს, ნახატი მაჩუქეო, იმან უარი უთხრა. „პატარა ვიყავი და ტირილით გავსკდიო," — იგონებს ბატონი ედუარდი.





## იმავე უშრეტი ენერგიით...

გრიგოლ მესხს იგონებს განსაკუთრებული სიყვარულით, ხატვის მასწავლებელს, მისი ნიჭის დამკვალიანებელს. მერე იყო სამხატვრო სასწავლებელი, მერე — აკადემია, მერე — ასპირანტურა. ახლა იგი სამხატვრო აკადემიის ფერწერის კათედრის დოცენტია და სტუდენტებს ასწავლის ხატვის სიყვარულს, ფერთა შეხამების საიდუმლოებებს, ყველაფერ იმას, რაც თავისი მასწავლებლებისაგან შეიძინა, და იმასაც, რაც თავად მას მოჰმადლა ბუნებამ.

პირველი ნახატები „ნორჩ ლენინელსა" (ახლა „ნერგი" რომ ჰქვია) და „დილაში" გამოაქვეყნა. დღევანდელ „ნაკადულში" (წინათ „პიონერი" რომ ერქვა) 1958 წელს მოვიდა და მას შემდეგ მისი ულალატო თანამშრომელია. სიამოვნებით იგონებს მურმან ლებანიძესთან, რევაზ მარგიანთან, ზურაბ ლეშკაშელთან, სიმონ შამფრიანთან, გაიოზ ფოცხიშვილთან თანამშრომლობის წლებს. უამრავი საბავშვო წიგნი გააფორმა გამომცემლობა „ნაკადულში". როცა ვკითხე, თქვენ მიერ ილუსტრირებული წიგნებიდან რომელი მოგწონთ-მეთქი, ასე მიპასუხა:

— არცერთი არ მაკმაყოფილებს! ნათქვამია, ყოველ მხატვარს ის ნახატი მოსწონს, რომელიც ჯერ არ დაუხატავსო. მეც ასე ვარ...





სამოცი წელი, როგორც იტყვიან ხოლმე, შემოქმედებითი გაფურჩქვნის ხანაა. ედუარდ ამბოკაძეს ის დღე დღედ არ მიაჩნია, როცა ხელში ფუნჯი არ უჭირავს. იმ დღესაც, მასთან სტუმრად რომ მივედი, ახალი საბავშვო წიგნის ილუსტრაციებზე მუშაობდა — ჩვეული გატაცებითა და სიყვარულით.

როცა საყმაწვილო ჟურნალ-გაზეთებს ფინანსურად ძალზე გაუჭირდათ, ედუარდ ამბოკაძე პირველი იყო, ვინაც ჟურნალსა თუ გაზეთში გამოქვეყნებული მისი ილუსტრაციების ჰონორარზე უარი განაცხადა...

წელან ორმოცი წლის ქალბატონები და ბატონები ვახსენე. დიახ, თაობები გაიზარდნენ ედუარდ ამბოკაძის ნახატებზე, და როცა მუშაობის მძაფრი სურვილითა და ძველებური უშრეტი ენერგიით სავსე ბატონ ედუარდს გამოვეთხოვე, ურყევი რწმენა გამომყვა თან: კიდევ ბევრ თაობას, კიდევ ბევრ პატარას, და არა მარტო პატარას, მიანიჭებს უდიდეს სიამოვნებასა და სიხარულს მისი მშვენიერი შემოქმედება.

ხანგრძლივი სიცოცხლე და ახალი წარმატებები მოჰმადლოს უფალმა ედუარდ ამბოკაძეს — მხატვარსა და მოქალაქეს!

ნუგზარ აფხაზავა

# ახალი ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გიორგი ჩარკვიანი

### მამული

გუთანი და ექვსი ხარი,
ცივი წყალი შავი პური...
საქართველო ლექსი არი –
პატარა და ტრაგიკული.
ცა რადაა აღრენილი,
სეტყვამ ვაზი დაალონა?
ბევრი სისხლი გვაღვრევინეს,
ვერავინ ვერ დაგვამონა!
გასათელად გაგვიმეტეს?
ვაზო, წელში გაიმართე!
იმერეთი-ამერეთი,
საქართველო გაიმარჯვებს!
გრიგალი და ნიაღვარი,
მტერი მხოლოდ სიკვდილს
პოვებს.
ბინძურ ხელს ვერ მიაკარებს
გელათსა და სვეტიცხოველს.
მტკვრის ნაპირზე ცეცხლი
ღვივის,
მუხის შეშას უკეთებენ...
წყალზე მოდის თეთრი ტივი,
ყველა გემზე უკეთესი.
სიმღერაა – მოგვეც ბანი,
ვარალე და ოდოია,
ლიახვი და ალაზანი,
ჯოროხი და კოდორია.
თბილისს ჰქონდა ექვსი კარი,
შავი ღვინო, თეთრი პური...
საქართველო ლექსი არი –
პატარა და ტრაგიკული.

### გაზაფხული

გაჰგებია ფიანდაზად
მსტვინავ ბულბულს ყვავი,
გაზაფხულზე მთაწმინდაზე
თეთრი ნუში ჰყვავის.
ფანჯარა არ იყინება,
მზეს შევხარით სხივიანს.
ბაყაყები ყიყინებენ,
არწივები ჰყივიან.
თურმე ზეცა მდიდარია –
ცვივა სეტყვა-ალმასი,
ამოხტება მდინარიდან
დაწინწკლული კალმახი.
მორევში კი განაბულა –
ლოქოა თუ ღლავია...
გაზაფხულდა, გაზაფხულდა,
ზამბახები ჰყვავიან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მინდა, მსოფლიოს ჩემპიონი გავხდე



ერთი ციცქნა იყო ნინო, როცა აგარაკზე შემთხვევით გაცნობილმა და მისი საოცრად მოქნილი და ნარნარი მოძრაობებით, პლასტიკით აღფრთოვანებულმა ბალერინებმა დედამისს ბავშვის ბალეტზე მიბარება ურჩიეს. ბალეტისა რა მოგახსენოთ, და მოგვიანებით გოგონა მხატვრული ტანვარჯიშის სკოლაში მიიყვანეს. თუმცა კი მეცადინეობა არ უჭირდა, ყველაფერი ადვილად გამოსდიოდა, მაგრამ თავიდან მაინც და მაინც არ მოსწონდა ტანვარჯიში, უბრალოდ ატარებდნენ და დადიოდა, ასწავლიდნენ და სწავლობდა, მერე კი... „ისე შემიყვარდა, ტანვარჯიშის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენიაო" — ამბობს დღეს 12 წლის ნინო გედევანიშვილი.

პირველ სერიოზულ წარმოდგენას ცხრა წლისამ მიაღწია, როცა სპორტსკოლის პირველობაზე გაიმარჯვა, პირველ დიპლომს სპორტული ჯილდოების კოლექციაში საქართველოს ჩემპიონატზე მოპოვებული მესამე პრიზიორის დიპლომი შეემატა, მერე ანტალიის საერთაშორისო ფესტივალიდან ჩამოტანილი სამი ბრინჯაოს მედალი, საქართველოს მორიგ ჩემპიონატზე მიღებული ვერცხლის მედალი, იზმირის საერთაშორისო ტურნირის პრიზიორის ჯილდო... თუ ასე გაგრძელდა, —ხოლო ნინოს უდიდესი შრომისმოყვარეობა, ნიჭიერება, მიზანსწრაფულობა და მტკიცე ხასიათი სწორედ ამას გვაფიქრებინებს, — ალბათ მალე დედას, ნინოს უპირველეს მეგობარსა და ყველაზე სამართლიან მსაჯს, ახალი საფიქრალი გაუჩნდება — მომდევნო ჯილდო სად დავდოთო. „დღეში ოთხ-ხუთ საათს ვვარჯიშობ, რა თქმა უნდა, წესები, მწვრთნელებიც ძალიან მკაცრები, მომთხოვნები მყავს, მაგრამ სხვანაირად წარმატების მიღწევა შეუძლებელია. დრო ისე მაქვს განაწილებული, რომ ყველაფერს



ვასწრებ — გაკვეთილების სწავლასაც, მეგობრებთან ყოფნასაც, ხატვასაც, რომელიც ძალიან მიყვარს, ეზოში თამაშსაც და ოცნებასაც კი. ოცნებისათვის ღამე მაქვს, ძილის წინ ვოცნებობ ხოლმე, ოცნებაც ძალიან მიყვარს..." — იღიმება ნინო და იქვე იმასაც დასძენს, რომ მუსიკის დათმობა მაინც მოუხდა, კი, მუსიკაც ძალიან უყვარს, მასწავლებლებიც ვერ ელეოდნენ, მთელი სკოლის თვალის ჩინია, უსათუოდ უნდა გააგრძელოს სწავლაო, მაგრამ გოგონამ ტანვარჯიში არჩია. წარმატებისკენ სავალ გზაზე ყველაფერი იყო — ფეხებში გახლართული სახტუნაოც და თავში მოხვედრილი გურზიც, შიშიც, დამარცხების სიმწარეც, მწვრთნელების წყრომაც, ცრემლებიც, მაგრამ მიღწეულის სიხარული ყველაფერს აბათილებდა, ახალი სიმაღლეების დასაძლევ ძალასა და რწმენას მატებდა. მწვრთნელები რიტა ილინა და ელისო ბედოშვილი ყოველთვის მეტს ითხოვდნენ და ნინოც საოცარი შრომისმოყვარეობითა და გულმოდგინებით ხვეწდა ოსტატობას და იმავე დროს არც სკოლაში სწავლას აკლებდა ხელს. ნინოს აქაც ძალიან უწყობენ ხელს, განსაკუთრებით კლასის დამრიგებელი ლორინა კეკელიძე. ყოველ სპორტსმენს ასპარეზი, შეჯიბრებებში მონაწილეობა სჭირდება. დღეს კი საქართველოს გარეთ გამართულ ნებისმიერ ასპარეზობაში მონაწილეობა პირდაპირ არის დაკავშირებული ფინანსებთან. იყავი, ბატონო, ყოვლმხრივ საუცხოოდ მომზადებული, თუ სახსრები არსაიდან გამოგიჩნდა, ჩათვალე, რომ ვერცერთ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ტურნირსა თუ ჩემპიონატზე ვერ მოხვდები. ტანმოვარჯიშე ნინო გედევანიშვილიც დადგა ამ პრობლემის წინაშე. შინაგანადაც, ფსიქოლოგიურადაც, სპორტული თვალსაზრისითაც ჩინებულად მომზადებულ გოგონას უარი უნდა ეთქვა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობაზე და სწორედ მაშინ გამოუჩნდა შემწედ ბატონი ანზორ ბურჯანაძე, პურპროდუქტების კორპორაციის პრეზიდენტი, რომელმაც თავის თავზე აიღო ნინოს ანტალიაში გამგზავრებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი. უთუოდ მომავალი დიდი სპორტსმენი ამოიცნო ამ სერიოზულად განწყობილ გოგონაში ბატონმა ანზორმა და რაკილა დაიჯერა, რომ მისი დღევანდელი წარმატება ხვალინდელი დიდი გამარჯვების საწინდარი იქნება, უყოყმანოდ გაუწოდა მას დახმარების ხელი. აკი არც გაუწბილა ნინომ სპონსორს იმედები —სამი მესამე ადგილი დაიკავა! ეს ნამდვილად დიდი წარმატებაა. ხოლო სხვადასხვა ქვეყნების სპეციალისტების, სპორტის ამ სახეობის მოყვარულების, მომავალი პოტენციური მეტოქეების, თუ მათი მწვრთნელების მიერ გამოჩენილი ინტერესი იმის მიმანიშნებელია, რომ დიდი მასშტაბის ნებისმიერ შეჯიბრებაზე საქართველოს მხატვრული ტანვარჯიშის სკოლა ღირსეულად, ყველას მიერ ანგარიშგასაწევი სპორტსმენით იქნება წარდგენილი. ივლისში ნინოს საფრანგეთში უწევს გამგზავრება, ქ. ევრში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად და მისი ამ მგზავრობის დაფინანსებაც კვლავ ბატონმა ანზორ ბურჯანაძემ იკისრა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა ჭეშმარიტი მამულიშვილობა და ამით პატარა ნინოს მომავალი გამარჯვებისათვის საჭირო სტიმულიც მისცა და ერთგვარად დაავალდებულა კიდეც. ასეთ ნდობას გამართლება უნდა და ნინო გედევანიშვილი მზად არის ამისათვის.

ლელა ჭინჭარაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აღმართი

### (მინიატურა)

ცა და მიწა ბნელით იყო შეღებილი. მივდიოდი. ვიღაცამ ხელი შემახო, რაღაც ჩაიბუტბუტა. ვგრძნობდი მის პატარა თითებს. ვგრძნობდი, რომ ის ჩემზე სუსტი იყო. თითები ცივი ჰქონდა. მისმა შეხებამ ძალა შემმატა. სიჩუმემ ჩამჩურჩულა, რომ სინათლე უნდა მეპოვა. დიდი გზა გავიარეთ. სიბნელე თვალს მაინც არ შორდებოდა. იგი ჩამომრჩა. ხელზე დამეკიდა, ვეღარ ვივლიო, მითხრა. მე ხელში ავიყვანე. სულ პატარა ყოფილა. დამძიმებული მივაბიჯებდი. ძალა მელეოდა.

უცებ სიბნელე ნაცრისფრად გადაიღება. გამოვცოცხლდი. ჰორიზონტიდან სინათლის სხივებმა ამოხეთქა და ცა გაკვეთა. მალე ცეცხლი მიწას მოწვდა, დამრგვალდა. უფრო ძლიერად აენთო. ცეცხლმა სიბნელის სახურავი აგვხადა. ირგვლივ მიმოვიხედე. ჩემი პატარა თანამგზავრი აღარსად ჩანდა. სულ მარტო ვიდექი. მიხაროდა, რომ უკან მოვიტოვე ბნელი ღამე და ამომავალ მზეს ვეგებები.

ელისაბედ ჯიჯავაძე,
თბილისი,
88-ე სკოლა, X კლასი.

## ცისფერი

ყველაფერს ცისფრად
რომ დახატავს ადამიანი,
ეს იმას ნიშნავს — მას ეს ფერი
ძლიერ უყვარდა,
ყველაფერს ცისფერს რომ შეიყვარებს
ადამიანი —
ეს იმას ნიშნავს, რომ მის სატრფოს



ცისფერი თვალები ჰქონდა
და იმ პატარა ცისფერ თვალებში
ცისფერი ცრემლები კრთოდა.

## იესო

დღეს მე მოვკვდები,
ხვალ დამმარხავენ,
ზეგ კი აღვსდგები...
ასე ამბობდა იესო
ქრისტე, მე უფლისა.

რუსიკო ეჭედლიძე,
13 წლის თბილისი.

## ელეგია

თოვდა, ტიროდა ცისფერი
ფიფქი,
შეშლილი ქარი ვარსკვლავთ
კიცხავდა,
იდგა ავერცხლილ ხეთა რიგები
და თოვლის მეფე სიზმრებს
იცავდა.
შორს მიფრინავდა მკვდარი
ფოთოლი,
სიჩუმეს ნათელს უმღვნიდა
მთვარე
და სიყმაწვილის ამბავს ყვებოდა
დაბერებული, დაღლილი ღამე.
იდუმალებას ჩაბარდა ფიქრი,
და სილამაზეს სული ითხოვდა,
იყო ქორწილი თეთრი ფიფქების
და განუწყვეტლივ თოვდა
და თოვდა.
იკარგებოდა ახლო წუხილი,
იბადებოდა ნათელი მთვარის
და სიყმაწვილის ამბავს ყვებოდა
დაბერებული, დაღლილი ღამე.

სოფო ორჩიგავა,
თბილისის 51-ე საშუალო
სკოლა, IX კლასი.

# კითხვა — თქვენი

*იცვლება თუ არა ვარსკვლავიერი ცა, ყოველთვის ასეთი იყო ან იქნება თანავარსკვლავედების განლაგება? ჩემი უფროსი ძმა მარწმუნებს, დიდი დათვის თანავარსკვლავედი ასეთი მოყვანილობის აღარ იქნებაო. მართლა ასე მოხდება?*

*თემურ კაპანაძე, ზესტაფონი*

მრავალი ათასი წელია ადამიანი ვარსკვლავიერ ცას უმზერს და ლომის, ვეშაპის, გედის, ჰიდრას, ქნარის, კასიოპეას, ანდრომედეს, ცეფევსის და სხვა თანავარსკვლავედების ციმციმით ტკბება, ამასთან დარწმუნებულია, რომ ისინი არ მოძრაობენ. სინამდვილეში ასე არ არის. ზოგი ვარსკვლავი გვიახლოვდება და უფრო მეტად კაშკაშებს, სხვები პირიქით, გვშორდებიან და ფერმკრთალდებიან. თუმცა ჩვენ ამას ვერ ვამჩნევთ და ვერც შევამჩნევთ და აი, რატომ: ვიდრე, ვოქვათ, ვარსკვლავი ვეგა დედამიწას მოუახლოვდება და ორჯერ უფრო ძლიერად იკაშკაშებს, ასი ათასობით წელი გაივლის. გარდა ამისა, ვარსკვლავები გვერდითი მიმართულებითაც გადაადგილდებიან, სწორედ ამის შედეგად იცვლიან მოყვანილობას თანავარსკვლავედები. 100 ათასი წლის წინათ დიდი დათვის თანავარსკვლავედის ციცხვი პირველყოფილი ადამიანის ნაჯახს უფრო ჰგავდა. ახლა ის მართლა ციცხვს მოგვაგონებს, მაგრამ თანდათანობით მისი ფიგურა აქანდაზს დაემსგავსება. დააკვირდით ბზრიალას, მისი ტრიალის ღერძი თითქოს ქანაობს და ამ ქანაობის დროს პატარა კონუსს ქმნის, ასევე ქანაობს ბრუნვის დროს ჩვენი დედამიწაც. ამ ქანაობის პერიოდი 26 ათას წელს შეადგენს.

ამჟამად ჩვენი პლანეტის ჩრდილო პოლუსი პოლარული ვარსკვლავისკენ არის მიმართული.



ასე იქნება 2100 წლამდე, მერე კი დედამიწის ბრუნვის ღერძი ცეფევსის თანავარსკვლავედისკენ დაიწყებს გადახრას, ხოლო 14000 წელს პოლარული ვარსკვლავის ნაცვლად ადამიანი ცაში ცისფერ ვარსკვლავ ვეგას დაინახავს. მაგრამ ვარსკვლავეთა ცაზე ცვლილებები ძალზე ნელა ხდება, ადამიანთა კიდევ ბევრი თაობა ისარგებლებს იგივე ციური ორიენტირებით, რომლებითაც დღეს შტურმანები და კოსმონავტები სარგებლობენ.

*რა არის ესპერანტო?*

*მარინე ტაბატაძე, ხარაგაული*

1887 წელს ვარშავაში გამოვიდა პოლონელი ექიმ-ოკულისტის ლუდვიგ ზემენგოფის წიგნი, რომლის წინასიტყვაობაშიც ნათქვამი იყო: „რამდენი დრო და შრომა იხარჯება სხვათა ენების შესწავლაზე და მაინც როცა სამშობლოს საზღვრებს გარეთ აღმოვჩნდებით ხოლმე, იშვიათად ვახერხებთ რაიმე გავაგებინოთ სხვა, ჩვენივე მსგავს ადამიანებს." ზემენგოფმა, რომელმაც დოქტორო ესპერანტოს ფსევდონიმით გამოსცა ეს წიგნი, მკითხველებს, ერთიანი საერთაშორისო ენის თავისუფალ პროექტს სთავაზობდა, რომელსაც შემდგომში ესპერანტო ეწოდა. მან გაანალიზა ყველაზე გავრცელებული ევროპული ენები, უკუაგდო ყოველივე, რაც უმაქნისად და მეტისმეტად რთულად მოეჩვენა, ხოლო ყოველივე საუკეთესოს საფუძველზე მრავალწლიანი შრომის შედეგად შექმნა ახალი ენა. ესპერანტოში არ არის გრამატიკული სქესი, მას მხოლოდ ორი ბრუნვა აქვს, მახვილი მასში ყოველთვის ბოლოს წინა მარცვალზე მოდის, ყველა სიტყვა იკითხება ისე, როგორც იწერება, გრამატიკის წესებში გამონაკლისები საერთოდ არ არსებობს, ხოლო მთავარი, რაც ესპერანტოს შესწავლას საოცრად აიოლებს, ინტერნაციონალური ლექსიკაა. სწორედ ამ თვისებების წყალობით ესპერანტოს შესწავლა ძალზე ადვილია. მაგრამ ალბათ დაგებადებათ კითხვა, რისთვის და სად შეიძლება ამ ხელოვნური ენის გამოყენება? მთელ მსოფლიოში ესპერანტოს ენაზე გამოდის უამრავი წიგნი, ჟურნალი თუ გაზეთი, წარმოებს რადიოგადაცემები. ბავშვებისათვის კი გამოდის სპეციალური ჟურნალი „იუნა ამიკო" („ნორჩი მეგობარი").

# პასუხი — ჩვენი

# ასტრიდ ლინდგრენი

# რონი



*ალბათ არ არსებობს ქვეყნად ადამიანი, დიდი თუ პატარა, ასტრიდ ლინდგრენის სახელი რომ არ გაეგონოს და, რაღა თქმა უნდა, არ არსებობს ბავშვი, მისი „კარლსონი", „პეპი გრძელი წინდა", „მიო, ჩემო მიო", „ლიუნებერგელი ემილი", „ლომგული ძმები", „მადიკენი", „პაწაწალა რასმუსი" თუ სხვა საოცარი ნაწარმოებები რომ არ წაეკითხოს.*

*ლინდგრენი 35-ზე მეტი წიგნის ავტორია. მისი გმირები მსოფლიოს 45 ენაზე მეტყველებენ. შვედი მწერლის მოღვაწეობა მრავალი ეროვნული და საერთაშორისო პრემიით აღინიშნა, მათ შორისაა: სამშობლოში, შვედეთში მიღებული ნილს ჰოლგერსონის მედალი, პოლონელი ბავშვების ორდენი — ღიმილის ორდენი, ე.წ. „ნობელის მცირე პრემია", ჰანს ქრისტიან ანდერსენის ოქროს მედალი, გერმანიის წიგნით ვაჭრობის საბირჟო გაერთიანების მიერ დაწესებული მშვიდობის პრემია. დღეს გვინდა, შემოგთავაზოთ დიდებული ასტრიდ ლინდგრენის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ვრცელი მოთხრობის „რონი, ყაჩაღის შვილის" ნაწყვეტი, რომელიც ქართულად ჯერ არ გამოცემულა, იმ ქვეყნებში კი, სადაც ითარგმნა და გამოიცა, დღესაც ბესტსელერად რჩება.*

...დაზამთრდა. გათოვდა, ყინვები დაიჭირა და ჭირხლმა რონის ტყე დიდებულ ბროლის ტყედ აქცია. ახლა გოგონა თხილამურებით მიდიოდა ხოლმე ტყეში და როცა შებინდებისას შინ ბრუნდებოდა, თმები ჭირხლისგან გადათეთრებული ჰქონდა ხოლმე, თითები კი ხელებზეც და ფეხებზეც დამზრალი, თუმცა ბეწვის ხელთათმანებიც ეცვა და თბილი უნტებიც. მაგრამ ვერც სასტიკი ყინვა და ვერც თოვა ვერ აკავებდნენ რონის სახლში. მატისი ცოტა არ იყოს ღელავდა, როცა ხედავდა, რომ მისი გოგონა ყველაზე სუსხიან ამინდშიც კი შედგებოდა ხოლმე თხილამურებზე და „მგლის ხახისაკენ" მიჰქროდა.

— ნეტავ კი ყველაფერმა კარგად ჩაიაროს! ნეტავ კი არაფერი შეემთხვეოდეს, რამე რომ დაემართოს, თავს არ ვიცოცხლებ...

— ნეტავ რას წუწუნებ და მოთქვამ? — აბუზღუნდებოდა ხოლმე ლოვისა, — რონი არავის დაეჩაგვრინებინა, ნებისმიერ შენს ყაჩაღზე უკეთ გაიტანს თავს.

ლოვისა კი მართალი იყო, მაგრამ ერთხელ მაინც მოხდა ისეთი რამ, რომ ჯობდა მატისს საერთოდ არ გაეგო.

მთელი ღამე ბარდნიდა და თოვლმა მთლად დაფარა რონის მიერ გაკვალული სათხილამურო გზა. გოგონას ახალი გზის გაკვალვა დასჭირდა. ეს კი, მერწმუნეთ, იოლი საქმე არ გახლავთ. რონი წამდაუწუმ თოვლში ეფლობოდა და ბოლოს ისე დაიღალა, რომ ერთსღა ნატრობდა, ნეტავ მალე დავბრუნდებოდე შინო. ერთ მომცრო ბორცვზე ავიდა. მის ციცაბო ფერდობზე დაშვება არც ისე ადვილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მას ხომ თხილამურების ჯოხები ჰქონდა დასამუხრუჭებლად და უშიშრად დაეშვა ქვევით. თოვლი აქეთ-იქით იფანტებოდა. გზაზე ბექი შემოხვდა, მარჯვედ გადაახტა, მაგრამ ამ დროს ცალი თხილამური მოსძვრა და გაექცა. რონი ხედავდა, როგორ ჩასრიალდა თხილამური ძირს, მერე კი თვალი ველარ მოჰკრა, სად ჩაიკარგა. რაღას იზამდა, დანდობით დააბიჯა ლიპ თოვლს და... ლამის მუხლს ზევით ჩაეფლო თოვლში. ჯერ გაეცინა, მაგრამ როცა იგრძნო, რომ ვერ ინძრეოდა, ნირი წაუხდა. რამდენი არ ეჯაჯგურა ფეხს, რამდენი არ ატრიალა, მაგრამ ვერაფრით ვერ გამოითავისუფლა. ანაზდად მის ყურს რაღაც გაურკვეველი გუგუნი მისწვდა. მოეჩვენა, რომ გუგუნი პირდაპირ თოვლის იმ ორმოდან მოისმოდა, ფეხი რომ ედგა. თავიდან ვერ მიხვდა, რა ხმა იყო, მერე კი გაბურძგნილი ციცქნა არსებების, კუწნების გუნდი დაინახა, რომლებიც თოვლიდან ამომძვრალიყვნენ და რაღაცაზე ბჭობდნენ. განიერი გამობზეკილი საჯდომების, დანაოჭებული ცხვირ-პირისა და გაწეწილი თმების წყალობით რონიმ ადვილად იცნო კუწნები. საზოგადოდ ისინი მშვიდობიანი ხასიათისა იყვნენ, ავს არაფერს აკეთებდნენ, მაგრამ ესენი, რონის გარშემო რომ შეყრილიყვნენ და უაზროდ მიშტერებოდნენ მას, აშკარად რაღაცით უკმაყოფილონი ჩანდნენ. განუწყვეტლივ რაღაცას ბურტყუნებდნენ და ოხრავდნენ, მერე კი ერთმა მათგანმა მკაცრად თქვა:



— რატომცი ჩაიდინაცი მანცი ესეცი?

მას უმალ სხვებიც აჰყვნენ.

— რატომცი ჩაიდინაცი მანცი ესცი? რატომცი დაგვინგრიაცი სახურავიცი, რატომცი?

რონი მიხვდა, რომ კუწნების თოვლქვეშა სახლში ჩაედგა ფეხი. როცა გაბურძგნილი კუწნები შესაფერის ფუღუროს ვერ პოულობდნენ, თოვლქვეშ იშენებდნენ ხოლმე პატარ-პატარა სახლებს.

— მე ხომ არ მინდოდა, — მოუბოდიშა რონიმ, — ჯობს ფეხის ამოღებაში დამეხმაროთ.

მაგრამ კუწნები ისევ ისე უაზროდ მისჩერებოდნენ გოგონას და ადრინდელზე უფრო მძიმედ ოხრავდნენ.

— რატომცი ჩაანგრიეცი ფეხიოცი ჩვენცი სახურავცი?

რონის მოთმინების ფიალა აევსო.

— მომეხმარეთ, ფეხი ამოვიღო!

მაგრამ კუწნებს ან არ ეყურებოდათ მისი ან არ ესმოდათ. უყურეს ასე უაზროდ, უყურეს და თავის მიწისქვეშა სამყოფელში გაიკრიფნენ. რონის კიდევ დიდხანს ესმოდა იქიდან ბრაზიანი ბუზღუნი. მაგრამ უეცრად ეს ხმები გამარჯვების შეძახილებმა შეცვალა. ეტყობოდა, კუწნებს რაღაც გაუხარდათ.

— ძალიანცი კარგიცი! — გახარებულები ტატყანებდნენ ისინი. — აკვანცი ირწევაცი, რაცი კარგიაცი!

და რონიმ იგრძნო, რომ ფეხზე რაღაც ჩამოჰკიდეს, რაღაც მძიმე.

— ახლაცი ჩვენიცი პატარაცი კარგადცი ჰკიდიაცი! — ყვიროდნენ გაბურძგნილი კუწნები — საკიდელაცი აკვანიცი ირწევაცი! რაკიღაცი ამცი გოგოსცი საძაგელმაცი ფეხმაცი სახურავცი ჩამოგვინგრიაცი, კეთილიცი ინებოსცი და აკვანიცი არწიოსცი.

მაგრამ რონის სულაც არ უნდოდა თოვლზე წოლილიყო და სულელი პატარა კუწნა ერწია. ისევ სცადა ფეხის გამოთავისუფლება, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ამოსწია, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. კუწნები ზეიმობდნენ.

ტყეში მთავარია არაფრისა გეშინოდეს. რონის ბავშვობიდან აგონებდნენ ამას და ის ძალიან ცდილობდა ესწავლა ეს, მაგრამ ზოგჯერ არ გამოსდიოდა, მაგალითად, ახლა. არ გამოუვიდა და მორჩა! ერთიც ვნახოთ და ვერ გამოითავისუფლოს ფეხი და ასე დარჩეს თოვლზე გართხმული, ხომ გაიყინა ღამე!.. გოგონა ხედავდა, რომ ტყის თავზე ცა შავად ილრუბლებოდა, მაშასადამე, გათოვდება და ითოვებს და ითოვებს, თოვლი ჩაქუფრავს, ქვეშ დაიტანს და იწვება ასე თოვლქვეშ გათოშილ-გაყინული. ეს ოხერი აკვანიც რომ მძიმე საწონივით ჰკიდია უმოძრაო ფეხზე!... მერე, გაზაფხულზე, თოვლი რომ დადნება, მაშინ თუ იპოვნის მატისი ზამთრის ტყეში გაყინულ თავის საბრალო გოგონას...

— არა, არა! — შეჰყვირა რონიმ — მიშველეთ!... ჰეი, არავინა ხართ?!

მაგრამ აბა უკაცრიელ ტყეში ვინ გაიგონებდა მის ხმას? არავინ, რონიმ იცოდა ეს, და მაინც ყვიროდა, სანამ ხმა არ ჩაეხლიჩა და მაშინ გაბურძგნილი კუწნების ხმამაღალი ვიშვიში მოესმა.

— რატომცი არცი უმღერისცი ჩვენცი პატარასცი იავნანასცი? რატომცი?

მერე რონის აღარაფერი გაუგონია. ახლა იგი გაავებული დრუდას მეტს ვერავის და ვერაფერს ხედავდა, რომელიც დიდი ლამაზი მტაცებელი ფრინველივით მოფრინავდა ხის კენწეროების ფონზე და სულ უფრო და უფრო დაბლა ეშვებოდა. პირდაპირ რონი ამოიღო მიზანში. გოგონამ თვალები



დახუჭა, ახლა კი აღარაფერი მეშველებაო იფიქრა.

გაავებული დრუდა სტვენითა და ხარხარით დაეშვა რონის გვერდით.

— მშვენიერო ადამიანო! პატარა არსებავ! — როყიო ხმით დაიყრანტალა მან და თმაში ჩააფრინდა რონის — წამოწოლილხარ აქ არხეინად მხარ-თეძოზე და ნებივრობ, არა! ისვენებ, შე უქნარა, შენ?! ვუი, ვუი! ჰი-ჰო-ჰა! — ისევ გაიცინა მან. რა საზარელი იყო მისი სიცილი. — შენ იმუშავებ! დიახ, იქ, ჩვენთან, მთებში! იმდენს იმუშავებ, სანამ ფრჩხილებიდან სისხლი არ დაგდინდება!... არ იმუშავებ და გაგგლეჯთ, ასო-ასო დაგფლეთთ! — და დრუდა ბასრი კლანჭებით მხრებში ჩააფრინდა გოგონას., უნდოდა ზევით აეტაცნა, მაგრამ ძვრაც ვერ უყო.

— წავალ, ჩემს დებს ვუხმობ საშველად, — ავად წაისისინა დრუდამ, — ხვალ დილით მოგაკითხავთ და წაგიყვანთ.

ბოროტმა დრუდამ ფრთები აიქნია, აფრინდა და მაღალი მთებისკენ აიღო გეზი.

— დრუდები ხვალ დილით მომაკითხავენ, — გაიფიქრა რონიმ, — მე კი უკვე ყინულად ვიქნები ქცეული...

ქვევით, გაბურძგნილი კუწნების სამყოფელში სიჩუმეს დაესადგურებინა. ღამის მოლოდინში ტყეც გაირინდა. ბინდი ნელ-ნელა ეშვებოდა. რონიც უდრტვინველად ელოდა ღამეს. გაუნძრევლად იწვა თოვლზე და აღარც კი ცდილობდა ფეხის გამოთავისუფლებას. იმასღა ნატრობდა, ნეტავ მალე დადგებოდეს ეს ჩემთვის უკანასკნელი ღამეო.

გათოვდა. მსხვილი ფანტელები სახეზე ეცემოდა და ცრემლებს შერეული მალევე დნებოდა. რონი მატისსა და ლოვისაზე ფიქრობდა. ველარასდროს ნახავს დედას და მამას, ხალისი და სიხარული სამუდამოდ დატოვებენ ყაჩაღთა ციხე-სიმაგრეს. საბრალო მატისი, დარდისგან გაგიჟდება! უეცრად რონიმ გაიგონა, რომ ვიღაც ეძახდა, მკაფიოდ და გარკვევით წარმოთქვამდა მის სახელს, მაგრამ იფიქრა, მეჩვენებაო და უფრო მწარედ ატირდა. მაგრამ ხმამ ისევ გაიმეორა:

— რონი, შენ რა, შინ დაბრუნებას არ აპირებ?

გოგონამ ძლივს გაახილა თვალები. მის წინ ბირკი იდგა.

— იქ დაბლა შენი თხილამური ვიპოვე... კიდევ კარგი, თორემ ველარც გამოაღწევდი აქედან.

ბირკმა თხილამურები რონის გვერდით ჩაარჭო თოვლში.

— მოგეხმარო?

ამის გაგონებაზე რონი ისე ხმამაღლა და მოთქმით ატირდა, რომ თვითონვე შერცხვა და ვერაფერი უპასუხა. ხოლო როცა ბირკი დაიხარა, რათა თოვლიდან ამოეყვანა იგი, რონიმ ორივე ხელი კისერზე შემოხვია და სასოწარკვეთილმა უჩურჩულა:

— არასდროს, გესმის აღარასდროს არ დამტოვო მარტო, გეხვეწები...

ბირკმა გაიღიმა.

— კარგი, მე ყოველთვის შენთან ვიქნები... ახლა კი გამიშვი და ნუ ღრიალებ, თორემ ვერ მომისაზრებია, როგორ გაგათავისუფლო...

ბირკმა გაიღიმა.

— კარგი, მე ყოველთვის შენთან ვიქნები... ახლა კი გამიშვი

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს ეროვნული

და ნუ ღრიალებ, თორემ ვერ მოგისაზრებია, როგორ გაგათავისუფლო...

ბირკმა თხილამურები მოიხსნა და თოვლზე გაწვა. მერე იდლიამდე ჩაყო ხელი თოვლში და დიდხანს ამოძრავა რონის ფეხის გარშემო, მერე მოხდა სასწაული და რონიმ ფეხი ამოსწია. ახლა ის თავისუფალი იყო!

მაგრამ გაბურძგნილი კუწნები ისევ გაკაპასდნენ, პატარამ კი საშინელი ყვირილი ატეხა:

— გამაღვიძაცი! რატომცი იქცევაცი ესცი გოგოცი ასეცი?!

რონი ვერა და ვერ დამშვიდებულიყო, ისევ გულამომჯდარი ტიროდა.

— ხომ გითხრეს, ნუ ღრიალებო, — უთხრა ბირკმა, — თორემ სახლამდე ვერ მიაღწევ!

— ვეცდები მივაღწიო, — უთხრა რონიმ, — შენ ხომ წამომყვები?

— წამოგყვები, — ღიმილით უპასუხა ბირკმა.

რონიმ ჯოხები მოიმარჯვა და ფერდობზე დაეშვა, ბირკი უკან მიჰყვა. რონი ძლივს ერეოდა თხილამურებს, ნელა მიიწევდა წინ, ბირკი ფეხდაფეხ მისდევდა. გოგონა დროდადრო შემობრუნდებოდა, ამოწმებდა აქ არის თუ არაო. ძალიან ეშინოდა, უცბად არ გაქრეს და მარტო არ დამტოვოსო. მაგრამ ბირკი „მგლის ხახამდე" მიჰყვა გოგონას. იქ კი მათი გზები გაიყარა. ბირკი უკან უნდა გაბრუნებულიყო, მამისეულ კოშკში.

ერთხანს ორივენი უხმოდ იდგნენ, თოვლი კი მოდიოდა და მოდიოდა. რონი ვერაფრით ვერ ელეოდა ბირკს, უჭირდა მასთან განშორება.

— იცი, ბირკ, — უთხრა მან, — მე მინდა, რომ შენ ჩემი ძმა იყო.

ბიჭმა გაიღიმა.

— მე შემიძლია შენი ძმა გავხდე, თუკი შენ ეს გინდა, ყაჩაღის ქალიშვილო.

— კი, მინდა, — უპასუხა გოგონამ — ოღონდ რონი დამიძახე ხოლმე, კარგი?

— რონი, ჩემო დაო, — თქვა ბირკმა და თოვლიან წყვდიადში გაუჩინარდა.

იმ ღამეს იმდენი მოთოვა, რომ ბებერ ყაჩაღს, ქაჩალ პერსაც კი უკვირდა, ჩემ სიცოცხლეში არ მოვსწრებივარ ასეთ უხვ თოვლსაო. ოთხმა ყაჩაღმა ძლივს მოახერხა ჭიშკრის გამოღება და ღრიჭოში გაძვრომა, რათა ციხესიმაგრის შემოსასვლელი გადაეთოვლათ. „მგლის ხახა" ამოქოლილს დაემსგავსა. თუ ეს ოხრად დასარჩენი თოვლი არ შეწყდება, გაზაფხულზე ადრე ჩვენ გზებზე კაცი ვერ გაივლისო, — ბუზღუნებდა ქაჩალი პერი.

მატისს არც თოვლი ახსოვდა და არც თავისი მეტოქე ბორკა, სხვა რამ აწუხებდა ყაჩაღთა ბელადს: რონი ავად გახდა, თავის სიცოცხლეში პირველად. იმ შემთხვევის შემდეგ ტყიდან დაბრუნებულმა გოგონამ სიცხიანმა გაიღვიძა და თავისდა გასაკვირად იგრძნო, რომ სულ არ უნდოდა ლოგინიდან ადგომა.

— რა მოგივიდა? — შეიცხადა მატისმა და შვილის საწოლთან ჩაიჩოქა — ავად ხომ არ გახდი?

მან რონის ხელი ხელში აიღო და გულზე შემოეყარა — ხელი ცხელი ჰქონდა, სხეულიც უხურდა. მატისი შიშმა შეიპყრო. ის შეჩვეული იყო, რომ რონი მუდამ ჯანმრთელი და ხალისიანი იყო. ახლა კი მისი გოგონა, მისი საყვარელი რონი, სიცხიანი იწვა ლოგინში და თავი უღონოდ გადაეგდო ბალიშზე. მატისი მიხვდა, რით დამთავრდებოდა ეს, რა ემუქრებოდა მას. ცხადია, ის დაკარგავს რონის, რონი მოკვდება, ის გრძნობდა ამას და გული უსკდებოდა.

არ იცოდა, რა ეღონა, ისე იტანჯებოდა, რომ უნდოდა თავი კედლისთვის ეხალა და ეღრიალა, მაგრამ ეშინოდა, საბრალო გოგონა არ შევაშინოო. საამისო გონება კი კიდევ შერჩენოდა. ამიტომ ისღა მოახერხა, რომ გავარვარებულ შუბლზე ხელი დაადო და ჩაილუღლუღა:

— კარგია, რომ სითბოში წევხარ, შვილო! როცა ვინმე ავადაა, სითბოში უნდა იწვეს.

მაგრამ რონი ხედავდა, რა დღეშიც იყო მამა და თუმცა სიცხისგან იწვოდა, სცადა ენუგეშებინა იგი.

— დამშვიდდი, მატის, არაფერია. უფრო უარესიც შეიძლებოდა მომხდარიყო.

— კი, ნამდვილად შეიძლებოდა მომხდარიყო. შეიძლებოდა მთელი ზამთარი ვწოლილიყავი თოვლქვეშ, გაზაფხულამდე — გაიფიქრა რონიმ. საბრალო მატისი! რონიმ ისევ წარმოიდგინა, როგორ იდარდებდა მამა, ის რომ იქ, ტყეში, გაყინულიყო და ცრემლები ვეღარ შეიკავა.

— დედაშენი სად არის? სად ჯანდაბაში დაიკარგა?! — დაიყვირა მატისმა, მერე თვითონაც აქვითინდა და დარბაზიდან გავარდა.

მატისი მანამდე ტიროდა, ვიდრე ფარეხში ლოვისა არ გამოჩნდა, რომელსაც ქათმები უკვე დაეპურებინა. ცოლის დანახვაზე დაუღრიალა:

— დედაკაცო! რატომ შენ ავადმყოფ შვილს არ მიხედავ?

— ავადმყოფ შვილს? ჩემი შვილი ავად არის? შეხედე ერთი, მე კი არც ვიცოდი — მშვიდად გამოეპასუხა ლოვისა. — ახლავე ცხვრებს ყლორტებს დავუყრი და...

— მე თვითონ დავუყრი, შენ კი რონისთან გაიქეცი! — დაუყვირა მატისმა და მერე ჩურჩულით დასძინა — თუ... თუ ის ჯერ კიდევ ცოცხალია.

ლოვისამ შვილს სამკურნალო ბალახების ნაყენი დაალევინა და სამ დღეში მატისის გასახარად და გასაკვირად რონი ფეხზე დადგა. ის ისევ ისეთი იყო, როგორც ადრე, ოღონდ ოდნავ უფრო დაფიქრებული. ის სამი დღე, სანამ ავად იყო, ბევრს ფიქრობდა. რა იქნება, როგორ იქნება ამიერიდან? ბირკი როგორ არის? ახლა მას ძმა ჰყავს, მაგრამ სად, როგორ მოახერხებენ ხოლმე ერთმანეთის ნახვას? ცხადია, საიდუმლოდ თუ შეხვდებიან ხოლმე!.. ვერასდროს, ვერასდროს გაუბედავს იგი მატისს იმის თქმას, რომ ბორკას ერთიერთი ყაჩაღი მისი მეგობარი გახდა. ეს იმას ნიშნავს, რომ თავში

მუშტი ჩაარტყა მას, ის კი არა უფრო უარესსაც. ეს ამბავი რომ გაიგოს, ნამდვილად მოკვდება ან ისე გაცოფდება, როგორც არასდროს გაცოფებულა. რა არის, როგორი თავშეუკავებელია მამა ყველაფერში?

გარეთ კი ქარბუქი ისევ მძვინვარებდა. ნამქერი დღითიდღე მატულობდა და ბოლოს რონი მიხვდა, რომ გაზაფხულამდე ბირკს ვეღარ ნახავდა. იგი იქვე იყო, მაგრამ იმავე დროს ისეთი მიუწვდომელი იყო მისთვის, თითქოს ცხრა მთის იქით ცხოვრობდაო.

●●●

ყაჩაღებს გაზაფხული მოენატრათ, სითბოს მოლოდინში ისევ ისე წმენდდნენ ციხე-სიმაგრის მისადგომებს თოვლისგან, თლიდნენ თხილამურებს, ფერავდნენ იარაღს, უვლიდნენ ცხენებს, საღამოობით კი, როგორც ყოველთვის, კამათლებს თამაშობდნენ, ბუხარს უსხდნენ, ყაჩაღურ სიმღერებს მღეროდნენ და ყაჩაღურ ცეკვებს ცეკვავდნენ.

რონიც მათთან ერთად თამაშობდა, მღეროდა და ცეკვავდა. მათსავით მასაც ენატრებოდა გაზაფხული და გაზაფხულის ტყე. მაშინ ხომ ნამდვილად ნახავს თავის ბირკს და ჰკითხავს, მართლა უნდა თუ არა მისი ძმა იყოს, როგორც მაშინ შეჰპირდა.

მაგრამ, მოგეხსენებათ, ლოდინი ძნელია და რონის გული გადაელია, მით უმეტეს, რომ ოთხ კედელში ჯდომას ვერ იტანდა. ადგილს ვეღარ პოულობდა. ეს დღეებიც რომ ასე საშინლად გაიწელა! ერთხელაც ლოდინით გულგაწვრილებული ადგა და ციხე — სიმაგრის სარდაფში ჩავიდა, სადაც დიდი ხანი იყო ფეხი აღარ ჩაედგა. აშინებდა ეს უზარმაზარი ნესტიანი მიწისქვეშეთი, კლდეში ნაკვეთი ნამდვილი დილეგი.

დაბლა რომ ჩავიდა, აბოლებული ჭრაქი ზევით ასწია და დაბალი პირქუში თაღები გაანათა. რონი ნამყოფი იყო აქ, როცა პერისთან ერთად ჩამოვიდა ერთხელ. ბებერმა ყაჩაღმა იმის საჩვენებლად ჩამოიყვანა აქ, თუ როგორ გააპო მეხმა იმ ღამეს, რონი რომ დაიბადა, ციხე-სიმაგრე ორად და როგორ გაჰყო ორ უძირო უფსკრულად ორივე მხარე, როგორ დაფშვნა კლდე, რომელზეც ის იდგა. ამიტომ იყო მიწისქვეშა გასასვლელი ამ ადგილზე ნაშალი ქვით ჩახერგილ-ამოქოლილი. რონი ჩაფიქრდა. მიწისქვეშა გასასვლელი ხომ იქით მხარესაც გრძელდებოდა, მან ეს იცოდა და ქოსა პერიმაც დაუდასტურა მაშინ. რონი მაშინაც გაბრაზდა, იქით რომ ვეღარ წავიდოდნენ, ახლა კი პირდაპირ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. ამ დახვავებული ლოდების მიღმა სადღაც იქ, ციხესიმაგრის იმ ნაწილში ბირკი იმყოფება და ვინ იცის, იქნებ ისიც სწორედ ახლა დაბორიალებს მიწისქვეშეთში.

ფიქრებში გართული რონი თვალს ვერ აცილებდა ლოდების გროვას. მერე კი გადაწყვეტილება მიიღო.

იმ დღიდან მოყოლებული, რონი დილიდანვე სადღაც იკარგებოდა. არავინ იცოდა, სად ატარებდა დროს, მაგრამ ეს ამბავი არც მატისს აწუხებდა და არც ლოვისას. ალბათ სხვებთან ერთად თოვლისგან წმენდს შემოგარენსო, ფიქრობდნენ და არხეინად იყვნენ.

რონი კი მიწისქვეშეთში კლდის ნაშალს ეზიდებოდა, გასასვლელს წმენდდა ისეთი გულმოდგინებით, რომ საშინლად სტკიოდა ზურგი, ხელები ხომ ლამის წართმეოდა. და მაინც, როგორც კი ინათებდა, უმალ მიწისქვეშეთში გარბოდა. ეზიდებოდა ქვებს და უახლოეს საკუჭნაოში ახვავებდა. ბოლოს ის დღეც დადგა, როცა საკუჭნაო პირთამდე გაივსო ქვებით.

ამასობაში ქვის ზღუდე, რომელიც გასასვლელს ფარავდა, იმდენად დაპატარავდა, რომ თუმცა კი გაჭირვებით, მაგრამ გადაძრომა მაინც შეიძლებოდა. მთავარია გაბედოს... ჯერ ყველაფერი კარგად უნდა მოიფიქროს. ეყოფა კი გამბედაობა, რომ ბორკას სამფლობელოში შეაღწიოს? რა ელის იქ? არ იცოდა, ის კი კარგად ესმოდა, რომ სახიფათო გზა ელოდა. და მაინც მზად იყო ამ სახიფათო გზას დასდგომოდა ოღონდ კი ბირკი ენახა. ანაზდად რაღაც ხმაური შემოესმა, ფეხის ხმას ჰგავდა, კი, ნამდვილად ასე იყო, ქვის გროვის მიღმა ვიღაც დადიოდა. რონი გაინაბა. ერთი კი იფიქრა, უნდა გავიქცე ვიდრე იმას, ვინც იქ დადის, არ შევუმჩნევივარო, მაგრამ ამ დროს ბორკას ყაჩაღმა რაღაც მელოდია დასტვინა. რონის ეცნო იგი, ერთხელ უკვე გაეგონა ეს მელოდია. კი, რა თქმა უნდა, გაგონილი ჰქონდა! ამ მელოდიას ბირკი უსტვენდა, როცა კუწნების ბუნაგიდან ფეხის გამოთავისუფლებაში ეხმარებოდა მას, მაგრამ იქნებ ბორკას ყველა ყაჩაღი უსტვენს ამ მოტივს?

რონი საშინლად აღელდა, კინაღამ მოკვდა მღელვარებისგან, მაგრამ მაინც დაძახება ვერ გაბედა, მეტისმეტად სახიფათო იყო. როგორ გაიგოს, ვინ არის ის, ვინ უსტვენს? და რონიმ დაუსტვინა. ძალიან ჩუმად დაუსტვინა იგივე მელოდია. იქითა მხარეს სტვენა შეწყდა. საშინელი სიჩუმე ისე დიდხანს გაგრძელდა, რომ გოგონამ გაქცევა გადაწყვიტა: ვაითუ უცნობი ყაჩაღი გამოძვრეს ქვების გროვიდან და მეცესო!

მაგრამ ამ დროს ბირკის ხმა მოესმა. ჩუმი და გაუბედავი, თითქოს არ სჯეროდა თავისი თავის:

— რონი, შენ ხარ?

— ბირკ! — შესძახა სიხარულისგან თავდავიწყებულმა რონიმ — ბირკ, ბირკ!

მერე ცოტა ხანს იყუჩა და ჰკითხა: — შენ მართლა გინდა, ჩემი ძმა იყო?

პასუხად მხოლოდ ბირკის ჩაცინება მოისმა.

— ჩემო დაო, — უთხრა მან, — როგორ მიხარია, რომ შენი ხმა მესმის, მაგრამ შენი ნახვაც რომ მინდა! ისევ ისეთი შავი თვალები გაქვს, რომ გქონდა?

— გადმოძვერი და ნახე! — გასძახა მას რონიმ...

თარგმნა
**მანანა კარგარეთელმა**



# სიმონ შამფრიანი

*სიმონ შამფრიანი იყო კაცი, რომელსაც, საგანგებოდ რომ გეძებნა, ნაკლს ვერ უპოვნიდი.*

*იგი იყო ნაღდი ქართველი, პრინციპული და პატიოსანი პიროვნება, მშვენიერი პოეტი, უღალატო, მისანდო მეგობარი.*

*მძიმე ცხოვრების გზა განვლო. რეპრესიების წლებში ძმები გადაუსახლეს ციმბირში. ულმობელმა სენმა ვაჟი წაართვა, ცხრამეტი წლის ბეოქილი, ნიჭიერი პოეტი და მხატვარი... ამან მოტეხა, მაგრამ სულიერად მაინც არ დაცემულა.*

*თითქმის ოცდაათი წელი გაატარა სიმონ შამფრიანმა „პიონერის“ („ნაკადულის“) რედაქციაში. იყო გამომშვები, ლიტერატურული მუშაკი, განყოფილების რედაქტორი, პასუხისმგებელი მდივანი. მუშაობდა პატიოსნად, მუხლჩაუხრელად, ენერგიის დაუშურველად.*

*ცოტას წერდა, მაგრამ რასაც ქმნიდა, უნაკლო იყო. ამიტომ უყვარდათ იგი მის მკითხველებს, ნორჩებსაც და მოზრდილებსაც.*

*აღარ არის ჩვენთან ბატონი სიმონი, წავიდა და წაიღო ჩვენი გულების ნაწილი.*

*მაგრამ დარჩა მისი მშვენიერი პოეზია და თბილი მოგონებები.*

## მან ამიხილა თვალი

ზოგს მშვილდ-ისარი უყვარდა,
ზოგს კიდევ – ქროლა ციგით,
მე კი ყველაფერს მერჩია
წიგნი,
წიგნი
და წიგნი.

გულს ჩამრჩენია აქამდე,
შემონახული წმინდად, –
რაღაც სხვაგვარი სურნელი
ჩემი ბავშვობის წიგნთა.

ჩემი ბავშვობის წიგნები!..
ო, იმ წიგნებთან ერთად
რამდენი ღამე თრთოლვაში
გამითენებია თეთრად.

მელანდებიან ნიადაგ,
ყველგან – ძილში თუ ცხადად,
ხან ჩუმი სევდით მავსებდნენ,
ხან გამაფრენდნენ ცადა.

დრო მიდიოდა, მიჰქროდა,
წელს მიჰყვებოდა წელი,
წიგნი თან მახლდა მარადჟამ,
ვით მეგობარი ერთგული.

მან გამინათა ოცნება,
მან ამიხილა თვალი,
მან შემაყვარა მთა-ბარი,
შუქი მზისა და მთვარის.

არ ვიცი, დღეს ვის რა უყვარს,
ვინ რას მიელტვის ფიქრით,
მე კი ყოველგვარ განძეულს
კვლავ მირჩევნია წიგნი.

## გზაწვრილები

გზაწვრილები...
გზაწვრილები...
ათასგვარი გზაწვრილი,
ველის სახრედ გასროლილი,
სადით სად არ გაჭრილი.
ვინ ჩამოთვლის
ყველა მათგანს!
მაგრამ, ვთქვათ, სულ ორია:
ერთით – მშვიდად, არხეინად
მინდორ-ჭალას მოიარ,
გადასერავ მწვანე ფერდობს,
ყვავილებით დაქარგულს,
გვერდს აუქცევ ფლატე-ღრანტეს,
ხევხუვებში ჩაკარგულს.
მეორე კი მწვერვალისკენ
ციცაბოზე მიცოცავს;
დაბლა – ბნელი უფსკრულები,
მაღლა – უნაპირო ცა...
მოერიდო, გირჩევნია,
თუ გული არ არწივობს...
შენ,
შენ რომელს გაჰყვებოდი,
მეოცნებე ყმაწვილო?

## ჭრიჭინა

ველზე თრთვილია,
ხევებში – ნისლი,
შორს,
ქედზე,
თოვლის ციმციმებს ძაფი...
და,
რა ხანია, აღარსად ისმის
ჩემი ჭრიჭინას სიმღერა მძაფრი,
მაგრამ მე ახლა მადარდებს სულ
სხვა,
ჩემი წუხილით გული მაქვს სავ-
სე:
ვაითუ მშიერს მოუწყრო სუსხმა
და...
ჭიანჭველას მიადგა კარზე!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ირანული პოეზია

*კლასიკურ სპარსულ პოეზიაზე მსჯელობისას ხშირად იმოწმებენ ხოლმე დიდი გოეთეს სიტყვებს: „ამბობენ, რომ სპარსელებმა ყველა თავისი პოეტიდან ხუთი საუკუნის მანძილზე ღირსეულად მხოლოდ შვიდი პოეტი იცნეს, მაგრამ მათ მიერ დაწუნებულთა მორისაც კიდევ ბევრი აღმოჩნდება ჩემზე უკეთესი.“ ცხადია, ვაიმარელი ბრძენის ეს სიტყვები ქედმაღლურ თავმდაბლობად არ უნდა იქნეს გაგებული. სპარსულ პოეზიას მართლაც ბევრი ბრწყინვალე სახელი ამშვენებს: რუდაქი, ფირდოუსი, ნასერ ხოსრავი, ქესაი მარაველი, ომარ ხაიამი, ნიზამი, ჯელალ ედდინ რუმი, საადი, ჰაფეზი, ხაყანი შირვანელი, საადი შირაზელი და სხვ.*

*ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობას რვასაუკუნოვანი ისტორია აქვს. „ვისრამიანის“ უბადლო თარგმანი, „შაჰნამეს“ ქართული ვერსიები, „ლეილ-მეჯნუნიანი“ და სხვ. წარმოგვიდგენენ ნათელ სურათს იმისა, თუ რაოდენ დიდი იყო ინტერესი სპარსული ლიტერატურის მიმართ ქართულ საერო მწერლობაში. თუმცა აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ ეს ინტერესი მჟღავნდებოდა მხოლოდ საგმირო, რომანული და დიდაქტიკური მწერლობის სფეროში, ხოლო სპარსული კლასიკური ლირიკა უთარგმნელი რჩებოდა. დროთა განმავლობაში ეს ხარვეზი ამოივსო და დღეს ქართველ მკითხველს საშუალება აქვს გაეცნოს სპარსული პოეზიის ბრწყინვალედ თარგმნილ მარგალიტებს. სწორედ ზოგიერთ მათგანს წარმოგიდგენთ დღეს.*

---

## რუდაქი

(X ს.)

ცხოვრებას კარგად შეხედე,
გონს მოდი, იყავ ჭკვიანი,
ზერელედ ნუკი უყურებ,
გზები იცოდე გზიანი,
ზღვასა ჰგავს ჩვენი ცხოვრება
და, რომ არ ნახო ზიანი,
სიკეთის გემი ააგე
და გადმა გასვალ ხვიანი.

## ნიზამი

(XII ს.)

### მხოლოდ მამულში

კარგია მოგზაურობა,
მით უფრო უცხო მხარეში,
შორეულ გზებზე ვიალი,
შორეულ ზღვებზე თარეში,
მოივლი მრავალ ქვეყანას,
ათასგვარ ამბავს გაიგებ,
სად არ გაათევ ღამეებს
და ნაბადს სად არ დაიგებ!
გაიგებ, სად რა აცვიათ,
ვის რა ადათი ჰქონია,
მრავლის მნახველი იქნები
და ეს კარგია, მგონია,
მაგრამ თუ ჩაუკვირდები,
სიმართლე გამოვლინდება:
მამულში, მხოლოდ მამულში
უწევი ნამდვილ დიდებას!

## ჯელალ ედ-დინ რუმი

(XIII ს.)

### მე ვარ მძერწავი

მე ვარ მძერწავი და ტანად ლერწამს
რომ ჰგავს, იმდაგვარ
ქვის კერპებს ვძერწავ,
მაგრამ რა ერთწამს შენ შეგადგამ თვალს,
არ მომწონს იგი
და იქვე ვლეწავ;
მე ვარ მხატვარი და სანამ სურათს
სულს არ ჩავუდგამ,
მანამდის ვხვეწავ,
მაგრამ რა ერთწამს შევხედავ შენს ხატს,
მე ვწვავ ჩემს ნახატს,
მე ვთხზავ და მე ვწვავ მას.



## ომარ ხაიამი

(XI ს.)

### რობაიები

სატიროდავია ვისაც ტრფობის ჭირი და სნება
არ განუცდია, არ ჰქონია ამისგან ვნება.
ვისაც ამქვეყნად უცხოვრია უსიყვარულოდ,
მე ვცხოვრობდით, - ამისი თქმის არა აქვს
ნება.

●●●

ეცადე, არვის ესროლო ღვარძლის ლოდი
და გუნდა,
გული საკუთარ ნაღველში ამოგეგუდოს
თუნდა;
უნდა ეცადო, სიხარბე რომ დაიოკო შენი,
უნდა ჯვარს ეცვა, მაგრამ სხვას ვნება აშორო უნდა!

## საადი

(XIII ს.)

### მზის სინათლეზე

ხომ დაგინახავს, ღამ-ღამობით
მინდვრად და ველად
ნაპერწკალივით რომ დაელავს
ციცინათელა?
— ციცინათელავ, ღამით მნათო, —
ვიღაცამ ჰკითხა, —
რატომ არის, რომ არ გამოხვალ
მინდორში დღითაც?
მესმ, ამ შუქის მქონებელმა
მწერმა პატარამ
როგორ მიუგო და ბრმენს თავი
როგორ ადარა:
— მე ამ მინდორში როგორც ღამით,
დღისითაც ველავ,
მაგრამ მზის შუქზე მისუნდება
უნარი ველა.

●●●

### თუ

არ შეგემინდეს, იყავი მშვიდი,
თუ მტრებს ურთიერთ უხდებათ ბრძოლა.
და თუ შეთანხმდნენ, მოზიდე მშვილდი,
ფრთხილად, არ გარგებს მილი და წოლა.

თარგმნა
მაგალი თოდუა

# დეტექტიური თავსატეხი

*ეს დეტექტიური თავსატეხიც, ისევე როგორც წინა ნომერში მოთავსებული, ამოღებულია ერთი მომცრო ინგლისური კრებულიდან, რომელიც პატარ-პატარა კრიმინალურ ისტორიებს შეიცავს და უთუოდ მომავალი „შერლოკ ჰოლმსებისათვის“ არის გათვალისწინებული.*

## ქალიშვილებს საფრთხე ემუქრება

— როგორც ყოველთვის, ჩემი დაბადების დღესაც კი მკვლელობა უნდა გავხსნა, — შესჩივლა ფოქსმა მის მისალოცად მისულ თავის პატარა მეგობარს გარის და მის დას კონის. — პატარა სახლში ზღვის ნაპირზე ნაპოვნია მოკლული ქალიშვილი. საშინელებაა! მაგრამ მე ააცვე დავიჭირე გარეწარი.

— როგორ დაიჭირეთ? — ჰკითხა გარიმ.

— როცა დამირეკეს და მომხდარი ამბავი შემატყობინეს, მე პოლიციის მორიგ ბრიგადასთან ერთად დაუყოვნებლივ გავემგზავრე უაიტსტოუნის პლაჟზე, სადაც მკვლელობა მოხდა. ჩვენ გულდასმით დავათვალიერეთ პლაჟი და სახლი. ისიც დავადგინეთ, რომ მსხვერპლი ორი დღის წინ მოკლეს. იქვე ახლოს აღმოვაჩინეთ კონვერტი, რომელშიც გაზეთიდან ამოჭრილი განცხადება იდო. კონვერტზე ჯონ სტემპერის სახელი ეწერა.

— ... და თქვენ ალბათ ჯონ სტემპერის ვინაობა შეამოწმეთ თქვენი კარტოთეკის მიხედვით? — გამოთქვა თავისი ავტორიტეტული ვარაუდი გარიმ.

— მართალი ხარ, ყოჩაღ, — დაუდასტურა დეტექტივმა ფოქსმა. — კარტოთეკამ ორი სტემპერის მონაცემები მოგვცა. ალიგ ორივე დაპატიმრებული ყოფილა ქალიშვილებზე თავდასხმისათვის. ეს ართულებდა საქმეს. მე დავუკავშირდი გავიგზავნე საპატრულო მანქანა მათ მოსაყვანად. პირველი მაშინვე იპოვეს გრაფინულში, სადაც ის შემთხვევით მე შემოხვდა. ორი საათის შემდეგ დაკითხვაზე მეორე სტემპერიც მოიყვანეს, კანტორის კლერკი. დაბალ-დაბალი, ჩაცუცქნილი შემფუთველი უსიამოვნო შთაბეჭდილებას არ ტოვებდა. მაღალი, ქერათმიანი და საკმაოდ გონიერი კლერკის ცინიკური სიცილი დაკითხვის დროს კი ძალიან არ მომეწონა. მათ ერთმანეთი იცნობდათ და, ეტყობოდათ, რომ საკმაოდ სძულდათ ერთმანეთი. ბუნებრივია, ორივემ განაცხადა, რომ მომხდართან საერთო არაფერი ჰქონდათ. მე ფირზე ჩავიწერე დაკითხვა. თუ გინდათ, შემიძლია მოგასმენინოთ, ჩანაწერი თანა მაქვს. ეს დეტექტივ ფოქსის ოდნავ ყრუ ხმა იყო.

— მისტერ ფოქს, მე ადრეც გითხარით და ახლაც ვიმეორებ, რომ მე დაფიცებული მაქვს, რომ ახალი ცხოვრება უნდა დამეწყო, — გაისმა პასუხად დაბალი ხმა.

— ეს შემფუთველია, — აუხსნა დეტექტივმა ფოქსმა კონის და გარის.

— მე არც კი ვიცი, სად არის ეგ პლაჟი, — წარმოთქვა მაღალმა ხმამ.

— ეს კლერკია, — სწრაფად ჩაურთო მისტერ ფოქსმა.

— არ დაუჯეროთ მაგას, მისტერ ფოქს, — გაცხარდა შემფუთველი, — მან ყველა პლაჟი და პარკი იცის ქალაქის შემოგარენში.

— შენ ნაძირალა ხარ! — შეჰყვირა მაღალი ხმის პატრონმა. — თუ ეს სტემპერის გვარის კაცმა ჩაიდინა, ეს მხოლოდ შენ შეიძლებოდა ყოფილიყავი.

მერე დეტექტივ ფოქსის ხმა გაისმა.

— მე კიდევ ერთხელ გეკითხებით: რომელმა თქვენგანმა ჩაიდინა ეს?.. აღიარება მდგომარეობას შეგიმსუბუქებთ.

— მე შეკითხვა მაქვს, — თქვა შემფუთველმა. — როგორ მოკლეს ქალიშვილი?

— დაახრჩეს, — უპასუხა ფოქსმა.

— მართლით დაახრჩეს! ეს ამის ხელწერაა, — ნიშნის მოგებით განაცხადა შემფუთველმა. — მაშასადამე, ამის ჩადენილია!

მერე ფოქსის დაჯერებული ხმა გაისმა:

— ეს საქმეს წყვეტს.

ამას კლერკის შეძრწუნებული ხმა მოჰყვა:

— ღვთის გულისათვის, მერწმუნეთ, ეს მე არ ჩამიდენია.

მე უდანაშაულო ვარ, ამან შარფი გამოიყენა იმისათვის, რომ ჩემზე აელოთ ეჭვი. მე უდანაშაულო ვარ.

დეტექტივმა ფოქსმა ღილაკ „სტოპს“ დააჭირა და კონისა და გარის მიმართა:

— ერთ-ერთი მათგანი დამნაშავეა, მაგრამ რომელი — შემფუთველი თუ კლერკი?

— ძნელი სათქმელია, — წარმოთქვა ჩაფიქრებულმა კონიმ.

გარიმ კი გადაჭრით განაცხადა:

— დამნაშავემ ყოველთვის უფრო მეტი იცის, ვიდრე უდანაშაულო ადამიანმა. მან ერთადერთი სიტყვით გასცა საკუთარი თავი, თანაც ისე, რომ თვითონ ვერც კი მიხვდა ამას.

### ახლა კი გვიპასუხეთ:

1. ვინ არის მკვლელი?
2. რომელი სიტყვით გასცა მან საკუთარი თავი?

### *წინა ნომერში დაბეჭდილი დეტექტიური თავსატეხის პასუხები:*

აი რა მოხდა ბენზინის ჩასასხმელ სადგურზე. დღისით-მზისით ორი კაცი თავს დაესხა სადგურის პატრონს, მათ შეკრეს იგი და გაძარცვეს. როცა სადგურს ძია ალბერტი და გარი მოადგნენ, ერთ-ერთმა განგსტერმა სამუშაო ტანსაცმელი გადაიცვა და ბენზინის სვეტისკენ გაემართა.

**პირველი.** შენობიდან გამოსული მამაკაცი გზადაგზა იკრავდა თავისი სამუშაო კოსტუმის ღილებს. თავისთავად ეს ფაქტი ეჭვს მაინცდამაინც არ უნდა იწვევდეს, იგი უბრალოდ საერთო სურათს ავსებს.

**მეორე.** გამოცდილ ბენზინის ჩამომსხმელს შეუცდომლად უნდა სცოდნოდა, სად აქვს ბენზინის ავზის სახურავი ისეთ გავრცელებულ ავტომანქანას, როგორიც „ფორდია“.

**მესამე.** თუ ეს ადამიანი მხოლოდ ცოტა ხნით სცვლიდა ბენზინის ჩამომსხმელს, მას ვერ ეცოდინებოდა, რომ ოთხი საათი იყო, რაც ტელეფონი არ მუშაობდა.

**მეოთხე.** „ჩამსხმელმა“ იცრუა, როცა თქვა სადგურში მარტო ვარო. გარიმ ხომ რაღაც ხმაური გაიგონა.

**მეხუთე.** გარი საბოლოოდ მაშინ დარწმუნდა იმაში, რომ სადგურში კიდევ იყო ვიღაც, როცა მიწაზე ადამიანის თავისა და მხრების ჩრდილი დაინახა.

**მეექვსე.** დაფაზე ცარცით გარკვევით ეწერა: „ბრაუნთან დარეკვა“. ბოროტმოქმედების ჩადენის დღეს მთელი დილა გადაუღებლად წვიმდა და თორმეტი საათის დასაწყისში იღა გადაიღო. წარწერა დაფაზე, რომლის შინაარსიც ეტყობა, ტელეფონით გადაიცა, მხოლოდ წვიმის გადაღების შემდეგ შეიძლებოდა გაკეთებულიყო. თუ ტელეფონი 4 საათის განმავლობაში მართლა გაფუჭებული იყო, მაშინ რაიმე ტელეფონის ზარზე ლაპარაკი ზედმეტია.

**მეშვიდე.** ვინაიდან ბენზინის ჩამსხმელი სადგურის პატრონმა დაფაზე წვიმის შემდეგ გააკეთა წარწერა, მასზე თავდასხმა 11 საათის შემდეგ მოხდა, გარისა და ძია ალბერტის გამოჩენამდე ცოტა ხნით ადრე.

**მერვე.** სალაროს უჯრა, რომელიც ბოროტმოქმედმა გამოსწია და მაშინვე მიხურა, ცარიელი აღმოჩნდა.



# წიგნები და გმირები



## ბარონი მიუნჰაუზენი

ვინ მოთვლის, რამდენი თაობა გაუმხიარულებია ცრუპენტელა ბარონ მიუნჰაუზენის საარაკო თავგადასავლებს, მის ხრიკებსა და ოინებს, რ. რასპეს, გ. ბიურგერის თუ კ. იმერმანის წიგნებში რომ არის მოთხრობილი. ბარონი იერონიმ ფრიდრიჰ მიუნჰაუზენი მართლა არსებობდა (1720-1797). წარმოშობით იგი გერმანიის პატარა ქალაქ ბოდენვერდერიდან იყო. სხვათაშორის, დღეს ამ ქალაქის სიმბოლს მხოლოდ მისი გერბი კი არა, ყუმბარაზე გადამჯდარი მომღიმარი მიუნჰაუზენიც გახდა. აქ მისი სახლ-მუზეუმიც არსებობს, მუზეუმის წინ კი მომცრო პავილიონი დგას, სწორედ აქ ართობდა ბაქია ბარონი ბოდენვერდერელებს თავისი საბრძოლო გმირობის ტყუილ-მართალი ამბებით. ერთხელაც მის მსმენელებს შორის ბიბლიოთეკარი და ანტიკური სამყაროს მკვლევარი, პროფესორი რუდოლფ ერიჰ რასპეც აღმოჩენილა, რომელსაც მოსწონებია ხალისიანი ისტორიები, დაუმახსოვრებია, ჩაუწერია ისინი და 1786 წელს წიგნად გამოუცია.



## რობინზონ კრუზო

უთუოდ ყველას გექნებათ წაკითხული ან სულაც ეკრანზე ნანახი რობინზონ კრუზოს თავგადასავალი, ალექსანდრ სელკირკის სახელი კი ცოტას თუ ვინმეს ექნება გაგონილი. არადა სწორედ იგი გახლავთ დღეს მთელ მსოფლიოში ცნობილი ლიტერატურული გმირის პროტოტიპი.

1704 წელს კლიპერ „ხუთი პორტის“ შტურმანი ალექსანდრ სელკირკი თავის კაპიტანს აუხირდა, გემი ცუდ მდგომარეობაშია და მისი ზღვაში ყოფნა საშიშიაო. კაპიტანი და შტურმანი წალაპარაკდნენ, წალაპარაკება უსიამოვნებაში გადაიზარდა და კონფლიქტის გამწვავების თავიდან ასაცილებლად კაპიტანმა გადაწყვიტა ურჩი შტურმანი თავიდან მოეცილებინა და როგორც კი გემი რომელიღაც კუნძულის სიახლოვეს აღმოჩნდა, მასზე გადასვა იგი. ასე აღმოჩნდა ალექსანდრ სელკირკი ხუან-ფერნანდესის არქიპელაგის უკაცრიელ კუნძულზე, სადაც თითქმის ხუთი წელი დაჰყო. იკვებებოდა თხის რძით, კუს კვერცხებით, თევზით, ხილით. 1709 წლის თებერვალში კი მას ბედმა გაუღიმა, კუნძულის სიახლოვეს ბრისტოლური ხომალდი გამოჩნდა და უჩვეულო ხიზანი ბორტზე აიყვანა. სულ მალე ჟურნალ-გაზეთების წყალობით ალექსანდრ სელკირკის უცნაური თავგადასავალი მთელი ინგლისისათვის გახდა საცნაური. 1719 წელს კი გამოვიდა დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზო“. როგორც ამბობენ, მწერალი უშუალოდ შეხვედრია თავისი მომავალი ლიტერატურული გმირის პროტოტიპს.



# თუ გინდა, რომ მაღალი გაიზარდო

ეროვნული ბიბლიოთეკა



1



2



3



4

ამერიკელი მსახიობი ფრანკ ვილარდი მრავალი წლის მანძილზე აოცებდა ცირკის მოყვარულებს ერთი თავისი ნომრით. მანეჟზე საშუალო ტანის ჩვეულებრივი ადამიანი გამოდიოდა, გაოგნებული პუბლიკის თვალწინ მისი სიმაღლე სწრაფად იზრდებოდა და სულ რამდენიმე წუთში ვილარდი 20 სანტიმეტრით იმატებდა... ვილარდის ეს ნომერი მარტო მაყურებლებს კი არა, მეცნიერებსაც აკვირვებდა. ერთხელაც დაინტერესებულმა მეცნიერებმა პირდაპირ მანეჟზე გადაუღეს მსახიობს რენტგენის სურათები და აი რა დაადგინეს. ხერხემლის ფორმას კუნთების ორი საპირისპიროდ მომუშავე ჯგუფი მართავს: პირველნი ცდილობენ მოხარონ იგი, მეორენი კი მის გამართვას ლამობენ. იმის მიხედვით, თუ მოცემულ მომენტში რომელ კუნთებს უფრო ძლიერად ძაბავს ადამიანი, მისი ხერხემალი ან იხრება, ან იმართება. ეს დაახლოებით ისევე ხდება, როგორც ხელების, ფეხების მოხრისა და გაშლის დროს, როცა ჩვენ შესაბამის კუნთებს ვძაბავთ. ვილარდის ოსტატობა იმაში მდგომარეობდა, რომ არენაზე გამოსვლისას იგი მაქსიმალურად ძაბავდა „მომხრელ" კუნთებს, ანუ „კეცავდა" ხერხემალს და მაშასადამე, სიმაღლეს იკლებდა. ნომრის შესრულების დროს კი მსახიობი ნელ-ნელა ადუნებდა მომხრელ კუნთებს, ხოლო „გამმართველ" კუნთებს, მაქსიმალურად ძაბავდა და ამ დროს ხერხემალი თითქმის სწორი ხდებოდა. სწორედ ამიტომ ახერხებდა საზრიანი მსახიობი ერთი თავით გაზრდილიყო და აღტაცებაში მოეყვანა ამის შემხედვარე მაყურებლები. ახლა იალქნიანი ფლოტის დროინდელი მეზღვაური ოფიცრებიც გავიხსენოთ ფილმებიდან, წიგნებიდან. როგორი მოხდენილები და კოხტები იყვნენ! რატომ? თურმე იმიტომ რომ დიდი ღელვისა და შტორმის დროს ოფიცრები ყოველთვის ცდილობდნენ მტკიცედ მდგარიყვნენ თავ-თავიანთ პოსტებზე და მაშინაც კი როცა გემბანი ფეხქვეშ ეცლებოდათ, ფეხი არ მოეცვალათ, ამისათვის კი ზურგით ანძას ეკვროდნენ. ამის შედეგად კი ზურგი ლარივით სწორი, მხრები და მკერდი გამართული უხდებოდათ და ის „მეზღვაურული" მიხვრა-მოხვრა უმუშავდებოდათ, ყველა ნაღდ მეზღვაურს რომ გამოარჩევს. ალბათ ადვილად მიხვდებით, რომ სწორი, გამართული ზურგი სიმაღლის მომატებასაც ნიშნავს. აქედან გამომდინარე, გვინდა შემოგთავაზოთ მარტივი ფიზიკური ვარჯიშების კომპლექსი, რომლებიც „გამმართველი" კუნთების ამუშავების წყალობით „გაზრდის" საშუალებას მოგცემთ, ერთდროულად კი მიხვრა-მოხვრას და სიარულსაც გაგიუმჯობესებთ.

შემოთავაზებული ვარჯიშების შესრულება ნებისმიერ დროს შეგიძლიათ, ოღონდ ჭამიდან 1,5 საათის შემდეგ და ძილამდე 1,5 საათით ადრე. პირველი თვის მანძილზე თითოეული ვარჯიში 3-5 — ჯერ შეასრულეთ ისე, რომ მთელ კომპლექსს 12-15 წუთი მოანდომოთ. თანდათან ვარჯიშების გამეორება 10-12-მდე, ვარჯიშის დრო კი — 25-30 წუთამდე გაზარდეთ. ეცადეთ თანაბრად ისუნთქოთ. ვარჯიში 3-5 წუთიანი მსუბუქი მოთელვით დაიწყეთ.

ვარჯიში 1. ეცადე, ბეჭებით, გამოშვერილ კუთხეს შეეხო;
ვარჯიში 2. თითის წვერებზე აწეულმა სცადე მისწვდე;
ვარჯიში 3. ნახტომში ხელებით შეეხე განივ თამასას;
ვარჯიში 4. თავისუფლად, დაეკიდე ძელზე;
ვარჯიში 5. თითებით შეეხე კედელს;
ვარჯიში 6. ჯოხი იდაყვებში მოიქციე, გამოიზნიქე და შეასრულე ბრუნები მარჯვნივ და მარცხნივ;
ვარჯიში 7. ჯოხი თავს ზევით ასწიე, უყურე მას და, ისე შეასრულე დახრები მარჯვნივ და, მარცხნივ;
ვარჯიში 8. გაკვრითი მოძრაობები ხელებით მკერდის წინ და განზე ტანის მარჯვნივ და მარცხნივ ტრიალით.



5



6



7



8

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხრაკლიტული

1. ცნობილია, რომ მსოფლიოში დაახლოებით სამი ათასამდე ენა არსებობს, ანბანი კი მხოლოდ თოთხმეტი, ჩამოთვალეთ ისინი.

2. კვირის დღეების დღევანდელმა სახელებმა (კვირა, ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი) საქართველოში ქრისტიანობასთან ერთად, IV საუკუნეში მოიკიდა ფეხი. რა ერქვა დღეებს ძველქართულად მანამდე, IV საუკუნემდე?

3. ეს ადამიანი გერმანელი მწერალი, პუბლიცისტი და მთარგმნელი არტურ ლაისტი გახლავთ. რა იცით მისი ღვაწლის შესახებ საქართველოს, ქართველი ხალხის წინაშე?

4. რას ნიშნავს სიტყვა „ქორონიკონი"?

5. საიდან მომდინარეობს შავი ზღვის ამჟამინდელი სახელწოდება?

6. რა იცით თბილისის ერთ-ერთი უძველესი ბაღის, ე.წ. „ალექსანდრეს ბაღის" ისტორიის შესახებ?

7. დაასახელეთ პირველი ქართული ტექსტით ნაბეჭდი წიგნი, სად და როდის დაიბეჭდა იგი?

8. ვინ არის გორში დადგმული ამ ძეგლის ავტორი?

9. მესხეთის რომელი ციხეა აღბეჭდილი სურათზე?







## წინა ნომერში დაბეჭდილი ცხრაკლიტულის პასუხები

1. ასტრახანის მიძინების ტაძარში განისვენებენ ქართველი მეფეები ვახტანგ VI და თეიმურაზ II.

2. პეტრიწონის (ბაჩკოვოს) მონასტერი 1083 წელს დააარსა ბიზანტიის გამოჩენილმა პოლიტიკურმა და სამხედრო მოღვაწემ, ეროვნებით ქართველმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ.

3. შემორჩენილია თამარ მეფის ოთხი ფრესკული გამოსახულება — ვარძიაში, ბეთანიაში, ყინწვისში და გარეჯში (ბერთუბნის მონასტერში).

4. ეს არის შოთა ნიშნიანიძის ლექსი „ხარი".

5. ზოგ ადამიანს ყველაფერი ეადვილება, სხვისი ნახელავ-ნამოღვაწარი არაფრად მიაჩნია. ასეთ ადამიანებზეა ეს ანდაზაც.

6. ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) გარდაიცვალა რუმინეთში და დაკრძალულია იქვე ქ. იასიში.

7. ღვთისმშობლის საგალობლის „შენ ხარ ვენახის" ავტორია სახელმწიფო მოღვაწე, პოეტი — ჰიმნოგრაფი, დავით აღმაშენებლის ძე, დიმიტრი მეფე, რომელიც 1125-1154 წ.წ. მეფობდა.

8. ჰიმნოგრაფიული თხზულების „ქებაი და დიდებაი ქართული ენისაის" ავტორია XI ს. დიდი საეკლესიო მოღვაწე და მწერალი ჰიმნოგრაფი იოანე ზოსიმე. იგი ძირითადად პალესტინაში მოღვაწეობდა, საბა განწმენდილის ლავრაში, შემდეგში სხვა ქართველ ბერებთან ერთად სინას მთაზე გადასულა.

8. რუსთაველის ეს ძეგლი დგას მოსკოვში, მალაია გრუზინსკაიას ქუჩაზე. მისი ავტორია მერაბ ბერძენიშვილი.



# ყველაზე, ყველაზე

მსოფლიოში ყველაზე გრძელი კედელი ჩინეთის დიდი კედელია, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნიდან ჩვ.წ. XIV საუკუნემდე შენდებოდა მონგოლთა მომთაბარე ტომებისგან თავდასაცავად. ამ კედლის სიგრძე სწორ ხაზზე 1800 კილომეტრია, ხოლო ყველა მისი განტოტებითურთ — დაახლოებით 4000 კმ.

...

მსოფლიოში პირველი ნაბეჭდი წიგნი ჩინურ ენაზე თარგმნილი თხზულება „ალმასის სუტრაა“ (სუტრა — წმინდა წიგნი). იგი დამზადებულია გრაგნილის სახით, რომელიც ტექსტის ექვსი ფურცლისა და ერთი გრავიურიანი ფურცლისგან შედგება, რომელზეც ბუდაა გამოსახული. წიგნი დაბეჭდილია 868 წლის 11 მაისს ოსტატ ვან ჩის მიერ.

...

ყველაზე პირველი ლითონის ხიდები ჩინეთში, მის მთიან რაიონებში ააგეს. მსხვილ მავთულს ან რკინის ჯაჭვებს კავებით ამაგრებდნენ კლდეებზე, ზედ კი ხის საფარს აწყობდნენ. ამ სახის უძველეს ხიდად ითვლება მდინარე დადუს ხეობაში გადებული



დაკიდებული ხიდი, რომელიც 1706 წელს არის აგებული და დღესაც ემსახურება ხალხს.

...

ყველაზე პირველად ჩაი ჩვ.წ. IV საუკუნის ჩინურ ისტორიულ ქრონიკებში გვხვდება.

...

ყველაზე პირველი ნაბეჭდი ფული ჩინეთში დაიბეჭდა დაახლოებით ორი ათასი წლის წინათ.

...

ყველაზე უძველესი ასტრონომიული ობსერვატორიები ჩინეთში შეიქმნა.

...

ყველაზე დიდი ნაბეჭდი ნაშრომი 1600 წელს გამოცემული ჩინური ლექსიკონია. იგი 5020 ტომისგან შედგება, თითოეული მათგანი ტექსტის 170 გვერდს მოიცავს, მთლიანად კი ლექსიკონი 850000 გვერდისგან შედგება.

...

ყველაზე დღეგრძელი ამჟამად არსებულ დამწერლობებს შორის ჩინური წერის სისტემაა. იმისათვის, რომ გაზეთი წაიკითხოთ, სამიდან ოთხ ათასამდე იეროგლიფი მაინც უნდა იცოდეთ. სრული ჩინური ლექსიკონები 40000-ზე მეტი იეროგლიფისგან შედგება.



# გახდით ჩვენი თანაავტორები

*უთუოდ ბევრი თქვენთაგანი ცდის კალამს, ლექსებით, მოთხრობებით, ნახატებით აჭრელებს მათემატიკისა თუ ქართულის რვეულის ბოლო ფურცლებს, ზოგს კი ალბათ რამდენიმე ცალკე რვეულიც გავსებული აქვს საკუთარი თხზულებებით. სწორედ ასეთი ყმაწვილები გვინდა თანაავტორებად მოვიწვიოთ. გთავაზობთ ნახევრად ფანტასტიკური მოთხრობის დასაწყისს. გააგრძელეთ და დაასრულეთ იგი. ფანტასტიკის ჟანრი თავისთავად დიდ შემოქმედებით გასაქანს იძლევა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენ ხალისით მოჰკიდებთ ხელს კალამს და ჩაერთვებით ჩვენს ერთგვარ ლიტერატურულ კონკურსში.*

*საუკეთესოდ მიჩნეული მოთხრობა ჟურნალ „ნაკადულში“ გამოქვეყნდება, ხოლო მისი ავტორი შესაბამისად ჰონორარსაც მიიღებს და სამახსოვრო საჩუქარსაც. სამახსოვრო საჩუქრები ელით სხვა მოწონებულ ავტორებსაც.*

*საუკეთესოდ კი ჩაითვლება გამართული ქართულით დაწერილი მაღალი მხატვრული ღირსების მოთხრობა, რომელშიც ფანტასტიკის ელემენტებიც კარგად იქნება გამოყენებული და ავტორის შემოქმედებითი პოტენციალიც გამოჩნდება.*

---

# ჩემს პლანეტას ჰქვია...

— ხომ გეუბნებოდი, ნუ უყიდიმეთქი... აი, ამიტომ არ მინდოდა ეს ოხერი კომპიუტერი... მთელი კლასისა და ეზოს გოგო-ბიჭები ხომ ლამის დაღამებამდე აქ არიან, ისინი რომ გაიკრიფებიან, ახლა მარტო მიუჯდება. აღარც ჭამა, აღარც გაკვეთილები, აღარც ინგლისური, აღარც წიგნი — ქვეყანაზე აღარაფერი ახსოვს, გამოთაყვანებული მისჩერებია დისპლეია თუ რაღაც ჯანდაბა და რამდენიც გინდა ელაპარაკე, არაფერი ესმის, ვერ მოაცილებ... არ ვიცი, უკანასკნელად გეუბნები, თუ შენ არაფერს იღონებ, იცოდე, ავიღებ და მოვისვრი ამ შენს კომპიუტერს და მორჩა!... — შინ შემოსვლა აღარ დააცალა დედამ მამას, ისე მიაყარა.

— რა იყო, ამოსუნთქვა მაინც დამაცალე!... — უსაყვედურა ცოლს დიმიტრიმ, ფლოსტებს დასწვდა და საწოლში ჩაჯდა.

— გეგა! — აუღელვებლად გასძახა შვილს.

— ჰმ, ერთბაშად არ გააგონო! — ირონიულად ჩაიცინა დედამ.

— გეგა! მამას ხმაში ბრაზი გამოერია და როცა ვერც ამჯერად მიაწვდინა შვილს ხმა, წამოდგა და მისი ოთახისკენ წავიდა.

— შენ რა, არ გესმის, რომ გეძახიან?! მართლა ხომ არ გინდა, უკომპიუტეროდ დაგტოვო?! — თავზე წაადგა ბიჭს გაღიზიანებული დიმიტრი.

გეგამ ძლივს მოსწყვიტა თვალი დისპლეის და რომ შეატყო, მამა აღარ ხუმრობსო, თავის მართლება დაიწყო:

— რა, მამი, რა იყო, თხუთმეტი წუთი იქნება, რაც დავჯექი...

— გამაგიჟებს ეს ბავშვი, ტყუილებიც რომ ისწავლა?! — განინმატდა დედა.

— მოიცა, ნესტან, დაწყნარდი... მოკლედ ასე, ხვალიდან ასეთი გრაფიკი გექნება — სკოლის მერე ერთი საათი — სამიდან ოთხამდე და საღამოს ნახევარი საათი — ექვსიდან შვიდის ნახევრამდე...

— აუჰ, მამი, კარგი რა, დღეში საათნახევარი რას მეყოფა, გეხვეწები რა, უკვე ვირტუალურ ქსელშიც ჩართული ვარ და... კიდევ ერთი საათი მაინც, რა, გთხოვ, მამი...

— ჯერ ასე იყოს, როგორც მე გეუბნები, მერე კი ვნახოთ, და ძალიან გთხოვ, ვაჭრობას ნუღარ დამიწყებ... ნესტან, სადილი თუ გაქვს მზად ჩვენთვის? წავედით, ვისადილოთ.

გეგამ უხალისოდ ისადილა, ასევე უხალისოდ ისწავლა გაკვეთილები, ინგლისურის დავალებებიც შეასრულა, მერე ერთხანს უაზროდ იბორიალა ოთახიდან ოთახში და ჩვეულებრივზე ადრე დაწვა. დაწოლით კი დაწვა, მაგრამ თვალი არ მოუხუჭავს. როგორც კი დარწმუნდა, რომ დედამ და მამამ დაიძინეს, წამოდგა და ფეხაკრეფით მიუახლოვდა კომპიუტერს. კლავიშს თითი დააჭირა. მოულოდნელად ეკრანზე ნისლივით რაღაც გამოჩნდა. ჯერ შეეშინდა, იფიქრა, ხომ არ გადაიწვა და კვამლი ხომ არ ასდისო, მაგრამ ნისლი სწრაფად გაიფანტა და საოცრად ლამაზი ქალიშვილი გამოჩნდა. გეგა დაიბნა. არცერთ პროგრამაში, არცერთ დისკეტაზე ასეთი გამოსახულება არ ყოფილა. მერე იფიქრა, ალბათ ქსელიდან არის რაღაც ჩართულიო. ქალიშვილმა გაუღიმა. კი, ნამდვილად მას გაუღიმა, მერე რაღაც თქვა. არა, კი არ თქვა, აშკარად მას მიმართა, გეგას, მას უთხრა რაღაც. მაგრამ რა? რა ენაზე? ეს არც ქართული იყო, არც რუსული და არც ინგლისური... ვერც ფრანგულს, ესპანურს, ან არაბულს მიამსგავსა ბიჭმა უცნაური ქალიშვილის ნათქვამი და მხრების აჩეჩვით ჩაილაპარაკა, ვერაფერი გავიგეო. იმ



წამსვე ქალიშვილის გამოსახულება გაქრა, გეგამ იფიქრა, მგონი, დედაჩემი მართალია, გამომათაყვანა ამ კომპიუტერმა, რაღაცები მელანდება, წავალ, დავიძინებო, და ის იყო, კომპიუტერის გამორთვა დააპირა, რომ დისპლეიზე კვლავ გამოჩნდა ქალიშვილი და ახლა უკვე ქართულად დაელაპარაკა:

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს! — ბორძიკით უპასუხა გაოგნებულმა ბიჭმა.

— იცი, ძლივს მოვძებნე შენი ენა... საინტერესო კი ყოფილა, ძალიან თავისებური, არცერთ თქვენს ენას არ ჰგავნებია... ისე, მაინც არ მესმის, რატომ ლაპარაკობთ მანდ, დედამიწაზე, სხვადასხვა ენაზე...

— მანდ, დედამიწაზეო? — გაიკვირვა გეგამ — შენ... შენ რა, დედამიწელი არა ხარ?! აბა საიდან ხარ, საიდან მელაპარაკები?

ქალიშვილმა გაიღიმა.

— ჩემს პლანეტას ჰქვია...

# გრეის ო'მეილი
## მეკობრეთა დედოფალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი მიშიკო შესტოვსკი

XVI საუკუნე. ო'მეილთა ძლიერი საგვარეულოს უხუცესნი მომაკვდავი ბელადის, მამაცი მეზღვაურის ოუენ ო'მეილის სარეცელთან შეკრებილან.






**დასასრული შემდეგ ნომერში**

## ტესტი

# იუმორის საქმე როგორა გაქვთ?

იმის დასადგენად, გაგაჩნია თუ არა იუმორის გრძნობა, უპასუხე შემოთავაზებული ტესტის თერთმეტ კითხვას. დასაშვებია მხოლოდ ორგვარი პასუხი — „დიახ“ ან „არა“.

1. გიყვარს თუ არა წვნიან კერძში წიწაკის ჩამატება, კატლეტის მდოგვში ან ტყემალში ჩაწობა?

2. როცა შენს კომპანიაში ხარ, გიჩნდება ხოლმე ისეთი აზრი, რომ ეს სულელების თავყრილობაა?

3. სიხარულისაგან ჭერამდე თუ შემხტარხარ?

4. შეგიძლია თუ არა ისე იმასხარაო, რომ მეგობრებს მოეწონო?

5. ხშირად გისკდება ხოლმე ტკივილისაგან თავი?

6. ზოგჯერ მაინც თუ გავიწყდება ხოლმე კბილების გახეხვა?

7. ყოველთვის ერთნაირი ვარცხნილობა გაქვს?

8. კროსვორდის შევსება თუ გიყვარს?

9. ვარჯიშობ თუ არა დილაობით?

10. ხშირად ხარ ხოლმე მოწყენილი?

11. გიყვარს სიჩუმეში მარტო ყოფნა?

მაშ ასე: შენ ყველა კითხვას გაეცი პასუხი, ახლა ამ ცხრილის მიხედვით დაადგინე, რამდენი ქულა უნდა მიეწეროს თითოეულ მათგანს.

კითხვის №1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11; ქულების რაოდენობა 3, 1, 4, 3, 1, 4, 3, 1, 3, 1, 4; თუ პასუხია „დიახ“.

ქულების რაოდენობა 2, 2, 2, 2, 1, 1, 4, 1, 4, 1. თუ პასუხია „არა“.

ახლა ქულების საერთო



ჯამი გამოითვალე.

თუ 20 ქულაზე ნაკლები დაგიგროვდა, ეს იმას ნიშნავს, რომ იუმორის გრძნობას მოკლებულ, მოსაწყენ ადამიანად გთვლიან. თუმცა შეიძლება, შენ უბრალოდ, ადვილად საურთიერთობო არა ხარ, სამაგიეროდ, ჭკუა არ გაკლია. დროდადრო შენ სურვილი გიჩნდება მახვილსიტყვაობა გამოიჩინო და თუ გახუმრებას გადაწყვეტ, გაქვავებული სახით გააკეთე ეს. მაშინ წარმატება უზრუნველყოფილი გექნება.

თუ 21-25 ქულა დააგროვე, საკმაოდ მცინარა ადამიანი ყოფილხარ და ალბათ გაკვეთილზე თითის დანახვებაზეც კი სიცილი გიტყდება. ნებისმიერი წვრილმანის გამო გეცვლება განწყობილება, თუმცა შეგიძლია ეს თვისება შენ სასარგებლოდ გამოიყენო. როცა რამე სასაცილოს ჰყვები ან უსმენ, პირველმა დაიწყე ხარხარი, მაგრამ სცადე შეწყვეტითაც პირველმა შენ შეწყვიტო სიცილი და უეცრად მიიღო სერიოზული გამომეტყველება. სცადე და ნახავ, რომ ხუმრობის ეფექტი გაორკეცდება.

თუ 25 — ზე მეტი ქულა დააგროვე, ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიის სული და გული ყოფილხარ, ანეკდოტები და სასაცილო ამბები არ გელევა, შენი ხუმრობები ყოველთვის მოსწონთ, მაგრამ მეტისმეტი არ მოგივიდეს, თავს ნუ შეაწყენ შენი ანგლობით, სხვებსაც დააცადე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მსოფლიო კიდით კიდემდე



## ზაირი

### ვისი საპნის ბუშტი გაიმარჯვებს?

ზაირის ქალაქ ბუჟუმბურაში რეგულარულად ტარდება შეჯიბრება საუკეთესო საპნის ბუშტებზე ადგილობრივი კოლეჯების უმცროსი კლასების მოსწავლეებს შორის. როგორც წესი, შეჯიბრებაში ორასამდე 8-10 წლის გოგო-ბიჭი მონაწილეობს ხოლმე. მკაცრად განსაზღვრული წესების თანახმად თითოეულ მონაწილეს სამი ბუშტის გაშვების უფლება აქვს, ხოლო წესების დაცვას კომპეტენტური ჟიური ადევნებს თვალს.



ამას წინათ გამართულ შეჯიბრებაში ყველას ცხრა წლის ფრანსუა მპულუნგომ აჯობა, რომლის 12 სანტიმეტრის დიამეტრის სამმა ბუშტმა ოთხი მეტრის სიმაღლეზე იფრინა და მერეღა გასკდა. გამარჯვებულს საჩუქრად ხუთი შეკვრა საღეჭი რეზინი ერგო.

## საფრანგეთი

### ერთი წიგნის 37 ავტორი

საფრანგეთში გამოიცა მეტად თავისებური წიგნი შუა საუკუნეებისდროინდელი მეკობრის თავგადასავლების შესახებ — „ტომ ვან დეიკი". წიგნის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას 37 ავტორი ჰყავს, პარიზის ერთ-ერთი ლიცეუმის 37 მოსწავლე.



თავიდან ლიტერატურის მასწავლებლის ჩანაფიქრით წიგნის სტამბური წესით გამოცემა არ იყო გათვალისწინებული. მან უბრალოდ ერთი საერთო სიუჟეტი მიაწოდა მოსწავლეებს და თითოეულმა მსურველმა თითო თავი დაწერა. ხოლო როცა ვრცელი სათავგადასავლო მოთხრობის ყველა თავი ერთად შეიკონა, დაიბადა მისი წიგნად გამოცემის იდეა.

## ავსტრალია

### მომავალი მასწავლებლები და ფანტასტიკა

დასავლეთ ავსტრალიის მერდოკის უნივერსიტეტის იმ სტუდენტებმა, ვინც მასწავლებლობას აპირებს, ყველა ჩვეულებრივ საგანთან ერთად მეცნიერულ ფანტასტიკაშიც უნდა ჩააბარონ გამოცდა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ ადამიანს, რომელსაც არ აინტერესებს ფანტასტიკა, გაუჭირდება საერთო ენის გამონახვა მოსწავლეებთან, რომელთა დიდ ნაწილს, მოგეხსენებათ, ძალიან უყვარს ლიტერატურის ეს ჟანრი.

# თეატრი რთული ფენომენია!

## 1.

ამდენი ტკივილი თოჯლმა დაფაროს?
თოჯლი ჰუჰყს ფარავს, ისიც დროებით.
ბავშვობის სიხარული წლებმა წაიღო,
ეხლა საზრუნავი გვაწუხებს დიდობის!..

მაგრამ დიდებს ვინ დაეძებს, მათი საზრუნავი იმდენად დიდია, ბავშვებიც შეაწუხა და ის უდარდელი სიხარული, მხოლოდ მათ რომ ეწვევა ხოლმე, სადღაც გაჰქრა და დაიკარგა. ღლევანდელი ბავშვები სუსხიანი თოვლის დედოფლის მიერ მოჯადოებულ კაის მაგონებენ. ყინვისაგან გაყინულ სხეულში სულიც გაიყინა და რამ უნდა გაალღოს ამდენი გაყინული გული? გერდას ცრემლებმა? კარგია ცხოვრებაც რომ ზღაპარივით იყოს. განა მარტო იმიტომ, რომ სიკეთეა გამარჯვებული. ლამაზია ზღაპრული სამყარო, ძალიან ლამაზი! აქ ყველაფერი შესაძლებელია და არც ერთ სურვილს არ გიკრძალავენ, ოღონდ სურვილიც ლამაზი უნდა იყოს, სხვანაირად დამარცხდები, ვერ გაიხარებ. კარგია ცხოვრებაც რომ ლამაზი იყოს, მაგრამ... შევეცადოთ გავალამაზოთ. ხელოვნება, აბა, რა არის? — ცხოვრებისაგან გაქცევაო, ფიქრობს ზოგი, მაგრამ განა სად გაიქცევი, სამალავი თუ არსადაა, ანდა კიდევ, როდემდე ირბენ, არ დაიღლები? დაიღლები და მერე როგორ! არაჭათ გამოცლილი დუნარცხები. რაღა აზრი აქვს ასეთ გაქცევას, თუკი მიწას ვერ ასცილდები. აბა რა არის ხელოვნება? — სილამაზის შექმნის უნარი. ხორცის და სულის სილამაზის. ვეზიაროთ ამ სილამაზეს, იქნებ გალღვეს გულის ყინული!

ხელოვნების არც ერთ სფეროში მაყურებელს არ ენიჭება ისეთი როლი, როგორიც თეატრში. ის სპექტაკლის აქტიური მონაწილეა, მასზე მოქმედებს და შედეგიც არ აყოვნებს: ან შედგება, ან არ შედგება. მაყურებელი მიიღებს ან არ მიიღებს. განსხვავებით ხელოვნების სხვა დარგებისაგან, სადაც ნიმუში ამ ხელოვნების უკვე მზა სახით მოგვეწოდება, თეატრალური წარმოდგენა ჩვენს წინ იქმნება და ჩვენს თვალწინვე ლანდივით ქრება. არ მოვსწრებივარ არც გალაქტიონს და არც ფიროსმანს, მაგრამ ვიმსჯელებ მათზე, როგორც პოეტზე და მხატვარზე, დავტკბები მათი ხელოვნებით, როცა სურვილი დამებადება. მე ხელთ მაქვს ამ ხელოვნების ნიმუშები — ლექსები და სურათები. არ მოვსწრებივარ არც ახმეტელს და არც ხორავას, დავერც ვიმსჯელებ მათზე, როგორც რეჟისორზე და თეატრის მსახიობზე, რადგანაც მათი სპექტაკლები მე არ მინახავს, სხვათა ნაამბობი კი ცოდნის მეტს ვერაფერს მომცემს, — ტკბობა მათი ხელოვნებით არ განმიცდია. მართალია, დღეს ტელევიზია მეშვიანის როლს ასრულებს, მაგრამ ეს ხომ ვერ შეედრება იმ ცოცხალ პროცესს, სცენაზე რომ მიმდინარეობს. ოპერატორის კამერიდან დანახული სპექტაკლი განა შემიცვლის საკუთარი თვალით დანახულს? ამიტომ განსხვავდება თეატრალური ხელოვნება სხვათაგან ასე. ის ხანმოკლეა, ეფემერული, უნდა მოასწრო და იხილო. და თუ იხილე, უნდა შეგეძლოს სხვებს გადასცე ის, რაც იხილე. ალბათ იცით, ყურება ხედვას არ ნიშნავს და ვინც ხედავს, ერთნაირად როდი ხედავენ!.. თეატრი მინდა დაგანახოთ სულ სხვა თვალებით, აზრიანად შეგახედოთ იმას, რასაც აქამდე ინსტინქტურად უყურებდით. სანამ იტყვით: „მომწონს", „არ მომწონს", დასვით კითხვა: „რატომ?" და „რისთვის?" და თუ პასუხს ვერ მოუნახავთ, მაშინ თქვენი განაჩენიც არ იქნება საფუძვლიანი, ხოლო ის, რაც საფუძველს მოკლებულია, ნგრევადია და საშიში, და იმისათვის, რომ არ მოვყვეთ ამ ნანგრევებქვეშ, ჩავყაროთ მტკიცე საფუძველი. ცოდნა შეგვიქმნის ამ საფუძველს.

თეატრი რთული ფენომენია! ხელოვნების მრავალ სფეროს მოიცავს არა ცალ-ცალკე, არამედ ერთად, თავის თავში გამთლიანებულს. თუკი თოჯინას დავშლით, ხელში შეგვრჩება მისი სხეულის ნაწილები. ასევე, სპექტაკლს თუ დავშლით, ვნახავთ, რომ მხატვარს, რეჟისორს, კომპოზიტორს, ქორეოგრაფს, მსახიობს, მწერალს — ყველას თავისი ხელოვნებით შეუქმნია ერთი მთლიანი. მათი მიზანი აქ საერთოა: — შედგეს სპექტაკლი! თეატრი რთული ფენომენია! რისგან შეიქმნა, როდის შეიქმნა, როგორ შეიქმნა, მოდით გავეცნოთ ყოველივე ამას თანმიმდევრობით.

თეატრის ისტორია ანტიკური ხანიდან დაიწყო. ბერძნული სიტყვა „ანტიკური" „ძველს" ნიშნავს და ასევე ბერძნული სიტყვაა თეატრი, რომელიც წარმოდგება სიტყვისაგან „თეატრომაი", ნიშნავს „ვუყურებ". ჩანს, რომ თეატრი არის „ადგილი სახილველი"..., როგორც ამას სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს; თეატრალური ხელოვნება სანახაობითი უნდა იყოს, რადგან მე „ვუყურებ" და თუ ჩემს თვალებს სახილველი არაფერი აქვს, მაშინ მე შევწყვეტ ამ ყურებას. ეს განაცხადი, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს იმას, რომ სიტყვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თეატრალურ ხელოვნებაში, მაგრამ არსებობს უსიტყვო, პანტომიმური სპექტაკლები, სადაც ყველაფერი სრულდება მსახიობის პლასტიკის, მიმიკისა და მოძრაობის საშუალებით. მხოლოდ სიტყვიერი სპექტაკლი კი, სადაც მსახიობი ტექსტს წაიკითხავს (თუნდაც შესაშური ოსტატობით) და უმოქმედოდ იქნება, არ არსებულა, არ არსებობს, არც იარსებებს.

ანტიკური ევროპული თეატრის ორი წარმომადგენლის, — ბერძნული და რომაული თეატრის შესახებ მინდა გითხრათ ორიოდ სიტყვა. თავი და თავი კი მაინც საბერძნეთია. რომაული თეატრი და მთელი ევროპის თეატრები მისგან იწყებენ განვითარებას. სანამ უშუალოდ ბერძნულ თეატრზე გადავიდოდეთ, ვნახოთ საიდან წარმოიშვა იგი, რა ნიადაგზე აღმოცენდა და განვითარდა. წარმოვიდგინოთ ელადა, როგორც მას თავად ბერძნები უწოდებდნენ. ზღაპრული ქვეყანა მრავალრიცხოვანი ღმერთებითა და ნახევრადღმერთებით, ტიტანებითა და ციკლოპებით, ნიმფებითა და ფერიებით, ულამაზესი და გმირული სულის ადამიანებით არასოდეს დაგსიზმრებიათ? აქ იმდენი სასწაული ხდება და იმდენად ჩვეულებრივად, რომ ხანდახან ფიქრობ: ნეტავი რას თვლიდნენ ძველი ბერძნები სასწაულად? ან თუ იცოდნენ ამ სიტყვის მნიშვნელობა? ყველა ქვეყანას თავისი ისტორია აქვს და ჩემთვის საბერძნეთის ისტორიის ყველაზე საინტერესო ნაწილი ძველი ბერძნული მითები და ლეგენდებია. მასში არის ნამდვილიც და გამონაგონიც. მითოსი გადმოცემას, თქმულებას ნიშნავს. როგორ შეიქმნა ეს სამყარო, და ვინ შექმნა, ვისთვის შეიქმნა, ვინ დასახლდა, რას აკეთებდნენ. ამდენი ღმერთი, ამდენი გმირი, როგორ შეეწყვნენ ერთმანეთს და როგორ მორიგდნენ ერთმანეთში, როცა ჩვენ ერთ ღმერთს ვერ შევწყობივართ, თუ გმირები გადაკაცუნდნენ? გაორებულნი დავდივართ და ვებრძვით საკუთარ თავსაც და ღმერთსაც, — რატომ გაგვწირა? ეს ჯერ კიდევ საკითხავია, — ღმერთმა გაგვწირა?... იოლია გადაბრალება; იოლ გზას ვირჩევთ იმ იმედით, თითქოს ცხოვრებაც გაგვიიოლდება, მაგრამ იოლი ფაფის ჭამაა და ვინც არ თვლის, რომ ცხოვრება ფაფის ჭამაა, იმ გზას ირჩევს, რომელზედაც სიარული მიზანს ისახავს. უმიზნო კაცის არსებობა ულმერთობაა. ულმერთობა კლავს ჩვენს საუკუნეს!.. პარალელებს ვერ გავექეცი, უკაცრავად! მე ძველ ბერძნებზე გიამბობდით, მათ სამყაროზე, ჰარმონიულ სამყაროზე, მითებმა და ლეგენდებმა რომ დაგვიტოვეს. წმინდა ოლიმპოს მწვერვალიდან განაგებდნენ წმინდა ღმერთები ამ სამყაროს, თავად მათ კი ბედისწერა განაგებდა. უძლეველი ღმერთები უძლურნი იყვნენ ბედისწერის მოირებთან. ამიტომ ძველი ბერძნული ტრაგედია უმთავრესად ბედისწერის ტრაგედიაა. პირველი ჟანრი, რომელიც შეიქმნა, ტრაგედია იყო — ძირითადი ჟანრი ძველბერძნული დრამისა. მისი წარმოშობაც მითიური მევე-





ათენის აკროპოლი და დიონისეს თეატრი.

ნაყოფის ღმერთის (შემდეგ კი პოეზიისა და თეატრის) — დიონისეს სახელთანაა დაკავშირებული. დიონისეს დაბადების მითი შემდეგნაირად მოგვითხრობს: მეფის მშვენიერი ასული, სემელე, შეუყვარდა მეხთამტყორცნელ ზევსს, ოლიმპოს მეფეს და ფიცით შეჰპირდა, რომ აუსრულებდა ნებისმიერ სურვილს, რასაც კი თხოვდა. შურისძიებით ანთებულმა ზევსის მეუღლემ, ჰერამ, თავის მეტოქეს დათაფლული ხმით შთააგონა, ეთხოვა ზევსისათვის, მთელი თავისი ბრწყინვალებით წარმდგარიყო მის წინაშე, გულუბრყვილო სემელემ არ იცოდა, რომ ამ თხოვნით სიკვდილს იმკიდა. ზევსი ფიცს ვერ უარყოფდა და თავისი ნამდვილი სახით, ელვითა და მეხით გადაწვავდა მის სასახლეს. ასეც მოხდა. მომაკვდავმა სემელემ შვა დიონისე, უსუსური და უღღეური. მასაც დედის ბედი ელოდა, ცეცხლში დაფერფვლა, მაგრამ ზევსი თავისი შვილის დაღუპვას ხომ არ დაუშვებდა?! თვალის დახამხამებაში მიწიდან ხშირი სურო ამოიზარდა და ცეცხლისაგან დაიფარა დიონისე. ზევსმა აიყვანა თავისი კადარჩენილი შვილი და ვინაიდან ის ჯერ კიდევ სუსტი იყო, თეძოში ჩაიკერა. მომაგრდარა მამის სხეულში, დიონისე ხელმეორედ დაიბადა ზევსის თეძოდან. გაიზარდა მშვენიერი, ძლიერი, კაცთათვის სიძლიერისა და სიხარულის, ნაყოფიერების მომტანი. ღვინის ღმერთი დიონისე ორჯერ იშვა, ისევე როგორც ღვინო იშობა ორჯერ: ყურძნისა და შემდეგ დადუღებული წვენის სახით.

დიონისეს, ყველაზე ახალგაზრდა ღმერთს ოლიმპოს ღმერთთა შორის, იოლი გზა არ გაუვლია. თავისი მიზნის მისაღწევად ბევრ დაბრკოლებას გადააწყდა: ზოგან მოყვრულად ხვდებოდნენ და ზოგან მტრულად, მაგრამ ფარ-ხმალს მაინც არ ჰყრიდა, ენერგია და ხალისი მძიმე დღეებს უმსუბუქებდა, თავის მხიარულ მხლებლებთან, ნახევართხა სატირებთან ერთად დროს ატარებდა. ცეკვა-თამაშით მიუყვებოდნენ მომქანცველ გზას და ავრცელებდნენ ვაზის კულტურას.

საყვარელი ღმერთი გახდა ბერძენთათვის დიონისე. წელიწადში ოთხჯერ აღნიშნავდნენ მის დღესასწაულს, როგორც სოფლად, ისე ქა-



ლაქად. ქურუმის მიერ მსხვერპლშეწირვის დროს მისი საგმირო საქმეების სადიდებელი-სიმღერა — დითირამბი — სრულდებოდა. სწორედ ამ დითირამბის დამწყებისაგან განვითარდა ტრაგედია („თხის სიმღერა"). დიონისეს იმ დღესასწაულებზე კი, სადაც სახუმარო სიმღერები სრულდებოდა პატივს მიაგებდნენ არა მის გმირობას, არამედ ღვინის ღმერთის სიმთვრალესა და მხიარულებას, განვითარდა მეორე ჟანრი — კომედია („შეზარხოშებული ბრბოს სიმღერა").

დითირამბს ასრულებდა გუნდი, რომელიც სატირებს განასახიერებდა თხის ქურქებში. დიონისეს კი განასახიერებდა სიმღერის დამწყები კორიფევსი. შემდეგ გაჩნდა საგმირო დითირამბი, სადაც დიონისეს ან რომელიმე გმირის თავგადასავალს ასახავდნენ. ჩაისახა მოქმედების აუცილებლობა, რომელსაც მხოლოდ მსახიობი დააკმაყოფილებდა. პირველად თესპიდმა. ბერძენმა ტრაგიკოსმა, გამოჰყო გუნდიდან მსახიობი. დასაბამი მიეცა დრამის, როგორც მოქმედების („დრამა" მოქმედებას ნიშნავს), განვითარებას მსახიობის საშუალებით. ეს პროცესი ჯერ ძალიან სუსტია, რადგანაც ერთი მსახიობი კონფლიქტს ვერ შექმნის, უკონფლიქტოდ კი მოქმედება უმოქმედოა. პირველი დიდი დრამატურგის, ესქილეს მიერ შემოყვანილი მეორე მსახიობი განავითარებს ამ პროცესს, ხოლო სოფოკლე მესამე მსახიობის შემოყვანით ქმნის სათეატრო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშს. მსახიობთა რიცხობრივ ზრდასთან ერთად, მცირდება გუნდის როლი, ვითარდება მოქმედებები. დრამა სულ უფრო მეტად და მეტად ამართლებს თავის დანიშნულებას.

**ხათუნა ნუღაძე**



# როკ ენციკლოპედია

## „ადამი და „ჭიანჭველები“ ("Adam and the ants")

ადამ ენტის ჯგუფი (ნამდვილი სახელი და გვარი სტიუარტ გოდარდი) „ჭიანჭველები“ 1977 გამოჩნდა და უმალ მოექცა ინგლისური როკ-მუსი „ნეორომანტიზმის“ მიმდინარეობის სათავეში. „ჭიანჭველებმა“ თავის კომპოზიციებში ბურუნდის ხალხური შემოქმედებიდან ნასესხები ორმაგი დოლის რიტმები შეიტანეს და ამ ფონზე გაუშვეს საკმაოდ მოდულირებული ტიროლური „იოდლიას“ მსგავსი ვოკალი. საერთოდ კი „ჭიანჭველების“ ნეორომანტიზმი ძირითადად შემსრულებელთა ელიტარობას და აუდიტორიის სნობიზმს გულისხმობდა. 1976 წლიდან ენტი სხვადასხვა ჯგუფებთან მუშაობდა.

1979 წელს ჯგუფ „სექს პისტოლზის“ მენეჯერ მალკოლმ მაკ̀ლარენის წყალობით ადამ ენტმა ჩაწერა პირველი ფირფიტა „დაშნა თეთრ სამხარიღლიეზე“, ერთი წლის შემდეგ კი მეორე ფირფიტაც გამოვიდა „საშიში რაიონის ბატონ-პატრონები“. მანამდეც და შემდეგაც ჯგუფის შემადგენლობა გამუდმებით იცვლებოდა, რასაც ბოლოს და ბოლოს „ჭიანჭველების“ დაშლა მოჰყვა (1982 წ.).

## „აეროსმიტი“ ("AEROSMITH")

ჯგუფი „აეროსმიტი“ 1970 წელს ჩამოაყალიბა სამმა ნიუჰემფშირელმა ახალგაზრდამ. მოგვიანებით ჯო პერის (სოლო გიტარა), ტომ ჰელმიტონს (ბას გიტარა) და სტივ ტაილერს (ვოკალი) ჯო კრემენიც (დასარტყმელი საკრავი) შეუერთდა და დაიწყო ამ საინტერესო მუსიკალური კოლექტივის შემოქმედებითი გზა. პირველ ხანებში ახალგაზრდები ძირითადად ნიუ-იორკის გარეუბნებში გამოდიოდნენ. სწორედ იქ გამართულ ერთ-ერთ კონცერტზე მიაქცია მათ ყურადღება პროდიუსერმა კლივ დევისმა და თანამშრომლობა შესთავაზა. თანამშრომლობა მეტად სასიკეთო აღმოჩნდა. 1973 წელს გამოვიდა „აეროსმიტის“ პირველი ფირფიტა, რომელმაც გარკვეული პოპულარობა მოუტანა ჯგუფს. პირველს მეორე ფირფიტა მოჰყვა — „გაშალე ფრთები!“ მესამე ფირფიტა „სათამაშოები სხვენზე“ ერთ-ერთი საუკეთესოა „აეროსმიტის“ რეპერტუარში, თუმცა დიდების მწვერვალზე ჰარდ-როკის ერთგული ახალგაზრდები მომდევნო ფირფიტის —



„კლდეების“ წყალობით ავიდნენ, 1976 წელს მათ ოქროს დისკი მოიპოვეს. მომდევნო წელს კი გამოვიდა ალბომი „სწორი ხაზი“.

1979 წელს ჯგუფიდან წასული გიტარისტი ჯო პერი ტაილერმა შეცვალა და ამ დროიდან მოყოლებული, იგი „აეროსმიტის“ ლიდერად იქცა. ერთი წლის შემდეგ უაიტფორდის ნაცვლად ჯგუფში რიკ დაფეი მოვიდა. 1982 წ. „აეროსმიტმა“ განახლებული შემადგენლობით ჩაწერა ალბომი „როკი მძიმე დროში“, რომელიც მეტად ცუდად მიიღეს ჯგუფის თაყვანისმცემლებმაც და კრიტიკოსებმაც. წარუმატებლობამ საერთოდ აალებინა მუსიკოსებს მუშაობაზე ხელი. ძალამოკრებილმა „აეროსმიტმა“ 1988 წელს შეძლო დაკარგული აღიარების დაბრუნება. ალბომმა „ფერმანენთ ვოქეიშნ“ ოც საუკეთესო შემსრულებელს შორის დაუმკვიდრა მას ადგილი. წარმატება ელოდა მომდევნო ალბომსაც „ფამფ“ (1989 წ.). განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ალბომში შესულმა ორმა კომპოზიციამ — „ლავ ინ ელივეითა“ და „ჯენიაზ ვოთ ე ვან“.

## „რკინის ქალწული“ ("IRON MAIDEN")

ეს ინგლისური ჯგუფი 1977 წელს შეიქმნა, ორი წლის შემდეგ კი გამოვიდა მისი პირველი ფირფიტა „სამოყვარულო ხმის ჩაწერა“, რომელმაც ჰარდ-როკისა და არტ-როკის ელემენტების ორგანული შერწყმის წყალობით მაშინვე მიიქცია ყურადღება. ამ დროიდან მოყოლებული „აირონ მეიდენი“ ყოველ წელს თითო ფირფიტას უშვებდა. 1981 წ. გამოსული თემატური ალბომი მუსიკოსების თავისებური პროტესტი იყო სისასტიკისა და ძალადობის წინააღმდეგ. საერთოდ ეს თემა ჯგუფის მომდევნო ნამუშევრებშიც ერთ-ერთი წამყვანი იყო. 1985 წ. მისი წევრები აქტიურად ჩაერთვნენ ოვი ოსბორნის მიერ წამოწყებულ ნარკომანიასთან ბრძოლის კამპანიაში. საგანგებოდ გამართული დიდი კონცერტის შემოსავალი მთლიანად ამ სენთან ბრძოლის ფონდში გადაირიცხა.

დროთა განმავლობაში ჯგუფის შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა და საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო: ბრიუს დიკინსონი (ვოკალი), სტივ ჰარისი (ბასი), დეივ მიურეი (გიტარა), ადრიან სმიტი (გიტარა), ნიკ მაკბრეინი (დასარტყამი). ბუნებრივია, შეიცვალა „აირონ მეიდენის“ შემოქმედებითი ხელწერაც. ახალ ნამუშევრებში უფრო მკაფიოდ ისმის არტ-როკისა და ჯაზ-როკის ელემენტები.